საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფორუმი

„ებლიტფო“ ითვლება

№ 00002

ოქტომბერი 2013

ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმ „ებლიტფოს“ არაპერიოდული გამოცემა

ვრცელდება ლიტერატურის მოყვარულთა შორის

„ებლიტფო“ ლათინურ ენახავითაა, მკვდარია, მაგრამ ჭკვრ ენაზე ცოცხალი...

სტატიის საგაზეთო ვარიანტი, გაზეთ „24 საათში“ გამოვაქვეყნე (შაბათი. 31 იანვარი, 2009 წელი. 20 (2058) Weekend #3 (99) 31 იანვარი 1 თებერვალი, 2009 გვ. 12).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, არასრული 4 წელი. და “ებლიტფოს” ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა.

“ებლიტფო” სოციალურ ქსელ “ფეისბუქის” ბინადარია, — ერთ-ერთი ცნობილი და საინტერესო ლიტერატურული ფორუმი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას: „ქართულენოვანი “ებლიტფო” ინგლისურ ენასავითაა... — ან იციან, ან სწავლობენ..., ანდა, მშობლიური ენასავით — ვერ ივიწყებენ (პოეტი ბელა ჩეკურიშვილი)

ნინო საღლობელაშვილი

ქართული ლიტერატურული საიტების, ელექტრონული ბიბლიოთეკების და ზოგადად, ლიტერატურული ცხოვრების შესახებ საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ ვახსენეთ ერთი მშვენიერი საიტი — ლიტერატურული ფორუმი, რომელმაც მნივნელოვნად განსაზღვრა მიმდინარე ლიტერატურული პროცესები.

„ებლიტფო“ — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი. ის სამი წლის წინ გაჩნდა ვირტუალურ სივრცეში და თანაბრად მიიქცია ავტორთა და მკითხველთა ყურადღებაც.

„ებლიტფომ“ შექმნა ბიოგრაფია — საკუთარიც და ლიტერატურულიც. ეს კი

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„ებლიტფოდან“ — „ებლიტფომდე“

"ებლიტფო" ჩემთვის იყო და არის შესანიშნავი საშუალება გავიცნო თანამედროვე ქართველი ავტორები და ასევე, გავაცნო ჩემი საყვარელი შემოქმედება ფართო აუდიტორიას.

ირაკლი ლომაური

ეს არის ლიტერატურაზე ფიქრის მრავალსახეობისა და ახალი ლიტერატურული სახეების გაცნობის ჯერგი შესაძლებლობა. აქ შეგიძლია მიიღო ინფორმაცია,საზოგადოებას წარუდგინო საყვარელი ნაწერები, გამოთქვა მოსაზრებები და მონაწილობა მიიღო დისკუსიაში. ეს ყველაფერი, არ არის "უვნებელი", მაგრამ ეს არის შვები რამ "საინტერესო". ებლიტფო - ლიტერატურაზე ფიქრის კომფორტია.

გია მურღულია

"ებლიტფომ" გაუადვილა ლიტერატურული პროცესი. "ებლიტფო" მიიზიდვა და ავტორის შეხვედრის დრო და ადგილია...

ია არღანაშვილი

ფინალისტები ნომინაციებში

მარიკა ჟორჟოლიანის
ქეთი ხოსიტაშვილის
გიორგი ბუნდოვანის
ალისა დოგბსონის
ლელა კოდალაშვილის
მაკა მიქელაძის
ბელა ჩეკურიშვილის
მედეა იმერლიშვილის
გია მურღულიას
ქეთი გზირიშვილის
დარეჯან კვანჭიანის
ნინო ქოქოსაძის
ლექსებს

ნინო გუგეშაშვილის
ზურაბ ქარუმიძის
ზურაბ ლეჟავას
რუსა ამირეჯიბის
გიორგი გაგუას
პროზას

ბელა ჩეკურიშვილის
ალექსანდრე ელერდაშვილის
ზაზა ფირალიშვილის
მოსაზრებას

მაკა ლდოკონენის
მარინა გიგოლაშვილის
ლიტერატურულ მონოლოგს

თამარ რუხაძის
თარგმანს

გვანცა ჯობავას
მარინა ტურავას
კრიტიკას

სალომე შენგელიძის
გამარჯვებულ ესეის

ემხვარ კახაძის
შთაბეჭდილებას

ვასო გულეურის
ირმა ბერიძის
რევაზ კახიძის
საბავშვო ნაწარმოებს

ებლიტფო ლათინურ ენასავითაა...

პირველი გვერდიდან

ნინო სადღობელაშვილი

ნიშნავს რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ბევრი კარგი პროექტის და იდეის ავტორიც, მხარდამჭერიც და განმახორციელებელიც თავად იყო; მან დააახლოვა ერთმანეთთან მწერლების „ძველი“ და „ახალი“ თაობები (ამ პირობითობას ინტერნეტ-სივრცეშიც ვერ ასცდები); მკითხველებს სრულიად უცნობი ნიჭიერი ავტორები წარუდგინა; ყველას მისცა საშუალება, რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება ვრცლად ესაუბრა მის უდიდებულესობა — ლიტერატურაზე...

ის ხომ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი გახლდათ, და რა არის იმაზე უფრო ბუნებრივი გარემო ლიტერატურაზე სასაუბროდ, ვიდრე ბიბლიოთეკა — რეალურიც და ვირტუალურიც.

გვაქვს საფუძვლიანი კრიტიკული სკოლა და, ეს შობს უამრავ პრობლემას და ა.შ. და ა.შ... „ებლიტფო“ მაინც რჩებოდა ადგილად ამ უზარმაზარ ინტერნეტ თუ რეალურ სამყაროში, სადაც ქართველ ავტორებს, მკითხველებს, უბრალოდ ლიტერატურის მოყვარულებს, მიუხაროდათ და სადაც „ცივსისხლიანი“ კრიტიკული პათოსის გარეშეც ბევრი კარგი ლიტერატურული საქმე გაკეთდა.

ებლიტფო-ზე წარსულ დროში ვსაუბრობთ, რადგან ის დღესდღეობით აღარ არსებობს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის ბიოგრაფიას მისივე უცვლელი ადმინისტრატორი, მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე — გიორგი კილაძე მოგითხრობთ.

2006 წლის მაისში შეიქმნა ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურული პროგრამების განყოფილება.

მან სამი მიმართულებით დაიწყო მუშაობა: ლიტერატურული საღამოები, გამოფენები და საჯარო ლექციები. ლიტერატურულ საღამოებს ოთშაბათი დღე მივუძღვენით. საჯარო ლექციებს კი — პარასკევი. (აქედან დაიბადა მაშინდელ პროცესებში მონაწილეთათვის კარგად ნაცნობი სიტყვა, ოთხშაბათობები“). ლიტერატურული საღამოები დავიწყეთ პოეზიით.ხვადასხვავა თაობის 50-ზე მეტმა პოეტმა გვიმასპინძლა.

შეხვედრების უმთავრესი მიზანი სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა თაობის მწერლების მკითხველებთან შეხვედრა იყო და მომავალში ასეც გაგრძელდებ. შეხვედრებზეპოეტები არამხოლოდ კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, არამედ პასუხობდნენ დამსწრეთა კითხვებს. დიალოგის ფორმატმა აუდიტორიასა და ავტორს შორის ურთიერთობა უფრო გააცოცხლა. ბუნებრივია, განყოფილების თანამშრემლები ამ საუბრებს იწერდნენ და მალევე მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო აუდიო-მასალა დაგვიგროვდა. ეს მასალა თავის მხრივ კიდევ რაღაც ტრანსფორმაციას საჭიროებდა. ასე დაიბადა ლიტერატურული ფორუმის იდეა.

სამი წელი თითქოს არაფერია, თუმცა ყოველწამიერად მზარდი ტექნიკური პროცესების ფონზე ალბათ ადვილად დასაჯერებლია ვთქვა, რომ მაშინ ლიტერატურული ფორუმის ფორმატის შოვნა ასე ადვილი არ იყო.

> **“ებლიტფო” ხომ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი გახლდათ, და რა არის იმაზე უფრო ბუნებრივი გარემო ლიტერატურაზე სასაუბროდ...**

> **2006 წლის 18 ოქტომბრს გაიხსნა „ებლიტფო“ — ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი.**

„ებლიტფოს“ აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ ეს ვირტუალური გარემო მეტად დამტკბარდაშაქრული იყო, ადამიანებს ერთმანეთი ძალიან თუ არა, ცოტათი მაინც უყვარდათ აქ და, ეს სიყვარული კი ბუნებრივად ადუნებდა კრიტიკულად (ე.ი. რეალისტურად) აზროვნების უარს... ცხადია, როცა თავს კარგად, მყუდროდ და ისე გრძნობ, როგორც თევზი — წყალში, კრიტიკული არების არც გამოთქმის და არც მოსმენის სურვილი არ გებადება.. სწორედ ამიტომ, ჩვენ, ქართველებს, დღემდე არ თვეები დამჭირდა ტექნიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად. თუმცა, ყველაფერი მოგვარდა და, 2006 წლის 18 ოქტომბრს გაიხსნა „ებლიტფო“ — ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტ. ფორუმი.

თავისთავად გარემომ, ანუ ბიბლიოთეკის სივრცემ, მისმა პირველსაწყისობამ განაპირობა ფორუმის აკადემიური ხასიათიც. გვქონდა წესდებაც, რომელიც ძალიან ცოტა სიტყვას, მაგრამ ერთ მთავარ აზრს შეიცავდა — „ებლიტფო“ არის ფორუმი ყველასათვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს.

პირველი ექსპერტიზა ფორუმს იანვარში ჩავუტარეთ და, პირდაპირ გეტყვით — ეს იყო კატასტროფა. მიუხედავად კარგი ატმოსფეროსი, რაც ავტორებს და მკითველებს, ზოგადად, ე.წ. მომხმარებლებს შორის სუფევდა, მიუხედავად იმისა, რომ „ებლიტფოს“ ლაჟვარდისფერ გვერდებზე პოეტების მიერ პოეზიის საღამოებზე წაკითხული ლექსები მეორე დღესვე ქვეყნდებოდა... ეს ფორუმი ლიტერატურას არ შეესაბამებოდა. ამიტომ, ერთ დღესაც ყველა მასალა, ამ დროის მანძილზე ფორუმზე თავმოყრილი, ერთიანად წავშალეთ, (ძალიან ბევრი ავტორი გავანაწყენეთ მაშინ ამით და ახლა კიდევ ერთხელ ვუხდით მათ ბოდიშს), და ათვლა თავიდან დავიწყეთ.

ჩვენი ახალი „წელთაღრიცხვა“ დაემთხვა ერთ კარგ ფაქტს — ფორუმზე დარეგისტრირდა პოეტი გივი ალხაზიშვილი. მისი საიტზე მოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ „ებლიტფო“ გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ფორუმი ქართულ ვირტუალურ სივრცეში. ბატონმა გივიმ განსაზღვრა ფორუმის პოლიტიკა.

„ებლიტფო“ ნამდვილ ფორუმად ჩამოყალიბდა.

ერთი წლის წინ ფორუმი „გატეხეს“.

კრიზისული პერიოდიდან „ებლიტფოს“ გამოსვლა დიდად უკავშირდება ფორუმზე პოეტ ნინო დარბაისელის გამოჩენას.

ეს იყო მართლაც მეორე სუნთქვით განახლება. ქალბატონი ნინოს ურთიერთობა ჩვენს ფორუმთან მასტერკლასების ტოლფასია. ამ კრებულებში მისი რამდენიმე სტატიაა.

როგორც უკვე გითხარით, ამ დროის მანძილზე ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. ორი წელი ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა პროექტი სრულყოფილად, ძალიან მაღალ დონეზე განახორციელო. -რაც შევძელით, ეს უპირველესად ჩვენი ავტორების, მეგობრების თანამშრომლობის და კეთილგანწყობის შედეგია.

ხანდახან ვხუმრობ ხოლმე, რომ ებლიტფო ლათინურ ენას გავს, მკვდარია, მაგრამ ბევრ ენაზე ცოცხალი.

და მჯერა, რომ ამ „ენით“ კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება.

როცა ვფიქრობ იმაზე, თუ რა როლი ითამაშა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებში ებლიტფომ, პასუხი მაქვს ხოლმე როგორც ჩვეულებრივ მკითხველს — თუნდაც ის, რომ ქართული კონვენციური (რითმიანი) ლექსი კვლავ სიცოცხლეს, ძალას, ჟღერადობას იბრუნებს, ეს „ებლიტფოს“ დიდი დამსახურებაცაა; კარგად მახსოვს, როცა პირველად მოვედი ლიტერატურულ სივრცეში, მსგავსიც არაფერი დამხვედრია, თითქოს სხვა ქვეყანაში, სხვა მენტალურ თუ სააზროვნო-პოეტურ სამყაროში აღმოვჩნდი. ეს არც ისე კარგი იყო...

სწორედ ამიტომ, მადლობას ვუხდით ყველა „ებლიტფოელს“, მათ ვინც შექმნეს ეს ფორუმი, ფუნქციას საზოგადოებაში - ლიტერატურული პროცესები აქტიურად ცოცხლდება სწორედ იქ, სადაც, ყოველი ამქვეყნად დაწერილი სიტყვა - ნაღდი, ძვირფასი, საბოლოოდ დაიდებს ბინას.

(იხეჭდევა შემოკლებით)

მარიჯა ჟორჟოლიანი

ჯაბა

მეგონა კაბა მეცვა ვარდისფერი
და ამიტომ საუბარი საუბედუროდ გავაბი თოკივით.
და ვგავდი მარგალიტას მაგალიტის ყელსაბამით,
ან მარგოს ოღონდ არგოს გემში შებმულს.
შემშრალება მინდოდა სხეულის
და სველმა ქარმა კაბა ამიქანა საქანელასავით მორცხვად...
და მომრწყა, და... მომწყდა!
ჩამომკიდეთ უკუღმა – აღარ მინდა!
ჩამომკიდეთ წაღმა – აღარ მინდა!
ჩამომკიდეთ სასწორს – თანაბარი მინდა!
შენი თანაბარი მინდა,
ბანკის ანაბარი მინდა,
ანბანივით წავიკითხო მინდა – დედაენა! დედა, ენა.
ენა ავილოკე, კანი დავიხოკე, კერვა დამავიწყდა, და კაკუნიც მიწყდა
და დაკემსილი ასოები დავიფარე შიშველ თვალებზე – ბუსავით.
და ნამთვრალევზე, ნატერფალებზე,
ცივ, ვარდისფერ კაბაში ცარცივით ცრიდა,
აღმა და დაღმა დაღვრილი წვიმდა.
და ღირდა ღვინის დაღვრა,
და დაღლილმა დაღდასმულმა კანმა,
დაისვენა კაბაზე კანკალით.

ქეთი ხოსიტაშვილი

შეხვედრა

გამოსასვლელი ჯინსი მაცვია,
ვზივარ კაფეში, ვსაუბრობ შენთან,
მზემ ყველა ჩრდილი გვერდზე გასწია,
ალუბალს მკვახე ნაყოფი ესხა.

ორი ჩაი გვაქვს - ბევრი სათქმელი,
ვიხსენებთ, როგორ ვიყავით ერთად....
შენ უნებურად ხელი დამადე,
მერე სახლებიც ჩამოსხდნენ ჩვენთან.

სხვადასხვა დრო გვაქვს მაჯის საათზე,
ვზივართ და თვალებს ერთამენეთს ვესვრით...
მზე ჩრდილებს თავის მხარეს გადასაწევს
და ახლა ჩვენი მიმტანსაც ესმის.

მერე კი გზაა უკან - სახლამდის,
ალუბალს მწვანე ნაყოფი ესხა.
ვფიქრობ, რომ რაღაც ისევ არა ვთქვით,
რაღაც ძლიერ რომ გვინდოდა გვეთქვა ...

გიორგი ბუნდოვანი

სხვა ენის გემო

სიცივე ხერხივით დახრიალებს სხეულის ყველა კუნჭულში
ნორმატიული აქტივითაა ეს სიცივე, ჩემთვის;
მოსჯილი მაქვს ამტანობა; ქვა და რკინობაა ჩემი სტატუსი.
როგორც ლახტი, მიწისპირს ამათრახებს ეს ენა ურჩი...
ბევრი დამპირდა ჩიკორს, ჯილას და ზარის კენჭებს,
ბევრმა იმედის ჩისბურგერი ნაცრად მიქცია!..
არის არარა, ილუზია, მხოლოდ ფიქცია -
საამაყო-სამყარო მთელი!
ეს, სულთა რთველი, უმაღლესი მაჭარი ზეცის, განა ღვინდება,
მთვარემ მუხლუხო, მუზარადად აიკრა გარსზე,
მრეში ხველებით დედამიწას სურდო გადმოსდო.
ჩვილურ ნდობისებრ გამოვიშვერ მოხერხილ ხელებს,
ცრუ იავნანას წავუმღერებ კეთროვან ნერვებს.
როცა ხეებზე ბუდეები კოკრებად სხედან... ვიშვები მედან!
იქ ყაისნაღით ქსოვენ ხავსებს ჩუმი წვიმები.
როგორ მოვუყრი, თავს, ფიქრების სხარტ კოლექციას,
როგორ მინდოდა ეს ფიქრები ლექსად მექცია!
სისხლის სვეტებად აშოტილან ანცი ვნებები,
გავხდები გვამი, დახვეწილი, პათოგენური,
ამ პედისტალზე, ყავარჯნებით, მაინც შევდგები!
სოკოსპირულად დიდ კოკებში ჩააფსამს ღმერთი, თან იკრიჭება...
ღრუბლის მურაბა იხარშება და იწრიტება.
ლითონის გემო, გემო ჟანგის, გემო ყინვისა;
მტვრიანი გემო. გემო მიწისა!
სხვა ენის გემო.

აღისა დოგბსონი

ჩვენი ცხოვრება

ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ვეჩვევით, რაღაცას...
ავიღოთ თუნდაც აზრი სიკვდილზე,
რამდენჯერ გვითქვამს რომ:-
რომ-ვკვდებით სიცილით...
რომ-ჩვენ ვკვდებით წყურვილით
როცა ველოდით იმაზე მეტს ვიდრე შესაძლებებლი იყო
ზაფხულში.
რომ ვკვდებოდით თავის ტკივილით
საკონტროლო გასროლის შემდეგ
ვკვდებოდით სულიერი ტკივილებისაგან
ამაზე უ კომენტაროდ
ვკვდებოდით სიცივით
ზამთარში .როცა აცვია თეთრი ხალათი
საოპერაციოში
და გვაძრობს სულს...
ჩვენ მომკვდარვართ სირცხვილისაგანაც
როცა ვთქვათ.. დარბაზში სიმფონიური კონცერტის დასაწისში,
უფრო ადრე მოგვსლია გაკუება. ვიდრე დირიჯორს ჯოხის აქნევა.
არაა?
ჩვენ მომკვდარვართ სიყვრულითაც
მარტოობითაც,
ხო, რომ იცოდეთ ყველაზე სწრაფად კვდებიან მარტოობით ადმიანებს შორის,
ჩვენ მოწყენილობაც გვკვლავს
როცა არავის არ ვჭირდებით, გრძნობა უფრო პირველია ვიდრე ,,,
როცა არვინ არ რეკავს
ან რეკავენ ისინი ვინც უკვე მოკვდა.
ჩვენ ვკვდებით დარდითაც თუ იგი შეგვეხება.
თუ უკვე არ შეგვხებია,
ან უკვე გვეხება...
და გაშვებასაც არ აპირებს
და ყველა ეს ჩვევა მანიშნებელია ერთის
ჩვენ ვეჩვევით სიკვდილს.

ᲔᲚᲔᲐ ᲧᲝᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲑᲨᲘ

,,რატომ ვერასდროს ვერ თბებიან სახლის ახლოს მიყრილი ქვები.”
თითქოს ფანჯრიდან ჩვენთან ერთად გადმოყარესო,
ცოტა ხანს გვყოფნის გამოყოლილი სუნი და სითბო.
მერე კი ჩვენ-ჩვენ ადგილს ვპოულობთ, ცოტას თვითონ ჩავგორდებით,
ცოტათი სხვა ქვებს ჩავაჩოჩებთ.
მდგრადები ვხდებით.
ლოდებივით ვიზრდებით და ვყრივართ გზადაგზა.
ყოველი წელი თითო ბზარით ჩაღრმავებაა საკუთარ თავთან,
რომელსაც ისე ვირგებ-ვიხდენთ,
როგორც შვილი თავის მამის ბებერ ორეულს.

იმ სახლიდან გადმოყრილები ლოდებში ვსახლდებით და
მერე ლოდებს თვითონ ვისახლებთ.
და ზედ გარსად ვეტმასნებით.
იმ ბზარებში ჭკვიანდებიან ახალ-ახალი ყლორტებიც -
ერთმანეთისგან ვმტვრიანდებით.
ერთმანეთის თესლს ქარი შემთხვევით თუ ჩაგვაცლის
აბლაბუდაგაბმულ ნაპრალში,
სადაც ისევე, როგორც ასაკშიშესულ ქალის საშოში,
გულუბრყვილოდ აღმოჩნდება მზადყოფნა მსწრაფლი განაყოფიერების.
თითქოს ამდენი საუკუნეა,
მიჩვეული არ იყოს ხან თესლის სიბერწეს, ხან კი მუცლის უნაყოფობას.
გარშემო მხოლოდ ლოდის სიპი კედლებია.
სიბნელე ბოდავს ხან სიმშვიდეს, ხანაც - ხიფათის მოახლოებას,
იზრდება ყლორტი.
მისი ფესვი ევას ასაკის როსკიპია –
ჟამიდან ჟამზე ვამპირივით სჭირდება სისხლი – თავისზე მძიმე საზღაური,
რომ გადარჩეს, რომ იბატონოს, რომ შეიყვაროს.
(ცა იმდენი ჩანს, რამდენსაც იტევს ჩვენი თვალები).
ლოდს კი თანდათან ეხევა გული.
ყლორტები კი ბედის საძიებლად ამოდიან და მალევე ხმებიან.
მხოლოდ ზოგიერთი, როცა ლოდის ბზარები იკეტება,
იქ მოექცევა და არც ჭკნება, არც ფერს იცვლის –
ცოცხალს ჰგავს და ცოცხალი არაა.
მკვდარსა ჰგავს და მკვდარი არაა.
რადგან იმ სულსაც
ამოხდომის მაგიერ შიგნით იბრუნებს.

და ღამეებსაც თავის თავში ათენებს.
გარეთ კი სიზმრებს თუ ააორთქლებს,
დარდებმა რომ არ დაუხეთქოს საფეთქლების ღეროები.
მერე გზას ვხლართავთ, ლაბირინთს ვთხრით იმ სიმყიფეში
და ზიგზაგებით ვაგრძელებთ სიარულს,
ერთმანეთის სიყვარულის ფესვებს რომ არ დავაბიჯოთ, გვერდი ავუაროთ.
რომელზე რომელი ცოდვა მწიფდებოდა წლების მანძილზე, ამას ვეღარ ვთვლით.
და რომ ახლა უნდა გავასინჯოთ ქუსლებს ,
სარეველას თუ რა სიკეთის მოტანა შეძლებია.
მივდივართ და ჩვენი თავიც მორჩილად მოგვდევს.
და ბზარებზე ხელებს ვიფარებთ, სიცოცხლე რომ არ დაგვცდეს შემთხვევით.

და ორჭოფობის ქარი უბერავს,
და ბზარებმორეული ლოდის ნაპრალი მიწით ივსება.
და სახლს დავეძებთ, როგორც რძით სავსე ძუძუს.
ძუძუდან კი მჟავე რძე წვეთავს.
ლოდები ხავსს ეჭიდებიან,
ჩვენ ხავსს ვაბიჯებთ და ცრემლებს ვადენთ.
ჩვენი გულისძგერა ლოდისძგერად გადაიქცა.
ზღვას რა ხანია დაავიწყდა ისევ მოქცევა –
იქნებ რომელიმე დაითანხმოს და შეითრიოს,
და გაამხელინოს ლოდებს სიმართლე,
გაამხელინოს ლოდებს სიმართლე.
გაამხელინოს ლოდებს სიმართლე.

დავდივართ და თითო ქვიდან თითო მკვდარი გულისკრეფით ვერთობით.
რამდენსაც ვიღებთ, ზუსტად ორი იმდენი რჩება.
და მერე სიტყვებს გამოსავლად შებრუნებით მნიშვნელობებს ვარქმევთ,
ბოლოსწინა ტალახიან ნაფეხურს ვეძებთ და
და ქვებში ვბრუნდებით..

ᲛᲐᲬᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲝ!

მადლობა, ღმერთო! შენ იყავი ისეთი დიდი, ისეთი სრული და ისეთი თავისთავადი. რომ როგორც ძზე და სულიწმინდა, ნაწილი შენი, სადღაც დავიწყე, სადღაც დავმთავრდი და მერე სადღაც თავიდან გავჩნდი. შენი თავიდან. მადლობა ღმერთო, რომ მხვდებოდი ყველა კუთხეში და კუნჭულში, სახლში და გარეთ...ყველა შემხვედრში, აღშემხვედრში, მოდარაჯეში, ყველა ღალათში, გაცემაში, ვერაგობაში, სიძულვილებში, სიავეში და გამოცდაში. მადლობა რადგან სიყვარულშჰი სასწავლელი სიყვარული აღმოჩნდა ღთული და იოლად დასაძლევი, კარგი სასწავლი, ბოროტებაში, მარტოობის დამადე მტვერი, მადლობა, მაინც მოვახერხე და ვთქვი მიყვარხარ. შენ შეგემატოს რაც კეთლი სიხალასე სიალალე,სიცილი ჩვენი, გმოტყუების და გაბრიყვების ბავშვური წყენა, გაოგნებანი,ნუთუ თკივილების მომნიჭებელთა სიხაარულიზე და გვაპატიე, თუ შევყვირეთ არ არიან გაჩჰენილი ბოროტნი შენით.მადლობა ღმერთო აკენკილი სიტყვებისთვის ღარიბ სუფრათგან, მიმოპნეული ხუმრობანი და ფრთიან ფრაზებად გამიფრთიანდა, მადლობა ზველთა და ახალთა მაგრად დგომისთვის, როცა ძლიერნი ამაქვეყნის ფორთხვას ითხოვდნენ.მადლობა, ღმერთო.

მადლობა ღმერთო, რათა არც ერთი ჩემი თბილი სამადლობელი, არ დამიტოვე უპასუხოდ.და ყველაფერი შენითა და ხელით, შექმნილი და ხელთუქმნელი,მირიადჯერ გადაკითხული,სიხარულებად ჩაიბარე ,და ამიტომაც ბევრი შემენდო.

მადლობა ღმერთო, რომ მომეცა ამდენი დღო პათიების გამოსათხოვად,...ჰო, მაპატიე, თუ ოდესმე უჩჰემოდ და ნაზად მოთოვა, მაპატიე წასაკითხი წიფ“გნები და მეგობრები და ყოველივე რაც შჰეჰქმენი და ვერ დავეწაფე წყაროს წყალივით...რაღაც მიშლიდა, რა და ...არ ვიცი....იქამც იყოს და ჯამმაც წაიღოს.

ჟამმა წაიღოს ,ყველაფერი რაც არ ღირდა ხსოვნად და ცოდნად...იუდას კოცნაც,და დარჩეს სითბო, სიმშვიდე და აპყრობილი ზეცისკენ თვალი , აფრენილი ზეცად გული, აშლილი ფიქრი დასაწყობი ლექსების კონად და შენთვის ლოცვად.

ქეთი გზირიშვილი

ერთი პეშვი

ბელა ჩეჯურიშვილი

თოკი

ეს თოკი გემის ანძაზე ასასვლელი კიბე მგონია, საიდანაც
თოლიების ფრთებს მივწვდებით და ქართან ერთად დავირწევით,
შენ ამბობ, თოკის კიბით ალყაშემორტყმულ გალავანზე
ავდივართ და სიჩუმე გვმართებს?
თუ ასეა, უფრო მყარად ჩაგეჭიდები და გავჩუმდები...

მეგონა თაგვისფერ, ცხელ ქვიშაზე როცა გავრბოდით, და თან
გზაგადგზა ტანსაცმელს ვყრიდით, ყელსაბამებს
ვაჟღარუნებდით თბილ ტალღებში გადაშვებამდე, ესეც
თამაშის წესი იყო, სიყვარულსაც რაღაცით ჰგავდა,
მაშ, ამბობ, ფეხებს უკანმოდევნებული შურის ღვარი გვიწვავდა
და სამოსსაც მიტომ ვიხდიდით, მისი მშიერი ხახა დაგვეცხრო?
და ამ გალავანს თუ გადავალთ, ხელს ვეღარავინ შეგვახებს და სახლში ვიქნებით?
თუ ასეა, უფრო მყარად ჩაგეჭიდები და გავჩუმდები...

როცა ერთმანეთს მკლავებს ვხვევდით და თვალს ვუხელდით,
როცა სურვილებს თმებს ვუმხელდით, ნიჟარასავით
ვიხსნებოდით და პეპლის ფრთებად წყვილად ვეფინეთ,
ვფიქრობდი, აი, გადავლახეთ სივრცის ჯებირი, აი, დროსაც
გადავუსწარით, აი, სახლი, აი, ნაპირი,
ხოლო შენ ამბობ, გაქცევაა ერთადერთი გადარჩენა და კენტად
თუ ვივლით, ვერ შეგვამჩნევენ, თუკი მე მარჯვნივ გავიქცევი
და შენ კი მარცხნივ, მოძალებულ ცნობისმოყვარეთ თავგზას
ავუბნევთ, და მერე კი, ამ გალავანს როცა გადავალთ, თუ ერთი
ჩვენგანი ტყვედ ჩაბარდება, ვეღარავინ იეჭვებს რამეს?
ამბობ, იქნებ სჯობს, ხელი ახლავე გამიშვა და ქალაქშიც ბარემ
მარტომ გადააბიჯო?
იქნებ სჯობს, ეს თოკის კიბე სულაც გადაჭრა, ან მისი ბოლო
ყელზე ყულფად შემომახვიო?
როგორ, თოლიების ხმა გესმის უკვე?

ცას შეიძლება დაეპნეს
პეშვში მოგროვილი ლოცვები,
მაგრამ ცა ვეღარ წამოკრეფს მათ.
ცა იტირებს,
მაგრამ ვეღარ წამოკრეფს მათ.
ცა იჩხუბებს,
მაგრამ ვეღარ წამოკრეფს მათ.
პატარა მწყემსი,
ორი ცხვარი ორი ბატივით რომ გაუგდია წინ,
პლეერს უსმენს.
მის ყურში „დედოფალია“,
ბაგეზე — „თეთრი ქარავანი“.
პატარა მწყემსი ბრმაა.
ცხვრებს, ნაბიჯით რომ არ სცილდებიან,
ყნოსვით აგნებს.
ცხვრებს უყვართ მწყემსის მოსმენა,
ცხვრებს უყვართ მწვანე ბალახი,
ცხვრებს უყვართ მიწა.
ცხვრები ბატებს ემსგავსებიან,
როცა ცა პეშვს ხსნის და ტირის.
პატარა მწყემსო, დაისველე თავი,
პატარა მწყემსო, მოიწმინდე პირი,
პატარა მწყემსო, აახილე თვალი,
აახილე,
აახილე,
აახილე!
ცა დაიქცა.
ორ ცხვარს, ორ ბატს რომ ჰგავს,
სახე ჩამოსტირის.
პატარა მწყემსს აღარ აქვს პლეერი.
მის ყურში თეთრი ქარავანია,
ბაგეზე — დედოფალი...
პატარა მწყემსმა ცა დაინახა.
ცამ გაიღიმა.

მედეა იმერლიშვილი

ხალამო

უღრან ტყეების გაქსელილ
ჩარჩოს შემოურკალავს ფერების
წყება - მოლოდინი ვარ.
მოუთხრობელი შენთვის ამბები
სიტყვების ნაცვლად ამ ხაზთა რწევას
ადევნებია. საღამოს ბინდში,
ჩამქრალ ბუხართან, აპრონენია ავიცია.
მწველი სურვილები, კლდიდან
გადავარდნის ან ცის უსასრულო ჭაში
ჩავარდნის, სასახლის სიჩუმეს შერთვია.
დაიხრება, აიღებს ნახშირს და
მარმარილოს ფილაზე ერთადერთი
ასო გამოჰყავს. მერე უცებ შლის
(თვალწინ მიდგას მოძრაობა მყისიერი),
და ცრემლებად იღვრება.

გია მურღუღია

ქალის ხმა

(საღამოს ლექსი)

“არაფერს!” - გეტყვი შენს მადლობაზე,
ზაფხულმა ღვინო ისევ დამისხა,
იცი, ჩემს ღიმილს რად განდობ ასე?
- რომ გამაგონე მშვიდი ქალის ხმა.

ეგ ხმა მიცოცხლებს ბევრ ისეთ სიტყვას,
რაც სიზმრის კოშკზე გამიგონია,
ზაფხულს ისევ ვთხოვ, ღვინო დამისხას,
წვეთად შენი ხმის წამი ჰქონია.

ამ ჩიტს უხდება ბუნების სოლო
და მასთან მღერის წადილი ფესვის,
ასე მგონია, ჩემთვის ხარ მხოლოდ,
როდესაც შენი სიტყვები მესმის.

დარეჯან უვანქიანი

წვიმის სეზონი

(ძმას)

იგი უცნაური მამალია
გამძლე დეზებით და
ფერმკრთალი ბიბილოთი.
...წვიმს , ცა ფეხად ჩამოდის...
ის შეყუდრებულია ლაფაროში
და მოწყენილი იმზირება გარეთ.
მის თვალებში ჩანს მსოფლიო სევდა,
ხოლო წვიმა ყვითელ მოწყენაში ძირავს
პატარა მდელოს , ჰორტენზიის ბუჩქს
და მამალს თვალები ებლანტება...
ყურთან მღერის ოჭვათო
და გაუცნობიერებელი ლხენა
ცდილობს წამოტივტივდეს
წარსულ დღეთა
ჩაფერფლილი ხსოვნის სანახებიდან.
და აგონდება მრავალი აგონია,
მთვრალი სიზმრები
და ფხიზელი გაუსაძლისობა,
აგონდება დაკლული მამლები
ოხშივარადენილი სისხლი,
სიკვდილის სერობა,
დანასავით გამკვეთი შიში გულთან
და ცივი , ცივი ოფლი ფრთებქვეშ...
აგონდება მზიანი დღეებიც,
თითქმის არყოფილი,
მაგრამ იმდენად მყოფადი,
რომ მისი თვალშეუდგამი სითეთრე
ახუჭვინებს თვალებს.
აგონდება ოქროსფერი მიჯნური-
ჰაერი უცხო სურნელით გაჯერებული,
სინათლე არამიწიერი
და ჯერ არგანცდილი ყივილი მზის მოსაყვანად,
და ყივილს მართლაც მოჰყვებოდა მზე და ნათელი
და მამალი, სამყაროში თავისი
განუმეორებლობის შეგრძნებით,
სულისამოხდომამდე ეწირებოდა
ოქროსფერ სატრფოს
დაბანგულ სიზმრებში...
მერე გალიერა...
და სისხლისგან დაცლილი გული...
მარტოობის მჭახე სითეთრე
და წვიმები, წვიმები...
გადაუღებელი სევდიანი წვიმები,
რომლებიც აბლანტებენ ჰაერს
და მღერიან მხოლოდ იმისთვის,
რომ შეგზარონ.
დგას მამალი ლაფაროში
შეყუდრებული,
სმენას უმღვრევენ ხმები რიოში
ყვავთა დასების...
არც ჰორტენზია - ასე ლამაზი, არც მზე,
არც ნათელი, არც გალიერა
და არც ყივილი,
რადგანაც მიხვდა, რომ მისი ყივილის გარეშეც
შეეძლო მზეს შეემკო ზეცა და
და დილებიც თავისთავად ცვლიდნენ ერთმანეთს.
მამალს ეტკინა...
ამოევსო თვალები სევდით,
დიდი ყივილი დაიმარხა გულში
და როცა ეს ყივილი დატოვებს
ფსკერს და ზეცის თავანს
ხანძარივით შეეკიდება,
მაშინ ინათებს და ნათელი
დაეფინება ჰორტენზიებს, მაგნოლიებს,
შქერებს , იელებს,
ვრცელ მწვანე ველებს, მაღალ ხეებს,
მცირე მდელოებს, და ჩააშუქებს
ოქროსფერი მიჯნურის სულშიც...
და დამთავრდება ეს სეზონიც-
გაწელილი და საოცრად ცივი,
მოწყენილი წვიმის სეზონი...
ის უცნაური მამალია...
...იგი ყვითელი მოთმინებაა.

წვიმის გილიოტინა

ნინო გუგეშაშვილი

თავი გადავწიე ჯერ უკან — არ მომწონს, ყელში ჩამდის.

სისხლია და სისხლის გემო აქვს. მერე აბაზანაში ცივ წყალს ვუშვერ სახეს... ვუყურე, ორფერი პატარა მდინარე თეთრ მინანქარზე როგორ უერთდება ერთმანეთს და გადის...

წყალი არ არის უფერო — უფერობაც ფერია, ყველაზე მოუხელთებელი.

დავდივარ ოთახებში, დიდი პირსახოცით სახეზე. ნაბიჯებით ვზომავ მუსიკას.

ნაბიჯების ზომა და სიხშირე ჩემი გადასაწყვეტი არაა — მუსიკის გადასაწყვეტია.

გავდივარ აივანზე... იდინოს, თუკი არ უნდა, რომ გაჩერდეს, იაროს — სისხლია, ქლიავის წვენი ხომ არა? თავისუფალია, აწყვეტილია....

ვეყრდნობი მოაჯირს, თავს წვიმას ვუშვერ — ვუყურებ მიწას.

წვიმა უკრავს: ბუმ–ტამ ტა–ბლი-რამ
ბუმ–ტამ ტა–ბლი–რამ...

ამ რიტმს უკრავდა წვიმა–დრამერი მაშინაც - ღამით გამოვიდა თორნიკე, შველი მოვკალითო, წამოდით, მწვადებს ვაკეთებთო.

შველი?!... ჰო, პატარა იყოო, ხელებით მოკლული შვლის სიგრძე მაჩვენა...

ბუმ-ტამ ტა-ბლი-რამ...
შველი მოკლეს...
პა-ტა-რა-რა-რამ...
ეტ-კინ-აბა-რამ..
ღამით მოიტანეს...
ბუმ და ტამ...

ეზოში ალუმინის ძველი ქვაბი გდია, გადაბრუნებული, ძაღლის ქვაბია. მთავარი წვეთი საწვეთურიდან ქვაბს ეცემა და „ტამ“ მაგის სათქმელია - არცერთხელ არ ჩააგდო რიტმი. „ბუმ“ ჩემი სისხლის წვეთია ცხვირიდან.

ვგიჟდები, ისე მომწონს — ვუკრავთ მე და წვიმა.

„ბუმ“ —სისხლის წვეთი, „ტამ“— ალუმინის ქვაბი და მერე ერთად იმსხვრევიან, გაფანტულ დიდ-პატარა ნასხლეტებად „ტა-ბლი-რამ“.

კისერში ცივი სამართებელივით მსერავს წვიმა. ნეტავ რამდენხანს უნდა მქონდეს თავი გადაქინდრული ასე, რომ წვიმის გილიოტინამ თავი წამაცალოს, ქვა ხომ გახვრიტა?

ბუმ — ტამ...

მომწონს, მივფრინავ!...

სანამ მუსიკა არ დამთავრდება, ეს წვეთი არც შეჩერდება, ტყუილად ვცდილობ, რა პირსახოცი! — პარტია აქვს შესასრულებელი „ბუმ“-ს უკრავს - პარტნიორს არ უღალატებს!

- რას აკეთებ, ე! — გამოვარდა ვიღაც. ვერ ვიცანი. მოსულან.

ვიცინი. ვუკრავთ-თქო, ვუთხრა - რას გაიგებს?!

ეძახიან ექიმს, თმებს მიმშრალებენ... „სისხლისგან გინდა დაიცალო?! რას აკეთებ!“

მოდის ექიმი. მიწის თხილს დაუდევრად ჭამს. აქაოდა, თქვენ ხო მაგარი ტიპები ხართო და მეც მაგარი ვარო — ჭამს მიწის თხილს.

ამ დროს მე არ ვარ მაგარი და თუ ვარ რამეში, არ მინდა, რომ ვიყო.

ვწევარ, სისხლს დაუნანებლად ვღვრი. რაღაცნაირად ფეხზე მკიდია.

ექიმი მიწის თხილის ჭამაში აშკარად ღელავს.

- სად არის ავადმყოფი?

ნუთუ არ მეტყობა, რომ აქ ვარ? მოთხუპნული ვარ ვამპირივით.

- აგერ არის.
- რა სჭირს?
- ცხვირიდან სისხლი მოსდის, ვერ შევუჩერეთ.
- აჰა, გასაგებია!

რა ჭკვიანი ექიმია, გაიგო.

– რამ გამოიწვია სისხლდენა? — ჭამს თან. იმისი ერთი მიწის თხილი — ჩემი ერთი პეშვი სიხლი.

აუხსნეს რაღაც. გაიგო!

— აჰა, ექიმს აჩვენეთ?

— აგერ, გაჩვენებთ.

— არა, სხვა ექიმს თუ აჩვენეთ?

— სხვა ექიმებიც არსებობენ? — თორნიკე ახლა აფეთქდება. ჩემი ჩარევაა საჭირო, მაგრამ მეზარება.

— ჰე, ექიმო ახლა, შენ შენი საქმე გააკეთე და თორნიკე, შენ კიდე ხელს ნუ უშლი თხილის ჭამაში. – მარტო ეს ვთქვი. ექიმმა უიუმორო კაცის სიცილით

ჩვენ მათ მივმართავთ...

ბელა ჩეჯურიშვილი

ამ ოციოდე წლის წინ, როდესაც კომუნისტური რეჟიმი გადავლახეთ და საუკუნის მანძილზე ნანატრი "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" რეალობად იქცა, აღმოჩნდა რომ ამგვარი თავისუფლებისთვის მზად არ ვიყავით.

მზად არ იყვნენ არც პოლიტიკურ მმართველობაში გამოწვრთნილი მამები

არც სამეცნიერო მაგიდებთან მსხდომი ქართული საზოგადოების საუკუეთესო ნაწილი

არც რევოლუციურად მოაზროვნე ახალგაზრდები

არც ალალი თბილისელები

და არც მიწის ერთგული გლეხები

არ ვიყავით მზად, რადგან

აღმოჩნდა რომ იმ იდეებს, რომელიც მიტინტებსა თუ საჯარო გამოსვლებში ლოგიკურად და ლამაზად ჟღერდა

დიდი დოზით აკლდა რაღაც,

და ეს "რაღაც" დამოუკიდებლად ცხოვრების, მმართველობის, აზროვნების გამოცდილება იყო

აღმოჩნდა, რომ მართალია კომუნისტური რეჟიმი იდეოლოგიურად არ მოგვწონდა

მაგრამ მისგან ისეთ თიხად ვიყავით მოზეზილები

ახალა ურთიერთობას ეკონიმიკასა და სასოფლო სამეურნეო საკითხებში კი არა, პირად ცხოვრებაშიც კი ვერ ვახერხებდით.

აღმოჩნდა, რომ თან ვართ თავისუფლები და თან ისევ იმ ძველ სტერეიტიპებსა და ჩარჩოებში ვსხედვართ და გვერდზე გადასახვევ ბილიკს არათუ ვერ ვხედავთ

ვინც ოდნავ გადაუხვევს, იმასაც კი ვერ ვუგებთ,

უფრო მეტიც

არ ვპატიობთ

უფრო მეტიც,

საკუთარ მტრად მივიჩნევთ და მზად ვართ, მის უკან დასაბრუნებლად "საღვთო ომი" გამოვაცხადოთ.

როცა დღეს ჩვენს მიერ გავლილ ბოლო ოც წელიწადს ვაფასებთ,

ისინიც, ვინც მაშინ ბარიკადების ერთ მხარეს იდგა

და ისინიც, ვინც ამ ბარიკადებს უშენდა,

(სულ ერთია, სიტყვას თუ ქვას)

ნათლად ვგრძნობთ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს , რაც 90-იან წლებში თავისუფლებამოპოვებულ ქართულ საზოგადოებას აკლდა

და რის დეფიციტიც კვლავაც მწავევა

ეს გახლავთ განათლება. განათლება, როგორც სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის სფეროში, როგორც პროფესიული უნარების ათვისების სფეროში, ასევე თანამედროვე სამყაროს გასააზრებლად.

აღმოჩნდა, რომ ძნელად ვხვდებით და ვიაზრებთ, რას ნიშნავს თანასწორობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა,

რას ნიშნავს არჩევანის ტავისუფლება

ტოლერანტობა,

აღმოჩნდა, რომ ეს ის ცნებებია, რაზეც თითქოს ხშირად გვისაუბრია, მაგრამ ვერასდროს შეგვითვისებია, ვერ გაგვიანალიზებია, რა შინაარსი იდგა ამ ცნებების უკან.

ლიტერატურა, რომელიც 40 საუკუნოვან საკაცობრიო მეხსიერებას ინახავს

მუდამ დასტრიალებს ერთ თემას - ეს პიროვნების ზრდის, ჩამოყალიბების, ჭესმარიტების ძიების, სულიერი ამაღლების თემაა.

ეს საკითხები არანაკლებ მძაფრად დგას 15 საუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში

და მიუხედავად იმისა,

რომ საქართველოში ყველა მოქალაქეს აქვს საშუალო განთლების მიღების უფლება

და თითქმის არ არსებობენ ანალფაბეტიზმით შეპყრობილი ადამიანები

ვერ ვიტყვით, რომ თუნდაც ქართული ლიტერატურა სამოქალაქო განათლების კუთხით ჩვენს საზოგადოებას გააზრებული ჰქონდეს.

ამ მკაცრი შეფასების უფლებას ქვეყანაში მიმდინარე ყოველდღიური მოვლენები იძლევა.

პირველი ბარიერი, რაც საზოგადოების სამოქალაქო განათლების გზაზე არის გადაღობილი

ეს შიშია

შიში, ყოველივე უცხოს, უცნობის მიმართ

იქნება ეს საგანი, სიტყვა, მოვლენა თუ ადამიანი.

ვფიქრობ, ამ შიშის დაძლევაში ჩვენს საზოგადოებას ყველაზე უკთ მხატვრული ლიტერატურა დაეხმარება. კლასიკოსთა ტექტსები, რომელიც თითქმის ყველა იმ კიტხვაზე იძლევა პასუხს

რაც დღეს თანამედროვე საქართველოს მოქალაქეებს აღელვებთ.

და ამ კითხვებზე პასუხის მოძებნა შეგვიძლია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურაში.

ხოლო მათ მოძებნაში, გაანალიზებასა და ახსნა- გაშიფრაში ჩვენს მკითხველებს იმათზე უკეთ ვინ დახმარებიან, თუ არა თვითონ მწერლები და ლიტერატორები?

ჩვენც, მათ მივმართავთ...

(ემხვარ ჯახაძის მინაწერი)

მენაგვე

რეი ბრედბერი



შეხედეთ ნაგვის მანქანებს სხვა თვალით, და ყველაფერი რიგზე იქნება...

ტიპმა ნაგავით დახატა, და ეს ტიპი არც მეტი არც ნაკლები ბრედბერია.. რეი ბრედბერი გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.. დღეს ნაგვის მანქანები მთელი დღე ვეძებე აღარაა ის მანქანები.. კაია, რო აღარაა ისე კი მინდოდა მენახა ბრეზენტგადაფარებული, თანაც ნახევრად ნაგავი აქეთ–იქით, რომ იყრება და ქუჩებს ანაგვიანებს რა ბრეზენტი ხალხო. რა ბრეზენტი ტილოა, ტილო ბრედბერი კი ხატავს ხატავს ოღონდ ბნელა.. ჩემთვის ბნელა.. აბა, თქვენ როგორ გაკადრებთ?!.. აი ბრედბერისთვის ყველაფერი ნათელია, ნაღდად! აი ახლა ფორთოხალი გავფცქვენი ყვითელია ხომ? აბა, თეთრ ფორთოხალს სად ნახავს კაცი? მენაგვე უნდა ვიყო მანდამაინც? აქ მაინცდამაინც ხომ არ უნდა დამეწერა?! გადავაბრუნე და წავიდა გამიმართლა დღეს ცოლმა სამარხვო მაკარონი დამახვედრა სადილად აბა, აბა, ეგეთე ბიარ იყოს და ჩემს ოჯახზე დღევანდელი დღით ნუ იმსჯელებთ უჰ. ფინალი მომივარდა თავში, სწორედ, რომ დროულია დედა? დედა პენსიონერია ახლა ზამთარია და თბილისში ჩემი დის სახლში ცხოვრობს მამა, მამაც მყავს 87 წლის ფრრმა არ ვიცი, მაგრამ სოფლისმეურნეობის ცოტა მეც გამეგება ატომური ბომბი კი არაის კიდევ ახლა ცოტა კიდევ უნდა ვიფიქრო.. დანარჩენს მერე დავწერ ისე.. მაგარი ტიპია ბრედბერი.. ვნანობ? ჰმ.. ჰმ.. ეს უკვე სტივენ კინგია

.. ვიცი, ვიცი , ბრუნება, უღლება გრამატიკა არ ვიცი არა, არა როგორ არ ვიცი.. მაგრამ თარგმნისას.. ოღონდ გავიგო და.. არა, არა სულს ეშმაკს ნამდვილად ვერ მივყიდი ვთარგმნი რა ჩემთვის ვდებ მერე "ებლიტფოზე" , რომელიც ამეგობრებს.. ეგ ნი ნაღდია და მერე ვკითხულობ, ვისმენ ვპასუხობ და ვაგრძელებ თარგმნას..

მერე მივდივარ ფანჯარასთანვიხედები ფანჯრიდან ვუყურებ მანქანებს და ვფიქრობ.. სხვები რატო არ თარგმნიან

ან ტუ თარგმნიან მე რატო ვერ ვპოულობ თვალს ხო არ ვარიდებ? რა ნაგავი , რის ნაგავი ოქროა, ოქრო ეთრი ოქრო უფრო ძვირი ღირს თუ ყვითელი

აბა, აბა კარგად დააკვირდით თითოეულ (ყოველ, ნებისმიერ.. აკი გითხარით არ ვიცი გრამატიკა–მეთქი) ბნელ და ცივ დილასცა ნარინჯისფერი იყო

მენაგვე

რეი ბრედბერი

მე შვიდე გვერდიდან

შეხედეთ ნაგვის მანქანებს სხვა თვალით, და ყველაფერი რიგზე იქნება...

ან იისფერი, ზოგჯერ წითელი, ყვითელი ან წყალივით გამჭირვალე,ფორთოხლის ნაფრცქვენები, ნესვის ქერქები, ყავის ნალექი ერთმანეთში იზილებოდა ,მანქანის ცარიელ ძარას თანდათან ავსებდა

აბა ერთი მითხარით. .ცივი და თეთრი ფერების დაპირისპირება, როგორია?!

მხატვარს ვარქმევ მე ამ ნათარგმს და შენიშვნებს, წინადადებებს და ა წერტილი შ წერტილს არ ვღებულობ თარგმანში გული ჩანს. ბრედბერის გული მისეულია და ესაა ყველაფერზე მთავარია

კი ,კი მართალია.. ეს ნაგვის მანქანა პალიტრა გამოდის უი, ახლა რა წამომცდება.. მენაგვე კაი რადიომიმღები სხვა ტალღაზე გადავრთოთ მაგალითად მუსიკალურზე მენაგვეზე სიმღერა იცით?

უი, უი .. ეგ რა დამიწერია.. რა შუასია ცივი და თეთრი აქ? თბილი უნდა იყოს.. თბილი.. ისე რო დაფიქრდეს კაცი.. დილიდ ხუთ საათზე ზაფხულშიც ხო ცივა?!

ეგაა საქმე?! თავი ხან მარცხნივ მივარდება(?!), ხან მარჯვნივ აი ახლა ეს ადგილი გამახსენდა.. “მაგრამ, ძირითადად,სამუშაო მაინც ერთფერობანი იყო , არაფერი ანაღვლებდა, მანქანიდან გაჰყურებდა სახლებსა და მოვლილ გაზონებს და ხედავდა, როგორ ჰგავდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრება ერთმანეთს.” – საინტერესია (აწ ბოლდი, კურსივი უნდა იყოს) სწორად ვარგმნე?

ეგ რა მომდის, ჩემო მცირერიცხოვანო მკითხველო. “თვალებს მანამდე ხუჭადა, ვიდრე შუქი ბოლომდე არ ჩაქრა და საბოლოოდ ყველაფერი არ გაშავდა. ზუსტად ისე, ღამით სრულ სიბნელეში ლოგინიდან რომ წამოდგეთ და ოთახში მარტო აღმოჩნდეთ” – აკი გითხარით დრო, ბრუნება უღლება მეშლება–მეთქი.. ეს მე დავხუჭე თვალები.. მენაგვესავით.. ბრედბერიო?! აბა, აბა.. ეგეთები არ იყოს!!!

უნდა დავამთავრო გაქრა ოცნება, ვარდისფერი სათვალეც გაქრა.. შავით (აქ კურსივი არ წავა ბოლდოა, ბოლდი) ფერით შეუღებავთ სამყარი თითქოს () მოგონებების დაშვებულა ფერადი ფარდა ეგ ის ფარდაა, უძრავად როა ტექსტში და უმწეობა თითქოს გლეჯს და იკერავს კაბას კი კი.. უღონო, უმწეო ხელებით.. სკამზე დახეთქებისას მაგიდაზე თვიტონ რომ ეშვებაინ!!!

ტილოს ისევ გადაფარებთ, და თქვენ გეცოდინებათ, რომ კვლავ დაბნელდება და ნაგვადქეული ნივთები მოძრაობას დაიწყებენ, ამოძრავდებიან, რადგან ხელახლა გაშავებულმა ნივთებმა აუცილებლად უნდა იმოძრაონ. იარონ, იარონ, იარონ ამინ! –

გლადიატორი

ზურაბ ლეჟავა

ერთმა საშუალოდ ცნობილმა გლადიატორმა აიკიდუსმა უთანასწორო, მაგრამ, ყოველშემთხვევაში მისი მხრიდან, სამართლიან ბრძოლაში დაამარცხა მეორე - დიდი (დიადი) გლადიატორი - ძალოსანი და მარდი, პუბლიკის ნებიერა კარატიუსი. თანაც არამხოლოდ დაამარცხა, არამედ საერთოდ მოკლა... დასცა მიწაზე, მკერდი გაუპო მახვილით და მოაჭრა თავი. აიკიდუსი, კაცმა რომ თქვას, არ იყო განსაკუთრებით ავი კაცი, და მაშდამე, შეეძლო, პრინციპში, არც მოეკლა კარატიუსი, მაგრამ მან იცოდა, რომ სწორედ ეს კარატიუსი იყო ნებიერა პუბლიკისა.

რიგით მოქალაქეებს, წარჩინებულ ხალხს, სენატორებს, მხედართმთავრებს - ყველას და თვით იმპერატორსაც უყვარდათ იგი. ისინი დაიწყებდნენ: -„ოოო, მოიცა რა! რის მოიგე, რა მოიგე!...როდის იყო შენნაირებს ეგეთები დაემარცხებინათ?! სარკეში მაინც ჩაგეხედა შე საფრთხობელავ! ... მერე ეს კარატიუსიც მოეგებოდა გონს და დაიწყებდა: - „მე-ე, რას ამბობთ! ვის მაან მე-ე?!.. ამან?!.. - და მოითხოვდა რევანშს. ეს დანარჩენები კი - მოქალაქეები ათასნაირი: სენატორები, მხედართმთავრები, უბრალო მოქალაქეები დაიწყებდნენ: - „ეს შენ შეემთხვევით! ეს შენ მო-ულოდნელობით! მიდი აბა კიდე ეჩხუბე!“ - მერე კი ვინ იცის როგორ შეტრიალდებოდა ყველაფერი, ისინი ყველანი დადგებოდნენ კარატიუსის მხარეზე. ხოლო კარატიუსი, სიტყვზე ითქვას და, უნდა აღინიშნოს, სულაც არ გახლდათ თიით ნაკეთი. ასე კი აიკიდუსმა ააღლიტა მას თავი და მორჩა. პუბლიკა დაიშოკა...

კარატიუსისდ ამმარცხებელ აიკიდუსს მისცეს საშუალება ცოტათი მოეთქვა სული... შემდეგ გამოდის მთავარი მწვრთნელი, კიდებს ხელს აიკიდუსს ხელში, მიჰყავს ის არენის ცენტრში და აცხადებს: - ამ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა დიდმა მებრძოლმა კარატიუსმა! - ტრიბუნებიდან ისმის ადამიანთა ქუხილისებური გრგვინვა. აიკიდუსმა გაკვირვებით და ერთგარი წყენით გადახედა მსაჯსა და აღელვებულ პუბლიკას. მას ესმოდა, რომ მოხდა უბრალო, ღიმილის მომგვრელი, მექანიკური შეცდომა, რომ ადამიანები ატეხავენ სიცილს, შემდეგ კი მსაჯი გაიღიმებ ს კეთილად და ხმამაღლა გამოაცხადებს, რომ მოხდა ღიმილისმომგვრელი შეცდომა, და, რომ სინამდვილეში გაიმარჯვა არა კარატიუსმა, რომელიც ახლა თავმოკვეთილია და წევს სისხლიან არენაზე, არამედ სახელოვანმა მებრძოლმა აიკიდუსმა და ა. შ. მაგრამ ასე არ მოხდა. მსაჯი არ უწევდა გამარჯვებულ აიკიდუსს ხელს, არ ჩქარობდა და, მგონი , არც აპირებდა შეცდომის გამოსწორებას.

აიკიდუსი მონა იყო და, ამიტომ თავაზიანად და წუხილით შეეცადა შეეხსენებინა მსაჯისთვის, რომ ორთაბრძოლაში გაიმარჯვა არა მის მიერ დამარცხებულმა კარატიუსმა, არამედ „მისმა მონა- მორჩილმა“, ანუ მან. მსაჯი ჯერ ცდილობდა მიეღო ისეთი გამომეტყველება თითქოს ხმაურსა და ღიანცელში არ ესმოდა გლადიატორისა. მაგრამ როცა ამ უკანასკნელმა თავისი შენიშვნა გაიმეორა კიდევ და კიდევ, და თან პრეტენზიითაც, მსაჯმა ზიზღითა და მოკლედ უპასუხა: - ასე გადაწყვიტა მსაჯთა კოლეგიამ!

აიკიდუსმა დააღო პირი. - ანუ, ეს როგორ?! - თითმის დაიღრიალა მან, - მე ის მოვკალი, მერე ცხვარივით მოვა ჭერი თავი, თქვენ კი მებნებით, რომ მან გაიმარჯვა?! - მაგრამ მაყურებლებს არ ესმოდათ მისი, ხოლო კოლიზეუმი გრიალებდა: - კარატიუს! კარატიუს!

აიკიდუსი ამას არ შეეგუა და ის არ დაემორჩილა თავის მონათმფლობელს, რომელიც მას ხელს უქნევდა კულისებიდან, და ემუქებდაკიდევაც კულისებიდან მუშტმოღერებით. ტრიბუნები ჩაწყნარდნენ და ხალხმა გაკვირვებით დაუწყო მომხდარს ყურება. მონა საახალხოდ ამბობდა დამორჩილებაზე უარს, იქნევდა ხელებს და რაღაცას გაჰყვიროდა. ეს, არაიმდენად იყო აღმაშფოთებელი, რამდენადაც დაუჯერებელი და უჩვეულო. თანდათან ყველანი დაწყნარდნენ და ცოტა ხანში კოლიზეუმში დამყარდა სიჩუმე. ყველამ დაუგდო ყური მონას. ის კი ისევდაისევ იმეორებდა იგივეს:

- მე დავამარცხე კარატიუსი პატიოსან ორთაბრძოლაში, ესენი კი, აი ეს ბღენძები ამბობენ, რომ გამარჯვებული მე კიარა კარატიუსია, მაგრამ როგორღაა ის გამარჯვებული, როცა აგრა წევს მთლად დაჩეხილი და თავმოკვეთილი!

ეს რომ სადმე სხვაგან მომხდარიყო აიკიდუსს ერთი მაგრად სცემდნენ და დაამწყვდევდნენ საკანში, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი ხდებოდა საჯაროდ, მონათმფლობელები გრძნობდნენ ერთგვარ უხერხულობას. მალე ტრიბუნებიდან გაისმა მრისხანე შეძახილები: - დაიკარგე აქედან! მოიგე არა ის! შენ ის შემთხვევით მოკალი! საფრთხობელავ მუზარადიანო, სარკეში მაინც ჩაგეხედა, ვენეციურში! სად შეგიძლია შენ კარატიუსისთანა მაბრძოლივიტ ჭიდილი! შენ მოკალი, მან კი გაიმარჯვა! - მაგრამ მწყობრიდან გამოსული გლადიატორის გადარწმუნება არ მოხერხდა. და, სიმართლეც მისი იყო ნამეტნავად თვალსაჩინო. მთავარი პრობლემა კი მდგომარეობდა იმაში, რომ რომის საბრძოლო კანონების თანახმად დამარცხებულ, მაგრამ ცოცხლად გადარჩნილ გლადიატორს საჯაროდ უნდა ეღიარებინა საკუთარი დამარცხება და მიელოცა გამარჯვებულისთვის, თუარადა შერკინება უნდა გაგრძელებულიყო. ამ დამარცხებულს, ამ დამთხვეულს, ერთი უყურეთ-და, საკუთარი დამარცხების აღირება არ სურდა, ხოლო ბრძოლის გაგრზელების თაობაზე განკარგულების გაცემა იქნებოდა უაზრობა, რადან „გამარჯვებული“ მკვდარი იყო უკვე.

აქ არენაზე გამოვიდნენ: რამდენიმე სენატორი, საჩინოები და მხედართ მთავრები და დაუწყეს ფერებით დაწყნარება და დარწმუნება აიკიდუსს, არ შეწინააღმდეგებოდა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებას. დაახლოებით, ასეთ კონტექსტში : -„ რა იყო, რა არის აიკიდუს, მართლა და მართლა?... რა საჭიროა ასეთი სიჯიუტე? ხომ გითხრეს: გაიმარჯვა კარატიუსმა, მაშდამე გაიმარჯვა კარატიუსმა! შენ ის დაუნდობლად მოკალი, საჯაროდ თავიც მოკვეთე, ახლა კი ლამის საიმპერიო კანონის წინააღმდეგ ილაშქრებ და არც კი გინდა აღიარო, რომ დამარცხდი. შენი თავი არ გეცოდება - კარგი; მკვდარს მაინც ეცი პატივი!“ - აიკიდუსი კი მჯიღს იცემდა მკერდში და ყვირილით პასუხობდა: - დიადო ბატონებო! მე პატივს ვცემ მკვდარს და პატივს გცემთ თქვენ, მსაჯთა კოლეგიასაც დიდ პატივს ვცემ და იმპერატორსაც, მაგრამ როგორ შემიძლია მე შევცვალო ის,რაც უკვე მოხდა?! მე-ის მოვ-კა-ლი!!!

ამ დროს,უცებ, მოხდა ნამდვილი სასწაული: კარატიუსის უსიცოცხლო თავმოკვეთილი სხეული შეინძრა და გაცოცხლდა, წამოიწია, დაუწყო ძებნა თავის სხეულს, იპოვნა, აიღო, შეათვალიერა, ცოტათი მტვერიც კი შეაბერტყა, ტამსაცმელზე შეიწმინდა, მხრებზე დაიდგა და ოდნავ ჩაიხრახნა კიდევაც;

ღვინომუქი ზღვა

ზურაბ ქარუმიძე

ბ-ნი პეტრე ჟღენტი დიდი სიამოვნებით უკიდებდა ხოლმე სიგარეტს სადალაქოდან გამოსვლის შემდეგ, სიამოვნებდა განცდა იმისა, თუ როგორ ედებოდა თამბაქოს ბოლი მისი ხორხის ლორწოვან გარსსა და მბგერავ იოგებს, ხრტილებით მორკალული ტრაქეის აპკოვან კედლებს, ტრაქეალური ბიფურკაციის გავლით, საამო სიგრილით რომ ამოუსუდრავდა ხოლმე ბრონქების განშტოებებსა და ბრონქიოლათა კლაკნი ლებს განსაკუთრებით კი ამოხველება უყვარდა ხოლმე, პირში საკუთარი შიგანის თავისებურ გემოს რომ უტოვებდა.

მოუკიდა. გააბოლა ამოახველა დადგა. ფეხზე რაღაცა რბილი მოედო. დაიხედა:

- მიაუუ} კატა ყოფილა,

თვალი მოავლო მის შავ სხეულს მომხიბლავთ.ა" მბზინავი ბეწვი, თეთრი ლაქა კუდის ძირში, მწვანე ელვარე თვალები. ნეტავ როგორსა მხედავს კოშკის სიმაღლეს?

კატამ პასუხად დაიკნავლა და მის ფეხს კნავილ-კნავილით შემოუარა. ყველაფერი ესმის, რისი გაგონებაც უნდა თანაც გულღრძოა. მერი. ცოლმა მიატოვა". შენ მიდიოდი იმ ღამეს მერი, მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა რისხვა იყო ვით საახალო ეფემერა, წითელი კლდე რომ გასკდა და გამოვიდა.,.

ბავშვიც თან წაიყვანა

- წადი". ფეხი ჰკრა კატას და მოიშორა" კატები არ უყვარდა აი, ძაღლი მესმის კარგია ძაღლი - ჭკვიანია.

თმისა და წვერ-ულვაშის შეკრეჭის შემდეგ დალაქთან თავის დაბანა წესად არ ჰქონდა. სახლში იბანდა ხოლმე. ახლაც სახლისაკენ გაუტია. საყელოში ჩარჩენილი თმის მომსხო ნაკრეჭები ნემსებივით ჩხვლეტდა სუფთად გაპარსულ კისერზე. სიფთაზე. უსიამოა. პირი გაშრა, მაცივარში ერთი ბოთლი ლუდი ელოდება. კარგია.

ქუჩის მზიან მხარეზე გადავიდა. ჰო, უმჯობესია საგანთა ასპექტებზე იფიქროს, იაროს, იპერიპატოელოს. თეთრი კანჭები — შავი, მოკლე საზაფხულო კაბის ბოლოდან ჩამოზრდილ" თეძოებზე შემოტკეცილი კაბა. სამზეოდ გაშიშვლებული მკლავები, ლავიწნი, მკერდი. ძუძუთა თეთრ მოცულობასაც შავი ქსოვილი ფარავს. შავი ატარებს, ირეკლავს (თუ გარდატეხს?) სითბოს..". ხელის შეხების სითბოს... საკმარისად ამობურცული აქვს, რომ ხელის გული ამოავსოს"... მეტიც... გამონაყოლზე უფრო მძაფრად რეაგირებს კაცი; განსაკუთრებით კი როცა თეთრი ფორმები შავითაა დაფარული.

ჟღენტის ფეხებთან რუხი პუდელი აღმოცენდება" ... შავისა და თეთრის ნაზავად: ხუჭუჭა და ნაცარა, ფრანგულა და მკვირცხლი ფინია, ცქმუტავს და მის ფეხთა აურას ყნოსავს ,,პუცლი, პუცლი, მოდი აქ!"" ხმას თვალი გააყოლა და ის გრძელ კანჭა შერჩა. მხარზე გადაკიდებული პლანშეტით ჩა"უარა. მხატვარია, ეტყობა. მოდი, დამწერე. არა, არც კი შემოუხედავს. მხოლოდ პუდელს მოუხმო და გრძელი ნაბიჯით განაგრძობდა..." ეფილეტ, ეფილეტ — ფაფუკთა ხორცთა გამო.

ვერცხლისამც პუდლად მაქცია, ფეხებთან დაგიწვებოდი...

„პუცლი"... სიადან მოიტანა ეს სახელი?".. ფაუსტურ ფოლკლორში ეშმასა ჰქვია... ვიცლი-პუცლი... არა მგონია, წაეკითხოს... ,,ტურფა ქალბატონს გულით ვახლავარ! მსურს გაგაცილოთ, მომცემთ მე ნებას?{{ არაფერსაც არ მოგცემს"... არა, არაფერს სწორედაც რომ მოგცემს...

პუდელი ისევ ჟღენტისაკენ გამოიქცა. ფეხსაცმელს უყნოსა. პატრონს გახედა. ისევ ჩემკენ. მაჭანკლობს... ისევ დაყნოსა და დრუნჩის ცმაცუნით გრძელ კანჭებს აედევნა"... თმის ნაკრეჭები მჩხვლეტავს... წავედით, წავედით. შხაპი და მისი ჯანი. თანაც მაცივარში ლუდია. ფეხს აუჩქარა — აცცელერანდო, როგორც ჯაგლაგი ცხენი, ფუნდუკსი დაყრილი თივის სიახლოვეს, რომ იყნოსავს. რაღა დარჩა. აქვეა. ნეტავი ლიფტი თუ მუშაობს. "„პახმელიაზე"" აღმასვლას დაღმასვლა გერჩივნოს... ჩათრევას — ჩაყოლა... მივქარე, აბანოში უნდა წავსულიყავი.

.....

სახლში შესლისთანავე, როგორც კი მიიჯახუნა კარი, გახდა დაიწყო. ტანისამოსი პირდაპირ ჰოლსი დაყარა და სააბაზანოსკენ წავიდა. როგორ ცხელა. მთვლემარე უძლურება ჰაერში. ვარდის ფურცებზე დადიხარ. შიშველმა ტერფებმა წებოვანი და ნოტიო სიგრილე იგრძნეს. თე გრილს ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული, როცა რომ ცხელა. სხვათა შორის, სიცხეში ბენედიქტინელ ბერ-მონაზონთა გრეგორიანული გალობაც კარგად მიდის - ცალხმიანია, ჰომოფონური, ანუ არა გღლის, თანაც საჭურისულად გრილია. მიმართულება შეიცვალა და, სამზარეულოს გავლით, სასტუმრო ოთახში შევიდა. პატარა მაგნიტოფონი აიღო. სამზარეულოდან კაბინეტში შეიხედა, რატომღაც, სა ისევ სააბაზანოსკენ გაემართა. ეზოდან ძაღლის ყეფის ხმა ამოდიოდა...

სააბაზანოს კერამიკულ ფილათა სიცივე — პირდაპირ კაკლებში გირტყამს. სახიფათოა. მაგნიტოფონი ჩართო და ბენედიქტინელ ყვერულთა მონოტონური გალობაც წამოვიდა — მონოტონურად მოედო კედლებს. მუშამბა-ფარდა გადაწია და ცალი ფეხი აბაზანაში ჩადგა. მეორეს ეყრდნობოდა. შხაპი მოუშვა და წყალი გაანელა ახლა კი ბანაობის განცხრომა.

წინასწარ ხედავდა საკუთარ სხეულს, სურნელოვანი საპნის ქაფით დაზელილს. იატაკზე მდგარი ფეხის ტერფმა რაღაცა იგრძნო - უფრო სხვა რამ, ვინემ კერამიკული სუსხი. რაღაცა საამო ტალღა წამოვიდა, ამოყვა ფეხს და საზარდულში წვენები აამოძრავა. აამოძრავა. სპირიტუს დომინი,

➲ მერე გვერდიდან

გლადიატორი

ზურაბ ლეჟავა

მერე კი აყვირდა: - ვინ დაამარცხე შენ, მე-ე?! ე, მე შენ ჩამოკიდებ და გაგახმობ! შენ მე შემთხვევით წამაქციე, მე ზურგით დავეცი და პატარა ხნით სუნთქვა შემეკრა. შენ ამით, ძაღლიშვილო, ისარგებლე და თავი მომაჭერი! აჰა, აი, ვიკუსიფიკუსი მურდალო! - და კარატიუსმა ამდენი ხალხის თვალწინ ერთგავარად ჩაანნა თავისი ცერი , საჩვენებელ ი და შუა თითები და გააკეთა გულისამრევი ჟესტი. აიკიდუსი შეეცადა, რომ მისი გარდაცვლილი სულისადმი უაღრესად დიდი პატივისცემისა და მოწიწების მიუხედავად, გამარჯვებული მაინც ისაა, ანუ აიკიდუსი. მაგრამ კარატიუსმა საცემრად გაიწია მასზე, შეეცადა მუცელში ეკრა მოწინააღმდეგისთვის წიხლი, თუმცა სახელდახელოდ მიხრახნილი თავი მოსძვრა, რადგანაც ის არ იყო ჯერ კარგად შეხორცებული. კარატიუსის სხეული წაიღეს ორმა ცენტურიონმა, ხოლო თავი წაიღო მესამემ. თავი ამ დროს ჯერ კიდევ ილანძღებოდა, მაგრამ სულ უფროდაუფრო ხმადაბლა და სისხლიანი დორბლის გარეშე. აიკიდუსი კი განაგრძობდა შეპასუხებას და თან სულ უფრო ჯიუტადაც.

მაშინ მასთან არენაზე ჩამოვიდა თვით დიადი კრასუსი, მოუთუნა მხარზე ხელი და შესთავაზე გვერდზე გასვლა ორი სიტყვის სათქმელად. ისინი გავიდნენ გვერდზე და ეუბნება კრასუსი აიკიდუსს ფამილარულად:

- დამიგდე ყური აიკიდუს, რა არის, რა გამოსვლებს აწყობ, მართლადამართლა? ნუთუ ვერ ხვდები, რომ თუ ყველანი ასე გეუბნებიან, მაშდამე ასეც არის: შენ მოკალი მან კი მოიგო - გასაგებია შენთვის, ხისთვიანო მონავ?! მე მ ესმის, რომ შენ ეს არ გესმის, მაგრამ, ის ხომ გესმის, რომ შენ ხისთავიანი ხარ? ჰოდა რაკი აგრეა, მაშდამე არცააა უცილებელი, რომ შენ ყველაფერი გესმოდეს!

აიკიდუსმა წარბი შეიკრა და უპასუხა დაუჯერებელი დაჟინებითა და შეუპოვრობით:

- ნუუ, ჯერ ერთი თქვენო ბრწყინვალებავ, დავუშვათ რომ, ხისთვიანი, თქვენის ნებართვით, მე შარვალში მყავს, და მეორეც... - და გლადიატორი შეფერხდა, -... მე თქვენ ჯერ მაიძულეთ მეღიარებინა, რომ მონა ვარ, ახლა იმის აღიარებაა მაიძულებთ, რომ წავაგე, ხვალ კი მაიზულებთ ვაღიარო, რომ , საერთოდ, მკვდარი ვარ , იმიტომ, რომ გუშინ მომკლა კარატიუსმა, მერე კიდევ რამეს მოიგონებთ. მაგალითად, რომ მე არ ვარსებობდი ადრეც!

- მერე რა ასეც რომ იყოს? შენთვის რა მნიშვნელობა აქვს გაიმარჯვე თუ დამარცხდი, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი - შენ ხომ ისედაც და ასდაც მონა ხარ მხოლოდ? - უპასუხა კრასუსმა დაფიქრებით.

- ჰო, მე მონა ვარ! მაგრამ ხომ განსხავდება მონა მონისგან? მე ხ გლადიატორი ვარ და არა მექისე, მთელი რომი მიცნობს თითქმის, ჩემს დაუყვედრებელ პურს ბრძოლით და სისხლით მოვიპოვებ და არა სინიორთა კვერცხხების ფხანვით! - უპასუხა აიკიდუსმა.

კრასუსმა ამოისუნთქა, გამგებიანად მაგრამ როგორღაც მფლობელივით ჩაიხუტა გულში. აი როგორც მოსაწონ ძაღლს ან ცხენს რომჩიხუტებს კაცი; მხარზე ხელი მოუთათუნა და ეუბნება:

- მოკლედ აქ საქმეა ასეთი: მე და ცეზამა - მე და ცეზარი, მაშდამე ჩვენი იმპერატორი - დავნაძლავდით და დავდეთ ძალიან დიდი თანხები თქვენს

ორთაბრძოაზე. ჩვენ ორივენი, ისევე როგორც, პრინციპში, ყველა დანარჩენი ვიყავით დარწმუნებულნი, რომ კარატიუსი ადვილად დაგამარცხებდა შენ და ჩემს მიერ წაგებული დიდძალი თნხა იქნებოდა ერთგვარი ქრთამი მიძღვნილი იმპერატორისადმი...საქმე იმაშია, რომ მე ძალიან მინდა გავხდე საიმპერიო ჯარების უმაღლესი მთვარსარდალი. შენ რომ არ გაგემარჯვა და გაემარჯვა შენს მოწინააღმდეგეს, ანუ რომ დასრულებულიყო ყველაფერი ლოგიკურად, მე გადავუხდიდი ცეზარს წაგებულ თანხას, ის კი დამნიშნავდა ამ თანამდებობაზე კმაყოფილი. და ასეთი ხასიათის ფსონები დადებული იყო საიმპერიო იერარხქიის ყველა დონეებზე. ქალაქის უბირ ხალხსა და მონებს შორისაც კი ჰქონდა ადგილი რაღაც ამის მსგავსს, მაგრამ შენ ჩვენ ყველას იმედები გაგვიცრუე და ჩვენ შენს გამო განვიცადეთ ფიასკო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია: შენ თუ დაუყოვნებლივ არ აღიარებ შენს დამრცხებას, საშიშროება დაემუქრება რომის სახელმწიფოებრიობასაც კი. იმიტომ , რომ ყველაფრი ყირამალა დგება შენი სიჯიუტის გამო! მომკვდარიყავი რა მოხდებოდა!

- თქვენო ბრწყინვალებავ, ახლა ჩემთვის ყველაფერი, მეტნაკლებად , ნათელი ხდება! მცოდნოდა ერთი, რომ ასეა საქმე და რომის ადა იმპერატორის სიყვარულითა და პატივისცემით , შეიძლება მართლა შევკვდომოდი იმ თქვენ კარატიუსს, მაგრამ თქვენ ხომ არ გაგიფრთხილებივართ, არამედ მიბრძანეთ ბრძოლა. ახლა კი თქვენ აკეთებთ რაღაც არაბუნებრივს და ითხოვთ, რომ მე დავთანხმდე და მივიღო ამაში მონაწილეობა! და მაინც, რატომ არ აიღებთ და არ უბრძანებთ ცენტურიონებს, რომ მომგრიხონ როგორც საშპლინტოვკე მავთულიდა ჩამაგდონ დილეგში. თქვენ კი უჩემოდ ჩათვალთ ჩემი გამარჯვება კარატიუსის გამარჯვებად? -იკითხა აიკიდუსმა.

- ჩვენ ასეც მოვიქცევით თუ ბევრს გააჩმახებ! ერთი უყურეთ რა ეშმაკია. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ყველაფერი იყოს კანონიერად. ახლა მოგიყვანთ უკან კარატიუსს, შენ მას მიულოცავ, თქვენ გადაეხვევით ერთურთს, ჩამოართმევთ ერთმანეთს ხელს, ხოლო შემდეგ ჩვენ დავასაფლავებთ კარატიუსს - თქვა კრასუსმა და ამისთნა საჩინო გვამისთვის შეუფერებლად, როგორღაც, შტერულად ჩაიხითხით, - უ-უ-უ-ა-ხა-ხა-ხა!

- არ წავა საქმე ეგრე! სჯობს წამათრიეთ დილეგში! - თქვა აიკიდუსმა მცირესდი დუმილისა და ფიქრის შემდეგ.

კრასუსმა აიჩეჩა მხრები და დაიწყო განსჯა იმისა, თუ რა მოემოქმედა შემდგომში. ფლავიუსთა არენა ხალხით იყო სავსე და არ იყო სასურველი სკანდალის მოწყობა სახალხო ზეიმზე.

იმპერატორი ცეზარი იჯდა თვის საიმპერატორო ლოჟში, მიირთმევდა ნესვს და თავზე ეხურა დაფნის ყლორტებისგან დაწნული საიმპერატორო გვირგვინი; მის გვერდით იჯდა მისი ორმოცდაათი წლის დედა და იმავდროულად საყვარელიც, ცხვირპაჭუა მაროზია და ისევე როგორც მისი ვაჟი ცეზარი მიირთევა ნესვს. ამ დროს ის უკვე აღარ იყო ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ძალიან ჰგავდა საგრძნობლად წამოზრდილ ახალგაზრდა ღორს.

- ჩადი ერთი ნახე, შეიტყვე რისთვის მოიყარეს თავი! - უთხრა მაროზიამ თავის ვაჟს ნესვის წუწვნით და ღრუტუნით.

- კარგი! - თქვა ცეზარმა და მოითხოვა სურნელოვანი წყალი ხელების დასაბანად.

მონებმა მოიტანეს წყალი. ცეზარმა დაიბანა ხელები , გაიმსრალა პირსახოცით და დაეშვა კიბეეზე რამდენიმე მეტად ტანადი ცენტურიონის თანხლებით არენისკენ. ტრიბუნები აგრიალდა ამის დანახვაზე. რომის მოქალაქეები მიესალმებოდნენ თავიანთ მპერატორს. იმპერატორი მიუახოლვდა არენის ცენტრში მოგროვილ ხალხს. დიდკაცობამ ქედი მოიხარა მის წინაშე, ის კი მათ მიესალმა. აიკიდუსმა და სხვა მონებმა მუხლი მოყარეს იმპერატორის წინაშე.

- ადექით, ადექით არ მჭირდება მე თქვენი მუხლმოდრეკვა! - განაცხადა იმპერატორმა კეთილგანწყობით. - ყოჩაღ მებრძოლო, შენ მამაცურად იბრძოდი, ვწუხვარ რომ წააგე, მაგრამ, რას იზამ, არაუშავს, სამაგიეროდ ცოცხალი ხარ და საღ-სალამათი. თუმცა კი , არ იყო საჭირო მოწინააღმდეგის მოკვლა. ნუ, დაგამარცხა , მერე რა, ამის გამო საჭირო იყო განა მაინცდამაინც მისი მოკვლა? ისედაც ხომ ცხსდი იყო, რომ წააგე... ადამიანი ერთნაირი ღირსებით უნდა ეკიდებოდეს გამარჯვებებსაც და დამარცხებებსაც! რომში გლადიატორებიც კი ჰუმანურებით გამოირჩებიან. მაგრამ ეს ისე, როგორც იტყვიან, - ჯანდაბას! მილოცვა ხომ მაინც შეიძლებოდა? რაცა უნდა იყოს ამდენი იქნია ხმალი ამ კაცმა! მოდი ახლა მე ვბრძანებ მოიტანონ კარატიუსის ნეშტი, თქვენ გადაეხვევით ერთმანეთს, შენ მას მიულოცავ გამარჯვებას და წახვალ დასასვენებლად ნახევარსარდაფში! ო,კეი?!

იმპერატორმა ეს სიტყვები წარმოსთქვა ისე ლაღად, არაიძულებით და, იმავდროულად ისე მბრძანებლურად, რომ აიკიდუსმა ვეღრაფერი თქვა საპირწონე და იყუჩა. ამასობაში ცეზარმა ბრძანა მოეყვანათ კარატიუსი. მანამდე კი იქმყოფ დიდკაცებს გაუბა კეთილგანწყობითი საუბარი. რამდენიმე წუთში მობრუნდნენ კარატიუსის მოსაყვანად გაგზავნილი ცენტურიონები. ერთ -ერთ მათგანს შუბის წვერზე ჩამოცმული მოჰქონდა კარატიუსის თავი; ტანი მათ არ მოუტანიათ.

- ტანი სადღაა, თქვენი დედა..? - იკითხა იმპერატორმა.

- თქვენო უავგუსტოესობავ! ტანი შეამოწმეს ექიმებმა.აღმოჩნდა , რომ ლეში ჯერ კიდევ ახალი იყო, მაგრამ მალე გაფუჭდებოდა, მოგეხსენებათ ზაფხულია ბატონო. ამიტომ ის თქვენს საბრძოლოო ლომებს აჭამეს! - განაცხადა ერთ-ერთმა ცენტურიონმა და ბუნიკზე თავჩამოცმული შუბი მიწაზე ტარით დაარჭო.

- ტფუ , - ჩააფურთხა იმპერატორმა, - და თავი რაღატო დაიტოვეს ნეთავი?

- თავი იმიტომ დაიტოვეს თქვენი კვნესა მე, რომ ის ჯერ კიდევ ლაპარაკობდა!! - უპასუხა ცენტურიონმა.

- ვა, მართლა?! ერთი უყურეთ, ეს გლადიატორი პროფესორი დოუელი ყოფილა, კაცო! მაშინ ჯერ კიდევ არაა გვიან , რომ აღსრულდეს ტრადიიული რიტუალი! აბა, მებრძოლო ,

მიულოცე შენს მიერ შემუსრულ გამარჯვებულ მეტოქეს როგორც წესია, მერე კი მშვიდობით წადი შენს ნახევარსარდაფში. მე შენ გამოგიგზავნი ნესვს, ხოლო კარატიუსის თავს სანადირო არწივებს მიყგდებენ. ცოტათი გაკორტნონ სანამ სულ არ გაფუჭებულა. არწივებს ძვლიანი ხორცი უყვართ, თან ტვინიცაა თავში და ფრინველისთვის სასარგებლოა.

აიკიდუსმა მჭმუნვარედ ამოისუნთქა, მივიდა შუბისწვერზე ჩამოცმულ დასისხლიანებულ თავთან მივიდა და ეუბნება:

- მააპატიე კარატიუს, რომ მოგკალი, უამრავი ჭრილობა რომ მოგაყენე და თავიც მოგაჭერი!

- ეგ არაფერი! - უასუხა კარატიუსის თავმა და ისეთნაირად ჩამოხედა, როგორც იცქირებიან ხოლმე მაშინ, როცა სადღაც ძალიან ეჩქარებათ და ამ სიჩქარეში სურთ მოისმინონ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, როცა დრო აღარ რჩება წვრილმანებზე დასაქუცმაცებლად. აი, როცა, ვთქვათ, ჯარისკაცი მიდის ფრონტზე, სადაცაა ჩაჯდება უკვე დაძრულ მატარებელში, რომელიც ნელ-ნელა იკრებს ძალას და ელის გასაცილებლად მოსული გოგონასგან სიყვარულის

➲ მეშვიდე გვერდიდან

➲ მეექვსე გვერდიდან

წვიმის გილოტინა

ნინო გუგეშაშვილი

გაიცინა. რაღაც გრძელი ბინტის ნაჭერი ამოიღო და რაღაც რკინაზე დაახვია. შუბლზე თვალი გაიკეთა, ღელავს, მუშაობს, მიწის თხილს ჭამს.

ხელები დაკავებული აქვს, თხილებს ჯიბიდან ვეღარ იღებს, მაგრამ ღეჭვას კი აგრძელებს.

ნეტავ რა ხდება? მღელვარებისგან დაავიწყდა, რომ მიწის თხილი პირში აღარ აქვს და ინერციით იღეჭება, თუ სადმე ლაყუჩებში აქვს მარაგი?

— ექიმო, აი სულ ცოტა სისხლმა რომ იდინოს, ისე რომ გავაკეთოთ, არ შეიძლება? — ეკითხება თორნიკე, ხელების ისეთი მოძრაობით, თითქოს სანტექნიკს ელაპარაკება.

— რაშია საქმე?

— უხდება ნინოს სისხლი სახეზე.

— უხდება, არა?

— ნინო, სარკეში არ ჩაიხედე? სისხლი გიხდება, ვამპირს გავხარ.

— ვამპირს, არა? — ექიმმა თავი გაიცინა. თავის თავი ძალად გაიხითხ ითა. ლაპარაკი მეზარება, მგონი ვთქვი, შენ უსისხლოდაც რომ ვამპირს გავხარ, შენ რა გეშველება-თქო თუ რაღაც. ეტყობა, ვთქვი — ექიმმა ისეთი სიცილი აიტეხა, რომ ის ვირტუალური მიწის თხილი სასულეში გადასცდა და წყალი მოურბენინეს. ბებიაჩემის თქმის არ იყოს, თვითონ სამკურნალო ექიმი იყო. დიდხანს ახველა, სერიოზულად შევწუხდი, მაგრამ შეწუხების თავიც აღარ მქონდა, თან საკუთარ ვამპირობას ნელ-ნელა ვიჯერებდი.

— ექიმო, აქ არ მოკვდე, თუარა ვინ დამიჯერებს, რო მე არ დაგკბინე....

აქ დამეძინა, თუ გამეღვიძა — არ მახსოვს.

გული წაგივიდაო, დედამ. მაგრამ არ მჯერა. მჯერა, რომ რაღაც სუფევის სივრცე გამოვიცვალე, ან ფორმა.

მოკლედ დამეძინა, ან გამეღვიძა....

* * *

— ვინ არის? — იკითხა ღრუბელმა.

— შველია, დაჭრილია. — უთხრა შურთხმა.

„ჯობია დავაწვინოთ“. — თქვა ბალახმა.

— გული წაუვიდა. — თქვა ექიმმა, მიწის თხილს ჭამდა.

— დააწვინეთ, ჩქარა, დააწვინეთ! წყალი! ნინო... გაახილე, ნ ი ი ი ნ ო ო ო .....

არ ვარ შველი, კვამლი ვარ და გასვლა მინდა, მუსიკა დამრჩა, კარგად ვარ.

— მიმიშვით, დავბან, სისხლიანია. — თქვა ღრუბელმა და იწვიმა ჩურჩულით, — ადექი, წადი. შენ იცი, რომ შენი მწვადი გემრიელია?

„ნეტა იქუხოს!“ ვიფიქრე და იქუხა.

ქუხილის შლეიფს მივყვები მილევადს.

მომეცი ძალა!

ვარ ნადირი და არ მინდა გავხდე ნანადირევი...

— ვინ ინადირა? ვინ ინადირა? ვინ ინადირა? — იკითხა ექომ....

ნარინჯის მონოლოგი

მაია ლდოკონენი - ნარინჯი

სიტყვების გამოგონება მიყვარს — სიტყვების გამოგონება ხატვას ჰგავს. უცნაური სიტყვების შეგროვება და მოსმენაც მიტაცებს — აი ისეთების, ძველებურ ქართულ გამოცანებში რომ ისმინება: «ბეწიკური შუკანანაი, ბროლით გამოტენილანი», ან «აშიბაში, თუნთრუბაში», ან კიდევ «ჩაიკსკილიკიმაჟურ-მოისკილიკიმაჟურა.» შეიძლება ასეთი სიტყვები არ დახატო?

მუსიკასაც ვხატავ ხოლმე — ყველაზე კარგად ჯაზი იხატება, ჯაზს განსაკუთრებულად უხდება გრაფიკა. პირველად პეტრუჩიანის მუსიკა მოვხაზე და ნახატებს «პეტრუჩიანის აკორდი» დავარქვი, შვიდი ნოტა-სურათი იყო: «დო-მინანტი,»

«რე-ვერანსი,» «მი-მიკა,» «ფა-ნტაზია,» «სოლ-ისტი,» «ლა-ილაი» და «სინთეზი.» ისე,

ბენსონიც არაჩვეულებრივად იხატება, ზავინულის ზოგიერთი კომპოზიციაც, სტინგიც.

ვხატავ წიგნებს — მათ პერსონაჟებს. ორი წიგნი მაქვს, სულ თან რომ დავატარებ:

«ნატვრის ხე» და «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.» ჯერ ვერ გამიბედია მათი დახ ხაზები. ფორუხის ყვავილებს ვხატავ, განჯელის სალოცავ ქრისტიან ქალს, კიდევ... შაჰიდ ბალჰელის სახელს — ჰო, სახელს! რა ლამაზად ჟღერს: შ-ა-ჰ-ი-დ ბ-ა-ლ-ჰ-ე-ლ-ი — არდახატვა არიქნება!

მეკითხებიან ხოლმე, ფერებშირატომ არხატავო და მიკვირს. იმასაც მსაყვედურობენ

ქალები რატომ ჭარბობს შენს ნახატებშიო და მეღიმება. მიმაჩნია, რომ ორ ფერში (შავ-თეთრს ვგულისხმობ) რეალობა და ემოციები გაცილებით ექსპრესიულად იხატება.

გრაფიკა თავის თავში განსხვავებულ ექსპოზიციასა და დამთვარიელებელს გულისხმობს, ისევე როგორც ჯაზის მოსმენას სჭირდება განსაკუთრებული გარემო და მსმენელი. რაც შეეხება ქალს, მისი მობილური და ელასტიური ბუნება თუ სხეული, მეხმარება გადმოვცე ნებისმიერი განცდა, მოვლენა, წელიწადის დრო თუ ამინდი, თუნდაც საგანი ან ნივთი. ამიტომ ქალი ჩემს ნახატებში მხოლოდ ქალი როდია; მას შეუძლიაფიქრიც იყოს, განწყობაც, სიტყვაც და დეკორიც.

გრძნობების გამოგონება არ მიყვარს. — გამოგონილი გრძნობებით არც ნახატი გამოდის და არც ამბავი. მაინტერესებს, რომელ ფიქრს უფრო ხშირად ფიქრობს ადამიანი მოწყენილს თუ მხიარულს? დავდივარ და თვალებში ვუყურებ: დედამიწაზე მართალია, უამრავი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ თითოეულს ხომ მხოლოდ საკუთარი არსებობა მიაჩნია ყურადღების ღირსად. თითქოს ქუჩაში შემხვედრი ნებისმიერი მოკვდავი მის გარეშე არაფერს წარმოადგენს, ისტორიაც მისი არსებობის დღემდე იწერებოდა მხოლოდ. წარსული ფოტოებად აღიქმება — გრძნობები, ემოციები და ოცნებები კი მხოლოდ აწმყოში, მის კონკრეტულ ცხოვრებაში ისხამს ხორცს. წწ

სინამდვილეში კი ყველა ერთ გზაზეა: ყოველ ოცდაოთხსაათში ერთხელ, წლიდან წლამდე — თითოეული უხილავს, გაუგონარსა და ჯერარნაგემს დაეძებს.

ასეთ დროს ვხვდები, რომ ადამიანს უსათუოდ სჭირდება ზღაპრის დასანახი თვალი — ცოტა ხნით გასახელად, წამით გასახედად მაინც. გრძნობამ რომ აავსოს, დაარწყულოს, ან პირიქით, გრძნობარომ გადმოღვაროს.

გრძნობა თხევადია.

მაია ლდოკონენის გრაფიკა

ზურაბ ლეჟავა

გლადიატორი

აღიარებას და კდემამოსილ კოცნას. მატარებელი კი, ამასობაში, უმატებს სავალალო სვლას, მებრძოლს კი უკვე მოუთმენლობისგან წვერიდან სწვეთავს წვეთ-წვეთ.

- მოკლედ , შენ კარატიუს ძალიანაც ნუ გამიბრაზდები! როგორც იტყვინ: ყველანი იქ ვიქნებით! რაც შეეხება გამარჯვებას მე, რათქმაუნდა, გულწრფელად გილოცავ გამარჯვებას და გისურვებ კიდევ მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებას, მაგრამ ამჯერად გავიმარჯვე მე.

კარატიუსის დასისხლიანებულმა თავმა გაკვირვებისგან დააღო პირი და ალაპარაკდა:

- როგორ თუ შენ მოიგე? შენ გინდა თქვა, რომ ამ ბრძოლაში შენ მე დამამარცხე?! შენ ფიქრობ რას ლაპარაკობ? შენ გაიმარჯვე და მე მილოცავ გამარჯვებას?! მაშ მე რაღას მილოცავ თუ შენ გაიმარჯვე?! შენ უბრალოდ მიცვალებულს დამცინი, ახლო მაინც მოდი, რომ ერთი კარგად შეგაფურთხო სახეში სიკვდილის წინ!

- შენ კაცი ვერ გაგიგებს კარატიუს - თითქო ცოცხალი ხარ: ლაპარაკობ, იფურთხები, ახლა კი უცებ ამბობ მიცვალებულიო... - უპასუხა აიკიდუსმა.

- რა, არა? მე უკვე ლომებმა შემჭამეს წეღან! ჩემგან მარტო აი ეს ერთი უტვინო თავიღა დარჩა და იმასაც მალე ლომებს აჭმევენ ან საიმპერატორო არწივებს მიუგდებენ საჯიჯგნად. მე კიარა შენც მკვდარი ხარ რამდენი ხანია. გლადიატორი ხომ გვამია მოსიარულე. განა ასე არაა? გეხვეწები აღიარე შენი დამარცხება სანამ ჯერ კიდევ გვიანი არაა! სიკვდილის წინ გთხოვ ამას!

- არ შემიძლია, იმიტომ, რომ თუ ყველაფერი ეგრეა როგორც შენ ამბობ, მაშინ მე ამ ჩემი გამარჯვებების გარდა სხვა არც არაფერი მაქვს და არც არაფერი ვარ! მე ეს გამარჯვება ვარ მხოლოდდამხოლოდ! - უპასუხა აიკიდუსმა.

- ეეეხ, მესმის შენი! - თქვა კარატიუტმა, - კარგი. მაშინ მე მოვკვდები და გავემგზარები მამაჩემის მამასთან. არ მომოხსენიო ხოლმე აუგად, კარგი! იქნებ იქ ,შევხვდეთ როდისმე, იმ ქვეყანად და კვლავაც გადავაჯვარედინოთ ჩვენი გლადიუსები. იცოდე,მე არ ვარ შენზე გაბოროტებული და არც შენი წყენა მიმაქვს თან. აბა, ჯანმრთელი იყავ და თავს გაუფრთხილდი! - თქვა კარატიუსმა და მოკვდა.

- ჯანმრთელი იყავ! ნათელში გამყოფოს ღმერთმა! -მიაყოლა აიკიდუსმა გამოსათხოვარი სიტყვა კარატიუსს, მუზარადიც მოუხადა, ვაჟკაცთ წესისამებრ, და დახარა თავი.

იმპერატორმა ბოღმით შეხედა აიკიდუსს, ბრაზით გაასავსავა თავი და დაიღრიალა ამასობაში:

- ტა-ტა-ტა-ტა-ტა! არა, ერთი ამას უყურეთ, რა! აი, მაინც როგორი ულმობელი ხალხი ვართ ჩვენ ადამიანები! მომაკვდავმა მებრძოლმა სიკვდილის წინ სთხოვა ეღიარებინა მისი გამარჯვება, ამან კი მეგობრის უკანასკნელი თხოვნა უგულებელყო; ნუ, შესაძლოა მეგობრი არა, მაგრამ კოლეგა ხომ იყო?! თუმცა რომელ კოლეგიალურობაზე შეიძლება ლაპარაკი გლადიატორებთან? ესენი... ესენი ხომ ულმობელი ხალხია; არაადამიანები!

ამის შემდეგ იმპერატორმა უბრძანა ცენტურიონებს წაეღოთ „ეს“ (კარატიუსის თავი), არწივებისთვის საჯიჯგნად, ხოლო თავის ქალიდან, თუ ის არ აღმოჩნდებოდა დაზიანებული, გაეკეთებინათ ჭურჭელი ხელების დასაბანად. ცენტურიონები წავიდნენ და იმან, რომელსაც შუბისწვერზე ჩამოცმულიჰქონდა კარატიუსისი თავი, მოიქნია თავისი შუბი და ხუმრობით ჩასცხო მკვდარი თავი თავის მეგობარს თავში. თავი შუბიდან მოსხლტა, მაგრამ მეორე ცენტურიონმა მოასწრო დაეჭირა იგი ქვედა ყბით და ახლა მან ჩასცხო თავის მეგობარს, რომელმაც მოასწრო ცოტათი გვერდზე გაწევა, რის გამოც ანტიკურ სამართალდამცველს მკვდარი თავი მოხვდა ზურგში. ეს განმეორდა ორგზის. ხმა წარმოქმნილი ამ დარტყმებისას იყო ყრუ და დახშული.. ამის შემდეგ ცენტურიონმა დააგდო თავი მიწაზე და ანტიკურმა სამართლდამცავებმა ფეხებით გააგორეს ის ერთერთი გასასვლელის მიმართულებით. ამ გასასვლელის კარი იყო ღია, მაგრამ როცა რჩებოდა ათიოდე მეტრი, კარი უეცრად გაიღო და იქიდან გამოვიდა არცთუ ახალგაზრდა, ოდნავ შესქელებული მონა ქალი. ცენტურიონმა დაუყვირა მას: - გაიწიე! - და ხელის აქნევით მიუთითა საით გაწეულიყო და როცა არცთუ ახალგაზრდა მონა ქალი გვერდზე მიდგა, ცენტურიონმა სამი ნაბიჯით უკან დაიხია, მერე გაექანა და მკვდარ თავს მთელი ძალით გაჰკრა ფეხით:

- გოოლ! - დაიყვირა მკვდარმა თვმა და გაიჭედა პიდაპირ ცხრიანში.

- გოოლ!!! - დაიგრიალა სრულიად კოლიზეუმმა და ქუდები და მუზარადები აიჭრნენ ზეცაში, ხოლო მეორე ცენტურიონმა მიირბინა „გოლის“ ავტორთან , გადაეხვია მას და, მიულოცა. მათ ხელისგულები მიარტყეს ერთურთს.

- იმპერატორი გაავებული და აღრენილი სწრაფი ნაბიჯით მიეახლა აიკიდუსს და მრისხანედ დაუღრიალა:

- - ახ ასე?! შენ შენი მეობის დემონსტრირება გადამიწყვიტე?! შენ უბადრუკმა მონამ გაბედე ჩაგედინა გაუგონარი და შეეცადე თავდაყირა დაგეყენებინა რომის საუკუნოვანი კანონები?! შენ მე საბრძოლო ლომთან შეგარკინებ ხვალ! და თუ ხვალ შემთხვევით მოკლავ ლომს, ზეგ შეებრძოლები ერთდროულად ორს და იმათაც რომ გაუმკლავდე ზეგ შეებრძოლები სპილოს! და ეს შერკინებები გაგრძელდება მანამ, სანამ არ აღიარებ, რომ შენ წააგე, ან მანამ, ანამ არ მოკვდები ჩემი გლადიატორების, ლომები, და სპილოების ან სხვა ხორციელის ხმლებით, ტორებით და ხორთუმებით ა! აი ასეა და ასე იქნება!

აიკიდუსმა შუბლი შეიკრა, შუბლქვეშიდან შეხედა უავგგუსტეს და პირქუშად უპასუხა:

- იცი რა ცეზარ, მე გლადიატორი ვარ და სულერთია ჩემი სიკვდილით არ მოვკვდები. ასე, რომ გამოიყვანე ხვალ შენი ლომი და მე შევეცდები ის მოვკლა. თუ, მოხდება სასწაული და მე მას მოვკლავ, მაშინ მაზეგ გამოიყვანე ორი ლომი ერთად და მე შევეცდები მოვკლა ორივე. მერე გამოიყვანე სპილო... მაგრამ დამარცხების აღიარებას ჩემგან ვერ ეღირსები. და გადმომმიფურთხებია მე შენთვის ეიფელის კოშკიდან!

იმპერატოს ელდა ეცა მამაცი გლადიატორის სიტყვების გაგონებისას, მაგრამ მას არ უბრძანებია მისი დანაწევრება ან ძელზე გასმა, არამედ მხოლოდ ხმას დაუწიადა ხმადაბლა უთხრა:

- მე კი შენთვის მომიფურთხებია!

მას სურდა სიტყვა „მონაც“ მიემატებინა, მაგრამ საამისოდ როგორღაც ენა არ მოუბრუნდა. ის დაბალი იყო და ჯმუხი, ხოლო გლადიატორი მაღლი და ბრგე. ჰოდა რომ აჰხედა და თვალი თვალში გაუყარა სიტყვა „მონა“ ნათქვამს ვეღარ მიაყოლა.აიკიდუსმა ცენტურიონების თანხლებით დატოვა არენა. ის ჩაკეტეს ნახევარსარდაფში და არავის ის იქ არ უცემია, არც შეურაცხყოფა მიუყენებია. ისკიარადა მას იმპერატორმა ნესვიც გამოუგზავნა. მას მონა ქალიც კი შეუყვანეს ღამის მშვიდად გასატარებლად და მებრძოლს უარი ამაზე არ უთქვამს. ეს იყო ახალგაზრდა გოგონა რომელიღაც შორეული ქვეყნიდან, ისეთივე შორეულიდან, როგორც იყო მისი საკუთარი ქვეყანა. აიკიდუსს ძალიან სჭირდებოდა მაშინ გაეზიარებინა ვინმესთვის საკუთარი აზრები, მოესმინა რჩევა...გოგონა კი,სხვათშორის, საკმარისად გონიერი აღმოჩნდა, ესეც არ იყოს, არ იყო იქ მის გარდა არავინ. გოგონა არათუ დაჟინებითა და ძალიან, მაგრამ მაინც სთხოვდა დათმობაზე წასვლას და რომის კანონების დაცვას, არგალაშქრებას ამ კანონების წინააღმდეგ. სთხოვდა საკუთრი დამარცხების აღიარებას, საკუთრივ და შესაძლოა მისიც, ანუ თავად გოგონას და სხვათა სიცოცხლეების გადარჩენისა და გაფრთხილების მიზნით. ამ ლაპარაკისას გოგონა მთელი სხეულით ეკვროდა მას და იგრძნობოდა რაღაც გულწრფელი, არაყალბი მის სიტყვებსა და ქცევებში. თვით აიკიდუსიც ხვდებოდა, რომ რაღაც , შესაძლოა, სავსებითაც სულელური პრინციპის გამო არ ღირდა საკუთარი, ხოლი პოტენციალურად სხვათა (მათ შორის ამ გოგონას) სიცოცხლეების საფრთხეში ჩაგდება, სიცოცხლეებისა, რომელთა პერსპექტივაში გადარჩენას შესძლებდა და რომელთაც დახმარებასაც ის შესძლებდა, დაუყოვნებლივი დათმობით,საკუთარი, ბუნებაში არარსებული, დამარცხების დაუყოვნებლივი აღიარებით...

...მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა აიკიდუსს არ შეეძლო ეღიარებინა ბუნებაში არაარსებული დამარცხება და, მიტუმეტეს საკუთარი, რადგან ის, დიახაც რომ, ჭეშმარიტი მებრძოლი იყო და ალესილი მახვილივიტ მხოლოდ გამარჯვებისთვის შემართული.

„ორი კითხვა რეფერენდუმისთვის“

1. რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ
2. კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით

მთელი ცხოვრება კითხვა პასუხის რეჟიმში ვარ,საკუთარ თავთან, ბუნებრივია ალბათ ყველა ასეა, მაგრამ დამღლელია უფრო,დანაშაულის განცდა, გამუდმებით რაც თან მდევდა,აბსოლუტურად ყველა ურთიერთობათი, ყველა დონეზე,და ერთი და იგივე კითხვა,ხომ არ ვაწყენინე? ყველაზე ხშირად ამას ვეკითხები თავს.

ანალოგიურად შემიძლია გადავიტანო იგივე კრიტიკის ჭრილში ანუ იმდენად თან მდევს გამუდმებული დანაშაულის განცდა,სულ უცხო ადამიანთანაც კი,რომ თითქმის ვერ ვახერხებ ჯანსაღ კრიტიკას. საერთოდ ვერიდები წერილობითი ფორმით. ამ კითხვაზე პასუხად ალბათ მაინც ეს გამოდგება უფრო: თითქმის ყოველ დღე-ნამდვილად ღირებულია,რასაც შენ წერ? და პასუხი — შფოთვა.

ბექა აბუთიძე

ხშირად ხდება, რაღაც იდეა, რაღაც თემა მაქვს და იმაზე ვფიქრობ, ეს ახლა ლექსად დავწერო თუ პროზად, ან რომელ ჟანრში... ეს პარქტიკული კითხვაა და თითქმის ყოველთვის მებადება.

ზუსტად ვიცი, ის, რომ ნაწერს ყველაზე ადვილად ბოღმა და სენტიმენტალიზმი აფუჭებს. თუმცა, ამისგან დაზღვეული არავინაა, არც მე. ისიც ზუსტად ვიცი, რომ ნიჭი სიყვარულივითაა, მოფრთხილება სჭირდება, უფრთხილდები კი იმით, რომ თავად ხარ კარგი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობ, რაღაც ფასეულობები შეინარჩუნო. თუ როგორც პიროვნება მოკვდი, ერთხელაც დაგიდგება დღე, როცა ვეღარაფერს დაწერ. ისიც კი გაგიკვირდება, ადრე როგორ წერდი, ან უბრალოდ იტყვი, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო და ასეც მარტივად იცხოვრებ. ეს ადამიანის არჩევანია.

სხვა დროს იქნებ სხვა კითხვა დავსვა, მაგრამ ახლა სტერეოტიპებზე ფიქრი დავიწყე. შეხედულებები, რომლებსაც გამოვთქვამთ, ჩვენი მეტ-ნაკლები ცნობდობის შემთხვევაში მეტ-ნაკლებადვე ვრცელდება და ადამიანთა უმეტესობა, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ნორმად იწესებს: მწერალი ასეთი უნდა იყოს, ასე წერდეს, ასე ფიქრობდეს, ასე ცხოვრობდეს, ასე, ასე, ასე.

ის, ვინც „ასეს“ არ ექვემდებარება, განზეა — არჩევანის წინაშე: ასეთი გახდეს ან შეეგუოს კარს მიღმა ქარებს...

თეა თოფურია

ზურაბ ქარუმიძე

ღვინომუქი ზღვა

დომინი, ღნაოდნენ ყვერულები... შხაპის ქვეშ დადგა — გრილი წყლის შხეფებში, უხილავ ვერტიკალებსაუყვა თითქ\მის ტანი. გოთიკური ვერტიკაები: ღვთაებრივ განცდათა შორეთი, სადაც მივყვავართ ცხოველურს... ოჰ, ბადრო მთვარევ, ნეტავი მაგ შენ ლამაზ სხივებში შემეძლოს ასვლა მთის მწვერვალებზე... და შენს ცვარამში მთლად განბანილი... როდესავით ჩამოფარებული წყალ-ქუთუთოების საკუთარ ჭიპს ხორცის ბუტკოს ხედავდა — ტანის ფორნტონში გამოჭრილი ვიტრაჟის ვარდის ბუტკოს. ნერვიურები და არკბუტანები დაისაპნა, შმდეგ — კონტრფორსები. გუმბათში სისხლი უგუგუნებდა. საამო ნელთბილ დინებას მიენდო. ხოლო მე ნათელგცემთ თქვენ წყლითა და საპნითა. ალლელუია ვიპ ქუი სუფფერტ... ჰო, ბევრი ეწამა მოყვითალო ლიმონისფერი ტანი ჩემი... ბოქვენზე ბუჩქის შავი გადახლართული კულულები — მშიერი მამის გარშემო ათასები — დაისაპნა სოლომონის გასაღები — ჩუჩა — გადაიწია და ჩენჩოსაც საპონი მიუსალბუნა. და ვწვდი იმ ძაღლსა წინადაცვეთილსა და დავკალ, აი ასე... ესეც ასეეე... ეს ადგილი მუდამ სუფთა უნდა იყოს, ბუდუინისა არ იყოს — ჩუცა რომ არა აქვს, მის ცოლებსაც ამიტომაც არ ემართებათ საშვილოსნოს ყელის კიბო. ქალებსაც აჭრიან თურმე რაღაცას — ვაგინოექტომია, დანის პირივით ბასრი ქვის მოსმით ჩამოთლიან, მერე აქლემზე ჯდომით იშუშებენ. სასირცხო ბაგემოჭრილი — ბაგედახშული უსიტყვო ქალები, რომ გათავებას მუღამი არ გაუგონ და არ გაბოზდნენ. კვლავაც ის ტალღა წამოვიდა — საზარდულში წვენთა მიდამომქცევი... ვცდი სოლომონის გასაღებს, ეგება ვძლიო ამ ჯოჯოხეთურ ძალას!.. არ სცადა — გზასაცდენილი ხურვა საპნიან წყალს გააყოლა... შხაპში დგომისას მოფსმა ფეკის სოკოს უხდებაო, ვინა თქვა?.. ამას, როგორც წესი, ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ უხმოთა ფსამენ... ესეც იმისი ნათქვამია... ჰოდა, შენც მოფსი, ოღონდ ნუ იტყვი... რამეთუ იცი, იყუჩე... ავზში ცხელმა წყალმა კლება იწყო. ქვისის საათი საცაა, დაიცლება... ფინალობის პრობლემა ეროვნული დამოუკიდებლობის პირობებში ბანაობისას... ცივის ქვეშ გაჩერდა, სანამდის გაძლება ეყო... დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ჟინი... შემდეგ კი ფრთხილი ანექსირებული, ფაქტობრივად, ოკუპირებული მოძრაობით ფეხი აბაზანიდან გადმოდგა, მეორეც. ონკანი გადაკეტა. პირსახოციც მოისხა. გაიმშრალა. შეორთქლილ სარკესთან იდგა: გაგრილებისას კონდენსირებული ორთქლის წვეთები მარგალიტებად სდიოდა შუშის ზედაპირს — კლაკნილ კვალს ტოვებდნენ. პირსახოცი მოუსვა და ნოტიო ნადღაბნ სარკეში ჩაიხედა: თმაწვერაბურძგნული, სატირსა ჰგავდა, ტევრის ტოტებიდან რომ იჭყიტება და მდინარეში მობანავე ნიმფეტებს რომ თვალჭამს... ნიმფეტებიც სარკესთან დგებიან ხოლმე როცა იმშრალებენ, და საკუთარ თავს ათვალიერებენ, იმეცნებენ... ღვთისმშობელს უგრეგორიანუგალობდნენ ბენედიქტელნი... სააბაზანოს ფანჯრიდან რაღაცა სიგრილესებრი სიცხე ქროლავდა ამ ორთქლიან სიმხუთვარეში: გიხაროდენ მიმადლებულო... პირსახოცი წელზე შემოიხვია. წელთა ჩემთა ცეცხლო... ლო... ლი... ტაააა... წაველიით... დერეფანში შეყოვნდა — სასტუმრო და საძილე ოთახებს შორის — იქ ეოლოსი ორპირობდა... ე... ო... ლოს... დო... ლო... რეს... მის თავში კვლავ ნიმფეტები იმეცნებდნენ თავს... ღვთისმეტყველება შევისწავლე მე, ფილოსოფიაც ვლეჭე და მცოდნეობაც სიმართლის; მედიცინას კი ყველა გაუგებს... ჰო, დღეს ექიმთან მიზუკაბენდი გვაქვს: ბელ კანტო, გასტრონომია და სომატური პათოლოგია... ჰო, მედიცინას ბავშვიც კი გაუგებს... ნიმფეტიც... მაგრამ ნიმფეტს ვერ გავუგე ვერაფერი... ეზოდან კვლავ მოისმოდა ძაღლის ყეფის ხმა...

თაკარა აივანზე გავიდა: ვან გოგის კალმით ნახატი შუადღე დაგიმონებს ყურმოჭრილ მონად — ცისფერ-რქიანნი როგორც დასწერდნენ ცისფერი გულის ცისფერ ფიცარზე... ცისფერყანნელი მუსირებს მოსე... არა, ისევ რემბრანდტის ჩრდილებს შევაფაროთ თავი, და... ღმერთო, როგორ დამავიწყდა?!. ლუდი!.. ჰოლანდიური „გროლში“ —რემბრანდტის ყალმით ნახარში!!!

ბაროკალურმა იფეთქა ქაფმა, და ჭიქის კედლები კარგად ტემპერირებულმა ანუ ჩაციებულმა ლუდმა შეორთქლა... მოგესალმები შენ ერთადერთს, ფიალავ, გულით!.. მასვი ეგ ნაჟური სასიკვდილო... მცირე ყლუპებით... გამომშრალ პირსა ეამება... პატარ-პატარა ყლუპთა ყლუპვით და შიშველი ბრტყელ-ტერფა ნაბიჯით — ტანზე შემოხვეული პირსახოცის კიდე ხელზეგადაკიდებული — სასტუმრო ოთახის მაგიდასთან მივიდა. მაგიდაზე წიგნები ეყარა და ნაჯღაბნი ფურცლები, როგორც დონ ჯიოვანის სუფრაზე ელაგა კერძი და ღვინო გია ლა მენცა პრეპარატა... გაახსენდა რომ ბენედიქტელი კასტრატები სააბაზანოში დარჩა. წამოდგა და ნელი, ნელი ნაბიჯით გავიდა — ტერფებით ისრუტავდა იატაკის სიგრილეს. კასტრატები განაგრძობდნენ ავტო–რევერსით: ოსტენდე პარტუმ ვიგრინის... ოთახში შემობრუნდა, მაგნიტოფონი მაგიდაზე დადგა, თავად კი მიუჯდა, მარჯვენა ფეხი სკამზე შემოდო. ლუდი. კარგია.. სიცხეში კომპლექსები აღარ გჭამს, საერთოდ აღარაფერი განუხებს. ვეღარაფერს გრძნობ სიცხის გარდა, საკუთარ თავსაც ვეღარ გრძნობ... მხოლოდ — ტანს, მძიმედ მცონარეს. მიკროკოსმოსიც ეგ არი და მაკროც... ჰო, ტანი და არა სხეული... განბანილი და ოფლში გახვითქული... ჩორპუს ჩჰრისტი... გარდამოხსნილი და დაგდებული... თავისივე აღსანიშნიცა და აღმნიშვნელიც. მეტეორიტი, რომელიც მოწყდა ნიშანთა ციურ ცდომილებას და დაეცა... სული მიწისა ანუ გრავიტაცია უფრო სათნოა მისთვის... ძვრასაც ვერ უზამ, რა გინდა ზმითაც უნდა ეცადო... სვიმეონ მოგვნი და ნოსტრადამუს მქარჩხავნი მაგიურ ნიშანთა ფიქციით ტლანქ მატერიას აუხშოებდნენ, ხოლო იმას, რაც ელანდებოდათ, ხორცს ასხამდნენ... და ეს ყოველივე ნიშანთა მართვით ხდებოდა. იცოდნენ, როგორც რომ ემართათ. არა, მაშინ ნიშნებიც სხვა იყო... და, ასე განსაჯეთ, ნიშანდებულნიც სხვა იყო... ბუუჰჰჰ —რაღაცა შორისდებული დაურთო ლუდის ბოლო ყლუპს. ბოყინნარევი შორისდებული დაურთო ლუდის ბოლო ყლუპს. ბოყინნარევი შორისდებული... სილფა, გაჰქრი ჰაერში!.. ეტყობა კუჭში სალამანდრა დაეწვა... და უნდინა დაიკლაკნა... და კობოლდი გასიარჯა...

ტელეფონი რეკავს...

— ალო, გამარჯობათ, ჟღენტის ბინაა?

— გახლავთ, ბატონო.

— პეტრე ბიძია ბრძანდებით?

— გახლავართ, ბატონო.

— გამარჯობათ, პეტრე ბიძია, მე ლევანი ვარ, თქვენი მეზობელი...

— გაგიმარჯოს, თუ გინდა...

— პეტრე ბიძია, მე საქალაქო კონფერენციაზე უნდა გამოვიდე, ახალგაზრდა ენტომოლოგების კონფერენციაზე... სოროსის ფონდი აფინანსებს...

— შოროშის! დიერდ შოროშ— იერუსალიმის დიდი მთავარი!

— შოროშის...

— მომილოცავს... მოიცა, სად მწერ-მწურნი და სად ძმანი კალატოზნი?

— ბატონო?

— არაფერი... ეს ისე, ჩემთვის ვთქვი...

— ...იმ კონფერენციაზე მოხსენება უნდა წავიკითხო — იტალიურ კალიაზე.

— ჰოხ! იტალური კალია... მაგას კაი სიმღერა ეცოდინება.

— არა, განადგურება ემუქრება.

— მერე და მე რითი შემიძლია დავეხმარო?

— თქვენ არა... მოხსენებას ეპიგრაფი მინდა დავურთო...

— აი მესმის, ახალო თაობავ, აწ კი გამოდით, თქვენი ჭირიმე! კალიებიც კი არ ავიწყდებათ... ეპიგრაფად რა გინდა – ბალახში იჯდა კალია?

— არა, არა... აი იქ რო არი... აპოკალიფსში...

— აპოკალიფსში... შენ ძმაო, ენტომოლოგების კონფერენციაზე კი არა, ესქატოლოგების კონფერენციაზე მიდიხარ! შოროშიც იმიტომ აფინანსებს ალბათ, ქვეყნის დანგრევა რომ დააჩქარონ...

— მე სახლში ბიბლია არა მაქვს... თქვენ თუ გახსოვთ, იქნებ ჩამაწერინოთ...

— არ მახსოვს, მაგრამ ჩავხედავ... რას არ გაოგონებს კაცი... ბაბომკალებო, აწ კი თქვენ გამოდით, ტქვენი ჭირიმე... რომელი ბეჭედია — თუ მხედარი... მესამე თუ მეცხრე ლექსი... მომენტ!... თავი მეცხრე, ლექსი მესამე. ალო, გიკარნახო?

— დიახ, თუ არ შეწუხდებით...

— ამას რომ წაიკითხავ შეწუხდები კი არა და... მაშ, ასე, გამოცხადება თოვანესი, თავი მეცხრე, ლექსი მესამე-მეოთხე: და კუამლისა მისგან გამოვიდეს მკალნი ქუეყნად, და მიეცა მათ ხელმწიფება ვითარცა აქუს ხელმწიფება ღრიანკალთა ქუეყანისათა.

და ითქუა მათდა მიმართ, რათა არა ავნო თივასა ქუეყანისასა, არცა ყოველსა მწვანილსა, არცა ხეთა, არამედ კაცთა, რომელთა არა აქუს ბეჭედი ღმრთისა შუბლთა ზედა მათთა...

— გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ...

— ეჰეიიი! რა კარგი დღე არი ბანანა თევზის საჭერად!!! —სუიციდალურად შეახსენა თავი სელინჯერმა...

მაგიდაზე ხელნაწერს დახედა. თუმცა, ხელნაწერიც არ ეთქმოდა. ერთადერთ წინადადებას შეიცავდა — ეპიგრაფს: ჯერ დაუწერელი ფურცელივით თეთრი ფანტომი. მალარმე. ეს სიტყვები ერთი მაღრიბელი ნეოკაბალისტის წიგნიდან გამოჰყვება, სადაც მიმოფანტულია ფრაგმენტული მოსაზრებანი პლატონისა და მალარმეს თაობაზე, და ასევე, მათი ქორწილიც შეიკვრება, ყოველ შემთხვევაში, ამ მაღრიბელ ნეო-კაბალისტს ასე უჩანს, თავისი ჰიმენებით და მათი გასტკლეცვით. ბუნდოვანი რამ აზრი ითქვა...

ჯერ დაუწერელი ფურცელივით... ფანტომი... დაფიქრდი კარგად, ჩაუკვირდი ამ პირველ სტრიქონს, ნუ ააჩქარებ შენა მაგ კალამს მისი თარგმნის დროს... — დაფიქრდა ბ-ნი ჟღენტი; უფრო ზუსტად — გამონაჟოლთან ლუდის შერკინებისას

ავარდნილ ჯანღიან ბურუსში იჯდა. არა, - მკვდარ, ღვინო-მუქ ზღვაში მოცურავე, ხელნაწერს კითხულობდა ქოლგაგაშლილი.

მაშასადამე, პირველთაგან იყო ფანტომი, - არც, სიტყვა, არც გონება, არც ძალა, არც საქმე. იყო ფანტომი და სემიოტიკურ ნიშანთა მსჭვალავი სხვადასხვაობა. დანარჩენი კი თარგმანის ამბავია, - როგორ თარგმნი გამონაგონს მატერიალურად არსებულის ენაზე და პირიქით, - მატერიალურად მყოფს, გამონაგონის ენაზე. ერთსა პოსტ-ლუთერანსა თუ დავუჯერებთ, ასეთი რამ დღენიადაგ ხდება: ხელოვნებაო ხაზს უსვამსო გამონაგონის მატერიალურობასაო, ხოლო მაღალი ტექნოლოგიებიო კი - მატერიის განსულიერება-გაუხშოებას ახდენენო. და ორივე ერთად კიდევ ღმერთისაკენ სავალ გზას განამზადებენო...

ჭ სწორედ ის წიგნი მოხვდა თვალში, სადაც ეს აზრებია დისემინირებული... იც, ჰაეც, ჰოც, აგისტერ უსა/სტ ინ ვირგო ეტ ცონფუსა. განა ძველი დროის ნეგრომანტებიც იგივეს არ ლამობდნენ?!. ფიქციონალურის მატერიალიზირება ხომ იგივე ჩხაბვა-გამოხმობაა ავი სულების. როგორ არი? უნდა თქვა - არლოცო, და მატერიალიზდებიან. თუ იტყვი - არლიცო, მაშინ ფიქციონალიზდებიან... მომიახლოვდით სულებო ქროლვით და ამიხსენით ქვეყნის არსება... არა, ჩვენ სხვა გზით წავალთ! ჩვენ წავალთ მეტაფორულის გაპირდაპირებით: ბორხესის პიერ მენარს სერვანტესის დონ-კიხოტი კი არ უნდა დაეწერა, არამედ, და რაც მთავარია, - აბელიანედას ყალბი „დონ კიხოტი“, სიდ აჰმედ ბენ ინჰალის ენაზე ნათარგმენები და არარსებული. აი, მესმის, ფიქციონალურის მატერიალიზირება და პირუკუ, მოკლედ, - მეტაფორულის ლიტერალიზაცია. არლოცო-ლიცო!.. რიენტის პრინცეპს ელსიბუბ ინფერნი არდენტის მონარცჰა ეტ ემოგორგონ!

ეზოში ისევ აყეფდა ძაღლი. კმარა ფინიავ, ახლავ შეწყვიტე ყეფა. თქვა და მაგნიტოფონს აუწია. ჩჰრისტუს ფაცტუს ესტ პრო ნობის Iნცუბუს! Iნცუბუს! ჰოი, რას ვხედავ? ძაღლის ყეფა თვით ძაღლად იქცა... ჩემი ფინია თითქოს იზრდება: სულ მაღლამაღლა აიწევს თავსა...ცოტაც და, ძაღლი თავისი პატრონის ფეხებად იქცა, ხოლო შემდეგ კი იმად, რაც ამ ფეხების ზემოთაა და თეძოთა შორის...

აბსურდი

რუსა ამირეჯიბი

ქალაქი შხაპის ქვეშ იყო მაღვიძარამ რომ დარეკა. ოთახში ციოდა. პირველი აზრი: „ყავა და სიგარეტი“. ამან ისევ გამაბრაზა. აშკარად დავკნინდი. ადგომა მეზარებოდა და ამიტომ გიჟივით წამოვხტი და აბაზანისკენ გავვარდი, მერე ისევ გიჟივით ჩავიცვი. უკვე რომ არ მეთქვა, მცივა და მეზარება-მეთქი, ჩემი შემხედვარე ნამდვილად იფიქრებდით, წასვლა უხარიაო.

ტვინი შეშუპებული მქონდა. ყავით და სიგარეტით ვნებივრობდი მოსაწევ ოთახში, იქვე დაგდებული სქელი ლიტერატურული ჟურნალი შევნიშე და გადავშალე. წავიკითხე ერთი თანამედროვე მწერლის გაუგებრობა პენტიუმ 2-ზე. „რა სისულელეებია, უნიჭო ყოფილა“, გავიფიქრე და ტელეფონმა დარეკა, აღმოჩნდა, რომ ტყუილად ავმდგარვარ, წასასვლელი აღარ ვიყავი.

შემეძლო ძაფივით გაწყვეტილი ძილი გადამება და სიზმრები ამომეხვია. დავწვები-მეთქი. უცებ ეჭვმა გამიელვა: ვაითუ არ დამეძინოს? ვაითუ ტყუილად გავიხადო სიცივეში და მერე ლოგინში ვიტრიალო? დრო ოთხი საათი მაქვს, შანსი არ გამოვიყენო? „უნდა ვცადო,“ გავიფიქრე და ოთახში შევედი. რამდენიმე წამს ვუყურე უკვე ცივ ლოგინს. „რომ არ დამეძინოს„? მჭამდა ეჭვი. ცალ ფეხზე გავიხადე ჯინსის შარვალი და გავჩერდი. სანამ დავწვებოდი გადაწყვიტე, თავი გამომეცადა დამეძინებოდა თუ არა. თვალები დავხუჭე და თავი მოვიკატუნე, ვითომ ვიძინებდი. წარმოვიდგინე, რომ ლოგინში ვიყავი გემრიელად გაგორებული. ასე ვიდექი შუა ოთახში თვალდახუჭული ალბათ ნახევარ წუთს, ცალი ხელით შარვალი მეჭირა საწელეთი. წარმოდგენაში ძალიან მესიამოვნა ლოგინი და ფეხზე მდგომმა დავიწყე თვლემა. გონებამ იმ წამსვე გამაღვიძა და გამახსენა, რომ ფეხზე ვიდექი. ჩქარ-ჩქარა დავიწყე გახდა, ამჯერად მართლა გახარებულმა და ლოგინში ვისკუპე. ემბრიონის პოზა მივიღე და მთელი მონდომებით ძილი დავიწყე. უცებ სად იყო და სად არა, გონებაში საიდანღაც წყეული ფრაზა გამოძვრა: „მე მშურს პენტიუმ 2-ის „. გავოცდი. რა უბედურებაა ეს?! თავი გავიქნიე და მეორედ დავიწყე ძილი. ისევ პენტიუმზე ფიქრი ამიტყდა, გონებას თითქოს ცეცხლი მოედო. რა ჯანდაბად ვფიქრობ ამ სისულელეზე?! ისიც ვერ გავიგე პროზაა თუ პოეზია. ნაწყვეტები თავისით მოდიოდნენ ტვინში. „ნერვს ბაზრობაზე ნაყიდი საცურაო ტრუსები მიშლის“, „მუდამ შემეძლება ხალი წაგიშალო ორ წარბს შორის“. ჩემთვის ეგ ხალი მიზიდულობის წერტილივით იქნებოდა და ეგ წაშლაზე ფიქრობს? ახლა მე მაგის ნიფხავზე ფიქრის დრო მაქვს?! ამ ტიპმა გონება ამიყროლა. ან როგორ დამამხსოვრდა ეს სისულელეები ჩემი მეხსიერების პატრონს?! გავბრაზდი, ძალიან გავბრაზდი ავტორზე. რა ჩემდა ჭირად დაწერა ეს რაღაც?! ძლივს ოთხი საათი მოვიგდე რომ დავიძინო და რას ჰგავს ეს?! თან რაზე წერს, ან ვისზე? ღმერთო ჩემო! რას ავიღე ის ოხერი ჟურნალი, ამ ჩემმა ტუტუცმა ტვინმაც ეგრევე რომ შეისრუტა? მღვიძარი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო.

ასე ვფორიაქობდი, მაგრამ რაღაც ეჭვი მაინც მჩხაპნიდა. ჩემკენ ისეთი შთაბეჭდილება მოდიოდა, თითქოს რაღაც ვერ გავიგე. ეს ავტორი რამდენჯერმე მყავდა ეკრანზე ნანახი და ცხოვრებაშიც მომიკრავს თვალი. აქამდე კარგი აზრის ვიყავი მასზე, სწორად და ლოგიკურად აზროვნებდა და გემოვნება ეტყობოდა. მოკლედ, კაი ტიპი მეგონა, მაგრამ როგორ დაწერა ეს ვითომ არაორდინალური, უიდეო და უაზრო რაღაც? გამომივიდა რა ეგეც პენტიუმ 2-ის პოეტური ნიჭის ქრისტეფორე კოლუმბი. ან იქნებ თეთრი ლექსია და წაკითხვისას იუმორს ჩემში იმ ღრმა ძილით ეძინა, ამ კაცის გადამკიდე რომ არ მეღირსა? გამახსენდა საერთო ახლობლები, მსახიობი ცოლ-ქმარი. გადავწყვიტე მათთან მივსულიყავი, მისი მოთხრობები გამომერთმია და დავრწმუნებულიყავი, რომ ეს ტიპი უნიჭოა და თავიდან მომეწყვიტა მისი ბაზრობაზე ნაყიდი ტრუსები. სიამოვნებისგან გავიბადრე და აქედან გამომდინარე ძილი მესამედ დავიწყე. გონებაში სიჩუმე გაჩერდა, თბილი მგზავრი - თვლემა, გადმოსვა და გზა განაგრძო. ეს ტკბილი პროცესი ფეხის თითებიდან ზევით ნელნელა მაცოცდებოდა და როცა გონებამდე მოაღწია, მე უკვე მეძინა და სიზმრად, ღმერთო ჩემო, ის ვაჟბატონი გამომეცხადა და ლანძღვა დამიწყო:

„უზრდელო! თვითონ ხარ კომპლექსიანი და გაბრაზებული, ხამი და თარგმანში დაკარგული. საკუთარმა გესლმა არ მოგწამლოს!! რა შენი საქმეა, მე რას დავწერ, შენც მყავხარ რა ავტორიტეტი, შენს უაზრო ცხოვრებას მიხედე, მე ვცდილობ მაინც, რომ აზრიანად ვიცხოვრო და რამდენად გამომდის შენი გასარჩევი არაა. დეპრესია შენ რომ გაქვს, მასეთი, გიჟებს რომ ჰქონდეთ ხელოვნების ნიმუშებს შექმნიდნენ. შენს თავს მიხედე, უზრდელო!“

გაოცებული ვიყავი სიზმარში, თითქოს წინასწარ იცოდა, როგორ გავლანძღავდი და მზა პასუხები დამახვედრა. შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ გამაღვიძა. კოშმარი იყო, ეს რა გადავიტანე! ასე არავის ვულანძღივარ. ჩხუბი ვერ მოვასწარი და პატივმოყვარეობა ცხადშიც კი მწიწკინდა. ქალს ასეთი რამეები როგორ უნდა ეძახოს კაცმა, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მწერალია და სხვებზე მეტი ესმის?

სახლიდან ხასიათარეული გავედი, სამსახურში მივდიოდი. გაჩერებაზე ავტობუსის უკანა კარიდან ხნიერი ქალი ამაოდ ცდილობდა ჩამოსვლას, ბოლოს იოლი გზა მონახა, ტყუპი ფეხით დაიწყო საფეხურებზე ჩამოხტომა და ყოველ სკუპს „ჰოპლას“ აყოლებდა ხმამაღლა. ჩამოხტებოდა - ჰოპლაო, კიდევ ჩამოხტებოდა - ჰოპლაო. სულ სამი ჰოპლა გააკეთა. მეცინებოდა და თან ჩემდა უნებურად ვითვლიდი. კარგ ხასიათზე დავდექი, ისეთი საყვარელი ქალბატონი იყო, ჩახუტება მომინდა, მაგრამ ვერ გავბედე და ავტობუსში ავედი. მასზე ფიქრი ფასკუნჯივით მომაფრინდა. მიკვირდა, რატომ უნდა ჩაეწიხლა ადამიანს საკუთარი გრძნობა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლების დაკარგვის ეშინია. და საერთოდ, რა არის ეს „მამაკაცური თავისუფლება „? თავს როცა რაღაცაში იზღუდავ თავისუფალი როგორღა ხარ? თავისუფლება უზნეობაში, კომპლექსებში და ღრეობაში ერევათ.

დღეს კაცებს რატომღაც უჭირთ „გარისკვა“ და საკუთარი გულის ნებაზე მიშვება, შეყვარება იქამე, სადამდეც მისვლა შეიძლება, სადამდეც დრო ეყოფათ და რამდენჯერაც მოასწრებენ. თუ ქალი უფრო იოლად რისკავს, მათზე გაბედული ხომ გამოდის? და ნუთუ ეს კაცების თავმოყვარეობაზე არ მოქმედებს?

დავუშვათ იცხოვრებენ 80 წელს. ამას გამოვაკლოთ ბავშვობა, სიბერე და ძილი, გვრჩება სულ რაღაც 15 წელი ჯანსაღი სიფხიზლე. გამოდის, რომ მათი 80 წლიანი ცხოვრების ყველაზე ფხიზელი და პროდუქტიული პერიოდი ულამაზოდ, უსიყვარულოდ, არარომანტიკულად, მხოლოდ ინსტინქტების კარნახით უცხოვრიათ. მამაკაცებო, ქალებისთვის საბრალონი და ზარმაცები რომ არ იყოთ, ნუ დაემგვანებით სირაქლემას.

ამ ყველაფერს მე ვხვდები და დავიჯერო კაცები ვერ ხვდებიან? მაინც იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს „თავისუფლების დაკარგვის შიში“ ყურით მოთრეული მიზეზი იყო და იმას-არავითარი გრძნობა ჩემდამი არ ჰქონდა. ამ ფიქრებით მივედი სამსახურში, მერე ძალიან დაღლილი დავბრუნდი სახლში, ტელევიზორი ჩავრთე, თან ძილისთვის ვემზადებოდი. და ჰოი, საოცრებავ! ეკრანზე ის ვაჟბატონი ავტორი გამოჭიმულიყო და ერთერთ პოლიტიკოსს აკრიტიკებდა. ჩემში ძველმა ბოღმამ იფეთქა. ტელევიზორი გამოვრთე, დავწექი და იმ იმედით დავიძინე, რომ დამესიზმრებოდა და რაც დავაკელი ავუნაზღაურებდი. ასეც მოხდა, სამართლიანობამ იზეიმა, მართალია ძილში, მაგრამ ესეც ხომ საქმეა? დამესიზმრა! ჰოდა, მეც არ დავაყოვნე და ვეცი, მაგრამ მაინც იმ ტექსტით გამოვლანძღე, რომლის მზა პასუხებიც წინა სიზმარში ტყვიასავით დამაყარა. თავში მხოლოდ ის ტექსტი მქონდა შემორჩენილი და რა მექნა? სოფისტიკასთანაც ახლოს ვიყავი, მაგრამ ხომ უნდა მეჩხუბა, არა?

„რა გინდა, რას გადამეკიდე, ან დილა რატომ ჩამიმწარე, ან კიდევ ეს ღამე? ეკრანზე უემოციოდ, ზღაპარივით რას გვიყვები ჭკვიანურ აზრებს, შე ფლეგმა?! ვინ გეკითხება დავიძინებ თუ არა, ვიფიქრებ თუ არა შენს ჯოჯო ლექსზე? ერთი რითმა მაინც გაგერტყა შემთხვევით, ამდენი ტვინის ჭყლეტა აღარ დამჭირდებოდა გამერკვია ლექსია თუ მოთხრობა, როგორ შეიძლება კომპიუტერზე ლექსი დაწერო? შენი ოცნების ოთახში ქალთან ვირტუალური სექსიც ხომ არ გირჩევნია, თვითონ კომპლექსიანო! რა გინდოდა გონება რომ ამიყროლე ამ დილაადრიან? დეპრესია გექნება „სევდიან ძუძუებზე“ და სევდიან თვალებზე გეტყობა, გამომიხვედი რა მწუხარე სახის რაინდი. მოგონილ საძინებელში გირჩევნია მოგონილ ქალთან და გულს არ იწყვეტ „ ცხოვრების“ გამო, რომელსაც შთ ჭ-ი გაუკეთე?!! „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე?“ „მე და ღამეც“ მიგეწერა ჯობდა, ვიფიქრებდი ისესხა-მეთქი. და უზრდელი მე ვარ, შენ - არა, ხომ? რატომ? მწერალი რომ ხარ, იმიტომ? თუ არავინ დაიჯერებს, რომ მწერალი შეიძლება უზრდელი იყოს?! გეუბნები, შემეშვი-მეთქი! „

თავმოყვარეობა კუჭს ჰგავს. ჯანსაღ საკვებს ზომიერად თუ აწვდი ადვილად ამუშავებს და ჯანმრთელად ცხოვრობ. ზედმეტს თუ აძლევ, თავმოყვარეობას პატივმოყვარეობა ენაცვლება და ყველაფერი ქონებში მიდის, გაიბღინძები, გამაძღარი იერით ივლი, სხეული დაგიუშნოვდება.. და რაც მთავარია, მაინც მუდმივი შიმშილის, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ინსტინქტად ჩამოგიყალიბდება. რამემ თუ აწყინა, სპაზმები ემართება, ავტომატიკა ერთვება და სხვადასხვა გზით ცდილობს გამოდევნოს ის, რამაც მოწამლა, პატივმოყვარეობა კი ნაგავს გარეთ მუწუკის, ნაოჭის ან ლაქის სახით გამოყრის. მე პირადად სახეზე ნაოჭს და ლაქებს, დარდს და ცრემლებს, ჩხუბი მირჩევნია.

ჰოდა, გიჟივით თავმოყვარეობამ წამომახტუნა თუ პატივმოყვარეობამ თქვენ გაარკვიეთ, თქვენთვის მომინდია. პუდრიც არ წამისვამს, ჩავიცვი და ჩვენს საერთო ახლობლებს, გზიდან დავურეკე თქვენთან მოვდივარ-მეთქი.

მივედი. სტუმარი ჰყავდათ, ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შემომხედა თუ არა, მოულოდნელად მეცა, ჩამბღუჯა და ყელში კოცნა დამიწყო. რა თქმა უნდა გავოგნდი. არ ვიცოდი თავი როგორ დამეძვრინა ამ მაზალო მომენტიდან, რა მექნა ან რა მეთქვა და ჩავილუღლუღე, მე მსახიობი არ ვარ-მეთქი. სიცილით დაიხოცნენ. ისე გამოვიდა, თითქოს მსახიობებს ყელში უნდა ეტაკო და უკითხავად ლოშნო. ჩემი კლასელი აღმოჩნდა, ასევე მსახიობი, ბევრი ვიცინეთ, მომიბოდიშა, მეგონა შენც მიცანიო და მალევე წავიდა.

ყავა მოვითხოვე და სიზმრის მოყოლა დავიწყე. ცოლ-ქმარი ჯერ დიდი თვალებით ისმენდა ჩემს თავგადასავალს, მერე გაეცინათ, შენ ხომ შარის მშობელი ხარო და ქმარმა მისი წიგნი დამიდო მაგიდაზე, გაგატანო. ვერ მოვითმინე და ყავის სმას კითხვა შევუერთე. უნიჭობაში უნდა გამომეჭირა, აღტკინებული ვიყავი, მოსალოდნელი სიამოვნებისგან ტუჩებს ვილოკავდი. დავიწყე. ასოებს მივყევი. პირველივე აბზაცის წაკითხვისთანავე დავინახე, როგორ გაადინა ნაცარში ტყაპანი ნიშნისგების კოვზმა. გონებაში გასხლტა ფრაზა, რომელიც საერთოდაც არ მაწყობდა, იმედგაცრუებულმა ამოვიოხრე და ვთქვი: „კარგად წერს „. კითხვა გავაგრძელე. „მიგნებებს წელავს, არადა მშვენივრად დაიწყო „. ახლა ამიტომ გავბრაზდი. თან მწყინდა რაღაც, თან მიხაროდა...

... და საერთოდ, რა მინდოდა?!

ეზრა პაუნდი



Tenzone

Will people accept them?
(i.e. these songs).
As a timorous wench from a centaur
(or a centurion),
Already they flee, howling in terror.

Will they be touched with the verisimilitudes?
Their virgin stupidity is untemptable.
I beg you, my friendly critics,
Do not set about to procure me an audience.

I mate with my free kind upon the crags;
the hidden recesses
Have heard the echo ofmy heels,
in the cool light,
in the darkness.

თენზონე

მიიღებს კი ხალხი მათ?
(ე.ი ამ სიმღერებს).
როგორც დამფრთხალი ქალიშვილი გაურბის კენტავრს
(ან კენტურიონს),
ისე გარბიან უკვე ისინიც, შიშისაგან აყმუვლებულნი.

შეძრავს კი ამ ხალხს ეს სიმართლე?
მათ ქალწულებრივ უგნურებას ხომ ცდუნება ვერ ეკარება.
გემუდარებით, მეგობარო კრიტიკოსებო,
ნუ შეუდგებით ახლა ჩემთვის მსმენელის ძებნას.

მე თავისუფალ მოდგმას ვეძმე ციცაბო კლდეზე;
უჩინარ ღრმულებს
მოესმათ ექო ჩემი ნაბიჯის,
ცივ სინათლეში,
უკუნ წყვდიადში.

Our Contemporaries

When the Taihaitian princess
Heard that he had decided,
She rushed out into the sunlight and swarmed up a cocoanut palm tree,

But he returned to this island
And wrote ninety Petrarchan sonnets.

ჩვენი თანამედროვენი

ოდეს ტაიტაიტელმა პრინცესამ
შეიტყო მისი გადაწყვეტილება,
მზის შუქზე გარეთ გამოქანდა
და ქოქოსის პალმაზე აძვრა,

მაგრამ ის მაინც ამ კუნძულს დაუბრუნდა
და დაწერა ოთხმოცდაათი პეტრარკასებური სონეტი.

IN A STATION OF THE METRO

The apparition of these faces in the crowd;
Petals on a wet, black bough.

მეტროს ხაფგურზე

ამ სახეების გამოკრთომა ბრბოში;
ყვავილის ფურცლები სველ, შავ ტოტზე.

A pact

I make a pact with you, Walt Whitman -
I have detested you long enough.
I come to you as a grown child
Who has had a pig-headed father;
I am old enough now to make friends.
It was you that broke the new wood,
Now is a time for carving.
We have one sap and one root -
Let there be commerce between us.

ზავი

დაზავება მსურს მე დღეს შენთან უოლტ უიტმენ
ისედაც მძულდი საკმაოდ დიდხანს.
მოვდივარ შენთან გაზრდილი ბავშვი
რომელსაც ჰყავდა ჯიუტი მამა;
მე მეგობრების შესაძენად დიდი ვარ უკვე.
ეს შენ იყავი, უღრანი ტყე ვინაც გაკაფა,
ახლა კი დროა მოჩუქურთმების.
ერთი დვრიტა გვაქვს და ერთი ფესვი —
დაე, თანხმობა იყოს ჩვენს შორის.

A Girl

The tree has entered my hands,
The sap has ascended my arms,
The tree has grown in my breast -
Downward,
The branches grow out of me, like arms.

Tree you are,
Moss you are,
You are violets with wind above them.
A child - so high - you are,
nd all this is folly to the world.

გოგონა

ჩემს ხელებში ხე შემოვიდა,
ჩემს მკლავებში მისი დვრიტა მიედინება,
ჩემს მკერდში აღმოცენდა ხე —
ზემოდან ქვემოთ,
ტოტები მკლავებივით გამომეზარდა.

შენ ხარ ხე,
შენ ხარ ხავსი,
შენ ხარ იები ქარით რხეული.
ბავშვი — სრულქმნილი — ესეც შენა ხარ
და სამყაროსთვის ბოდვა არის ეს ყოველივე.

თამარ რუხაძე

The Tea Shop

The girl in the tea shop
Is not so beautiful as she was
The August has worn against her.
She does not get up the stairs so eagerly;
Yes, she also will turn middle-aged,

And the glow of youth that she spread about us
As she brought us our muffins
Will be spread about us no longer.
She also will turn middle-aged.

ჩაიხანა

ის გოგონა ჩაიხანაში
ისე ლამაზი აღარაა, როგორიც იყო,
ამ აგვისტომაც ძალა თითქმის გამოაცალა.
ვეღარ აივლის ძველებური სილაღით კიბეს;
დიახ, ისიც ასაკში შედის,

სინორჩის სხივი, სულ რომ გვაფრქვევდა
როცა ფუნთუშა მოჰქონდა ხოლმე,
აღარასოდეს მოგვეფინება.
უკვე ისიც ასაკში შედის.

Epitaphs

Fu I

Fu I loved the high cloud and the hill,
Alas, he died of alcohol.

Li Po

And Li Po also died drunk.
He tried to embrace a moon
In the Yellow River.

ეპიტაფიები

ფუ ი

ფუ ი ეტრფოდა მაღალ ღრუბლებს და მთა-გორაკებს,
ვაგლახ, იგი ლოთობამ მოკლა.

ლი პო

ლი პომაც მთვრალმა დალია სული.
ცდილობდა მთვარეს მოხვეოდა
ყვითელ მდინარეში.

ზაზა ფირალიშვილი

ილია და ჩვენი ისტორიაში დაბრუნება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტფორუმი „ებლიტფო“

ლიტპტროექტი: „მე გიმასპინძლებ“

მასპინძელი:
ბატონი ზაზა ფირალიშვილი

2011 წლის 22 თებერვალი I
20:00 — 23:00

ზაზა ფირალიშვილი: მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გავაკეთებ შესავალს. დღევანდელი საუბრის თემა ილიაა — მოღვაწე, რომლის შესახებაც, ერთი შეხედვით ყველაფერი ვიცით ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიცოდეთ მაინც. მე მაინც მგონია, რომ რაღაც მემკვიდრეობით მიღებული მზამზარეული სიცხადეები არ გვაძლევენ საშუალებას, რომ იგი გავიგოთ — ყოველგვარი პიეტიზმისა და მითოლოგიზების გარეშე — გავიგოთ, როგორც ადამიანი, რომელიც ახერხებდა, ყოფილიყო იქ, სადაც იყო და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდა.

ეს არ ეხება მხოლოდ ილიას. ჩვენ მოვახერხეთ და დიდი წინაპრების უდიდესი ნაწილი ისე ჩავსვით პათეტიკური ნაციონალიზმის ნორმებში, რომ მათგან თითქმის აღარაფერი დავტოვეთ. ვფიქრობ, ჩვენს სინამდვილეში მოხშირებული და იოლი კანონიზაციების რიგი ამის აშკარა ნიშანია.

როგორც ჩანს რაღაც მომენტიდან თავადვე გვაშინებს საკუთარი პათეტიკური ნაციონალიზმი, რასაც ნიჰილიზმის ნაკადი მოჰყვება ხოლმე. ორივე შემთხვევაში გვავიწყდება ის რეალური პიროვნება, რომელიც, ერთი შეხედვით, მხედველობაში უნდა გვყავდეს.

შესავლის სახით სულ ამის თქმა მინდოდა.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: ბატონო ზაზა, „პათეტიკური ნაციონალიზმის“ თქვენებური განმარტება...

ზაზა ფირალიშვილი: მე მგონი, ბევრ განმარტებას არ საჭიროებს. ეს არის ნაციონალიზმი, რომელიც ერთნაირად ატარებს თეატრალკური ბუფონადისა და ერთგვარი სადღეგრძელოს ჟანრის ნიშნებს და მთელს თავის პათოსს მითისმთხზველობისაკენ მიმართავს. სწორედ მისთვის დგას პატრიოტიზმი უფრო მაღლა, ვიდრე ჭეშმარიტება.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: ილიამ შექმნა ქართული ნაციონალური სახელმწიფოს თეორიული მოდელი და პრაქტიკულდ საფუძველიც (მეტი თუ არა) ჩაუყარა მის აშენებას. მის შესახებ თითქმის ყველაფერი ცნობილია. უამრავი მონოგრაფია და გამოკვლევა არსებობს... რა არ ვიცით ილიაზე? ან რა ვიცით არასწორედ ილიაზე? ვფიქრობ საინტერესო სასაუბრო თემაა...

ზაზა ფირალიშვილი: მას მოდელი, ალბათ, არ შექმნა. სამაგიეროდ იკისრა ტიტანური საქმე: ნათელი გაეხადა თანამედროვეთათვის, თუ რას ნიშნავს, სახელმწიფოებრივ ერად იწოდებოდე.

ვფიქრობ, მან, ბევრი მისი თანამედროვესაგან განსხვავებით, კარგად უწყოდა, რომ ჩვენი „სტორიაში დაბრუნება“ ვერ იქნებოდა მყისიერი საქმე და რომ პირველ რიგში, ჩვენ ყველაფერი უნდა მოგვემოქმედა საიმისოდ, რომ თანადროული სამყაროს ადექვატურები ვყოფილიყავით. ადექვატუროიბა დღესაც პრობლემაა ჩვენთვის.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: ბატონო ზაზა, პირდაპირ გკითხავთ, ვინ არის ილია თქვენთვის?

ზაზა ფირალიშვილი: ძალიან მოკლედ: იგი იმ მცირერიცხოვან მოღვაწეთა შორის მეგულება, რომლებიც ცდილობდნენ, ქართული საზოგადოება კვდომის ინერციიდან ეხსნათ. ასევე, იგი იყო პიროვნება, რომელიც გონებისა და ზნეობის კანონებით აფასებდა ჩვენს სინამდვილეს მაშინ, როდესაც ყველაფერი თითქოს ამის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: „ისტორიაში დაბრუნება“, პირადად ჩემთვის არც თუ გასაგები ტერმინია. თქვენი სტატაი „ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება“ გულდასმით მაქვს წაკითხული. მართლაც „რას ნიშნავს, სახელმწიფოებრივ ერად იწოდებოდე“?

ზაზა ფირალიშვილი: ეს ნიშნავს, რომ შენ თავად აწარმოებ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს და მათ მხოლოდ წარსულიდან ან სხვების გამოცდილებიდან არ სესხულობ. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფორმები ხომ ჩვენი რაობის გამომხატველი უნდა იყოს და არა პრესტიჟული იდეოლოგიებისა. შეიძლება ეს ორი ერთმანეთს დაემთხვეს, მაგრამ მთავარი მაინც ჩვენს მიმართ ადექვატურობაა. რაც შეეხება ისტორიაში დაბრუნებას, ეს გახლავთ ის, რაც ჩვენ ყველამ განვიცადეთ 90-იანი წლების განმავლობაში და მშობიარობის ტკივილების ექო დღემდე გრძელდება.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: რომელ პრესტიჟულ იდეოლოგიებზე საუბრობთ?

ზაზა ფირალიშვილი: ვგულისხმობ იმ სიტუაციას, როდესაც იდეოლოგიათა იმპორტირება ხდება ცივილიზებულ სამყაროში მათი „პრესტიჟულობის“ ნიშნით და არა იმიტომ, რომ შენთვისაც და იმ სამყაროსთვისაც ეს იდეოლოგიები შინაგანი გარდუვალობაა. ამგვარი ზერელობა კი იდეოლოგიური ქაოსისა და სალტო-მორტალეების სიტუაციას იწვევს ქვეყანაში. გუშინდელი მონარქისტი დღეს ლიბერალად შეიძლება მოგვევლინოს და — პირიქით.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: როგორ ფიქრობთ რა საერთო აქვთ ქართული ნაციონალურ იდეასა და ევროპულს? ფრანგული, ევროპული, ნაციონალური იდეა ფრანგულ იგანმანათლებლობის სედეგია, ქართული მხოლოდ ილიას?

ზაზა ფირალიშვილი: მე აქ პირიქით დაგისვამდით კითხვებს: განა ფრანგული განმანათლებლობის შედეგია ნაპოლეონის ომები ან პოლიტიკური ბონაპარტიზმი საფრანგეთში? ცხადია, არა. ფრანგები გულწრფელად ცდილობენ იმ ნაციონალური იდეისაკენ სვლას, რომელიც განმანათლებლობის წიაღში შეიქმნა, მაგრამ ამას ისინი განიხილავენ, როგორც პროცესს და არა როგორც ისეთ რამეს, რომელიც დაუყონებლივ, აქ და ახლა უნდა იქნას განხორციელებული. ჰიჯაბის აკრძალვა სასწავლო დაწესებულებებში და მულტუკულტურალიზმის იდეოლოგიის მარცხის აღიარება ნიკოლა სარკოზის მიერ ამის აშკარა ნიშანია. ანუ მათ ცხოვრებაშიც დგება მომენტი, როდესაც ნაციონალურსა და ეროვნულს შორის ტოლობის ნიშანს სვამენ.

მესმის, რომ ჩვენთან ხშირად იგივეობის არანორმალურად მაღალი ხარისხია, მაგრამ ყველაფერი ეს ისტორიულ პრაქტიკასთან ერთად გამოსწორდება. არ არის საჭირო პრობლემის იდეოლოგიზება, ამით მხოლოდ ჯურღმულებში განაბულ ურჩხულებს გავაღვიძებთ. ჩვენში მავან ლიბერალებს სურთ, ნაციონალური იდეიდან მთლიანად განდევნონ ეროვნული იდეა. ეს კი, ვფიქრობ, მათ სრულ იგივეობაზე არანაკლები ბოროტებაა და არანაკლებ მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

მაია ჯალიაშვილი: ბატონო ზაზა, ძალიან ღრმად და საინტერესოდ მსჯელობთ. როგორც იტყვიან, თვით საუბრის საგანი ყოველივეს „აკეთილშობილებს“. ილიას ლეონიძემ ხატოვნად „საქართველოს შუბლი უწოდა“. როგორ ფიქრობთ ეს „შუბლი“საკმარისია დღეისთვის, თუ რაიმე (ვინმე) ჩაენაცვლა?

ზაზა ფირალიშვილი: ქალბატონო მაია, ჩვენში უყვართ ამა თუ იმ მოაზროვნის მემკვიდრეობისაგან წმინდა წერილის შექმნა, რომლითაც თანადროულ სიტუაციაშიც ვიხელმძღვანელებთ. ჩემთვის უმთავრესია ილიასეული მართალი და პატიოსანი აზროვნების პათოსი, ისევე, როგორც საბასი, მერაბ მამარდაშვილისა და სხვ. გულწრფელად ვამბობ, რომ მისი ისტორიოსოფული შეხედულებები ჩემთვის ხშირად საეჭვოა და, ვფიქრობ, არც ერთ სერიოზულ ისტორიკოსს არ მოუვა აზრად, მეცნიერების საბოლოო მიღწევად გამოაცხადოს. მაგრამ ეს არც არის მთავარი. მთავარია ის, რომ იგი „აქ და ახლა“ ყოფნისა და ჩვენი სიტუაციურობის ზნეობისა და გონების კანონებით გააზრების პრეცენდენტებს ქმნიდა.

მოაზროვნის კანონიზაცია თავად ამ მოაზროვნეს კლავს.

ნოდარ შანიძე: კი, მაგრამ, გამქრალი ერები არ გახსენდებათ. შუმერებმა წერა კითხვა ასწავლეს მსოფლიოს. სადღა არიან? სადღა ჰგიან ზიგურათები ბაბილონისა? კარგი ბატონო, ვიბრძოლოთ ეროვნულობისთვის და ასე ვთქვათ „ეროვნულად ვიმოძრაოთ“ მაგრამ, როდემდე გასტანს ეს ყველაფერი თქვენ როგორ ფიქრობთ?! როცა დაინახეს რომაელებმა რომ აღარავის აღარ სჭირდება მათი რელიგია და კულტურა, მარშით წავიდნენ ჰადესში. ამ ქვეყნიდან გაქრობას ფერისცვალება უნდა გვერჩივნოს — მე ასე ვფიქრობ!

ზაზა ფირალიშვილი: ცხადია, ბატონო ნოდარ. ჩვენი ამოცანა სწორედ იმ ისტორიული სამყაროს მიმართ ადექვატურობაა, რომელშიც აღმოვჩნდით და არა მისგან ჩენივე შეთხზულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაქცევა, რაც თვითმკვლელობის ტოლფარდი იქნებოდა. მაგრამ ამგვარი ადექვატურობის ძიებაში არ უნდა ვიქცეთ ცუდ ჰოლანდიელებად და ცუდ ფრანგებად — კარგებად, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ვერ ვიქცევით. არც ჩვენი ქვეყანა უნდა ვაქციოთ ჰოლანდიურ სოფლად.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: რას ნიშნავს ლიბერალიზმი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში და როგორ აისახება იგი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში? რა დავუკარგეთ და რა შევუძინეთ წინაპრებისგან დატოვებულ ერთ-ერთ საუნჯეს, ენას?

ზაზა ფირალიშვილი: რთული კითხვაა. შევეცდები, რამდენიმე სიტყვით გადმოვცე ჩემი აზრი. დღესდღეობით ქართული ლიბერალიზმი ისევე იღებს



ილია და ჩვენი ისტორიაში დაბრუნება

ზაზა ფირალიშვილი

ექსტრემისტულ ფორმებს, როგორც თავის დროზე ქართულმა სოციალიზმმა მიიღო და ბოლშევიზმად მოგვევლინა — ჯერ კიდევ მეთერთმეტე არმიის შემოსვლამდე. საერთოდაც უნდა ითქვას, ჩვენ უცნაური მიდრეკილება აღმოგვაჩნდა ექსტრემიზმისაკენ იდეოლოგიურ ცხოვრებაში. ექსტრემიზმი აიოლებს საქმეს, ორ-სამ განზომილებაზე დაჰყავს ყველაზე კეთილშობილი იდეები. ქართული ფუნდამენტალიზმიც ამის ნიმუშია. მოკლედ, ერთხელ ვთქვი, რომ ვერ გაგვიგია, რა უბედურება გვჭირა: თუ ქრისტიანობაა, აუცილებლად ფუნდამენტალისტური უნდა იყოს, ლიბერალიზმს ლიბერალურ ტერორად ვაქცევთ, სოციალიზმს — ბოლშევიზმად და სხვ. ჩანს, ჯერაც „არა ვართ იქ, სადაც ვართ“.

რაც შეეხება ენას: იგი ცოცხალი სხეულია და მის სიცოცხლეს ჩვენ ვქმნით. ენობრივი პროცესი ცოცხალი პროცესია. როგორც ჰაიდეგერი იტყოდა, იგი ყოფიერების სახლია. მიჭირს იმის თქმა, თუ რა შევძინეთ მას. ერთი რამ ცხადია, მან მეტი მოქნილობა შეიძინა და დღეს იგი უფრო მეტად არის ადაპტირებული სამყაროსთან, ვიდრე 30 წლის წინ იყო. ცხადია, ყველაფერი ეს ბევრი სიმახინჯის თანხლებით ხდება, მაგრამ ისტორიამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ იცის სტერილური პროცესები.

ნოდარ შანიძე: აცხონა ღმერთმა ვაჟა ყუბუსიძე. ჰოლანდიიდან დაბრუნებულმა ასე თქვა: ხალხი ქალაქში ვერ გაუჩერებიათ, ყველა სოფელში გარბის და იქ, ერთ მოქალაქეს ერთი თვის გასამრჯელოთი შეუძლია იყიდოს 900 კილო კაკალიო. თუკი ასეა, იქცეს ჰოლანდიურ სოფლად. აბა,. როდემდე ვუყუროთ ამ ქართულ ბრექს? როდემდე შევინახოთ ეს ურაკვიცობანი?

ზაზა ფირალიშვილი: თქვენი ნებაა, ბატონო ნოდარ. პირადად მე ჩვენს სულიერებაში ვხედავ იმის პოტენციას, რომ ჰოლანდიური სოფლის იმიტირების გარდა რაღაც სხვაც გავაკეთოთ.

ნოდარ შანიძე: რას ხედავთ ბატონო ზაზა ქართულ სულიერებაში-დაარქვით სახელი და გაგვიზიარეთ!

ზაზა ფირალიშვილი: ბატონო ნოდარ, ჩემთვის ეს კითხვა არ არსებობს. მე მხოლოდ ამ სულიერების ნიმუშები შემიძლია მიგითითოთ: ფიროსმანი, ვაჟა, გალაქტიონი, ირაკლი ფარჯიანი, სტურუა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

ნოდარ შანიძე: სადღაა ფლორა, რომის ასული, გასული ზამთრის სადაა თოვლი? თქვენს მიერ ჩამოთვლილი შემოქმედნი (სტურუას გარდა) ყველა უბედური იყო თავის სამშობლოში. ყველას უდედინაცვლა საქართველომ!

ზაზა ფირალიშვილი: ცხადია, ეს ჩვენი უბედურებაა. მე თავადაც არაერთხელ მითქვამს, რომ აქ, ამ გარემოში ისე შეიძლება იცხოვროს ადამიანმა, რომ საკუთარი საჭიროება ერთხელაც ვერ იგრძნოს. ამის უარყოფა არ შეიძლება. და მაინც, მე ძალიანაც არ გადავაჭარბებდი. მაისტერ ეკჰარტი გარდაცვალებიდან მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ შერაცხეს წმინდანად. გარკვეული დროის განმავლობაში იგი ერეტიკოსადაც კი მიაჩნდათ. ევროპის ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით. სამწუხაროდ, ასეთია ნებისმიერი კულტურის სხეული მოწყობილი. გამორჩეულ პიროვნებებს უცხო სხეულად აღიქვამს. კულტურა, ალბათ, იმითაც შეიძლება გაიზომოს, თუ რამდენად შეუძლია მას საკუთარ სხეულში განსხვავებული და უნიკალური მეტყველების ატანა. ჩვენს კულტურას ჯერაც აკლია ამის უნარი და განსხვავებულს ზოგჯერ საფრთხედ აღიქვამს. და მაინც, ჩვენ ახლა რეალურ ისტორიულ გარემოში ვართ და ბევრ რამეს ვსწავლობთ და ვისწავლით.

ლიტფორუმი «ებლიტფო»: ბატონო ზაზა, თქვენ სტატიას დავუბრუნდეთ: როდის გადაწყვიტეთ დაგეწერათ, რამდენი ხანი წერდით და გაგრძელება თუ ექნება..

ზაზა ფირალიშვილი: ილიასადმი მიძღვნილ ესსეს, თუ არ ვცდები, სამი თვის განმავლობაში ვწერდი. უფრო დიდი ხანი მოვუნდი საბასადმი მიძღვნილ ესსეს. გარძელების თაობაზე ვერაფერს ვიტყვი. ამ ერთი წლის წინ დავიწყე წერა ესსესი, რომლის პირობითი სახელიცაა „სტურუას ილია“, რომელიც რობერტ სტურუას მიერ ილიას მიხედვით დადგმულ სპექტაკლს ეძღვნება. სამწუხაროდ, უამრავი საქმის გამო ვერ შევძელი დასრულება. ცხადია, ილიას თემა იქაც წამყვანია.

კობა ჭუმბურიძე: ილიამ ხელში საანგარიშო დაიჭირა და უცხოურიდან თარგმნა დაიწყო. ეს დაახლოებით იგივე მგონია, რასაც დღეს ინგლისურსა და კომპიუტერს უწოდებენ. სწორედ დაკონსერვების წინააღმდეგი იყო ილია, ჩოხის ნაცვლად ფრაკი ეცვა და სამეტყველო ენაც უკიდურესად გაამარტივა. ექვთიმე იგონებს — როცა ილიას სთხოვეს — მთავარმართებელთან ახლო ხარ და ეკლესიის ავტოკეფალიაზე ჩამოუგდე სიტყვაო, ამიხსენით რისთვისაა ეგ საჭიროო – უკითხავს. ანუ, ზაზას ვეთანხმები სრულად, გამოგონებული ილია არავის სჭირდება, რაც იყო სინამდვილეში, სრულიად საკმარისია.

კახა დავითური: ჩემი აზრით, როგორც ნაციონალური სუბსტანცია, გარდავიცვალეთ 1832 წელს.

დაიკარგა ერთგვარი პრაგმატული, ზრდასრული დამოკიდებულება ყველაფრისადმი.

დაიკარგა კრიტიკული აზროვნება და თვითირონია, როგორც ობიექტური თვითშეფასების უმთავრესი ფაქტორი.

ახალი ათვლის წერტილი უდაოდ ილიას და მისი თაობის თავგანწირული მცდელობის შედეგად დადგა, თუმცა ხელშესახები წარმატებები არც ჰქონია, გარდა ჩანასახისა და რეფლექსიის აუცილებლობის პარადიგმული მნიშვნელობისა.

სწორედ ამიტომაც, ყველა შემდგომ საზოგადოებას ახასიათებდა ჩვილისა და ახლდამოქცეულის სინდრომი, რის გამოც იყო მუდმივად შარში და საკმაო წარმატებითაც. ანუ ‘თუ ქრისტიანობაა, აუცილებლად ფუნდამენტალისტური უნდა იყოს, ლიბერალიზმს ლიბერალურ ტერორად ვაქცევთ, სოციალიზმს — ბოლშევიზმად და სხვ.

დიდად შორს არც ახლა ვართ, სამწუხაროდ.

თუმცა ზრდასაც თავისი ეტაპები და კანონები აქვს.

ეგღა მამშვიდებს.

ზაზა ფირალიშვილი: უნდა დაგეთანხმოთ, ბატონო კახა, თუმცა ერთი შენიშვნით. მე მაინც არ მინდა 1832 წლის მოვლენებს ნაციონალური სუბსტანციის გარდაცვალება ვუწოდო (ხომ გახსოვთ, გალური ანდაზა: სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!). ეს უფრო კაპიტულაცია იყო. ახლა ჩემი ერთი იდუმალი აზრი უნდა გაგანდოთ: თუ არა ილიასეული ნებისყოფა და ფიროსმანისეული და ვაჟასეული მიბრუნება პირველძირებისაკენ, ეს კაპიტულაცია მართლაც შეიძლება კვდომად ქცეულიყო.

კახა დავითური: სიამოვნებით მივიღებ შესწორებას, ბატონო ზაზა.

მითუმეტეს, რომ დარწმუნებული არც მე ვარ.

უბრალოდ, პროცესის ანატომიის აღწერას შევეცადე რეტროსპექტულად და სადღაც მაგ დროს და უნებლიედ (უვნებლად) ლეტალურ შედეგამდე მივედი.

ქეთი გზირიშვილი: ბატონო ზაზა, მე ახლა ვეცნობი თქვენს წერილს... პირველი კითხვა, რომელიც გამიჩნდა: როგორ ფიქრობთ, დღესაც გვაქვს „გულუბრყვილო ისტორიული პროექტები“?

ზაზა ფირალიშვილი: ცხადია, ქეთი. მე უკვე ვახსენე ჰოლანდიური სოფელი, „ოდითგანდელი ქართული ცხოვრების წესის“ რეანიმაცია, რომელზეც მხოლოდ ერთგვარი კარნავალური, თუ თეატრალური წარმოდგენები აქვთ. გაიხსენეთ მრგვალი სოფლის პროექტი, ყველაფრის 1801 წლიდან დაწყება და მრავალი სხვა. საკუთარი ცხოვრების აგებაც ცოცხალი სურათების თეატრალური ესთეტიკით ხომ ამგვარი პროექტის ნიმუშია.

ზაზა ფირალიშვილი: როგორც ჩანს, მეტი კითხვები არ არის. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ ყველანი ვეძებთ გამოსავალს და მთავარი ეს არის — მაშასადამე ცოცხლები ვართ და საკმარისი ძალაც გაგვაჩნია, რომ ვერც რეტროგრადულმა მითო-პოეტურმა ნაციონალიზმმა მოგვიღოს ბოლო და ვერც ლიბერალურმა ექსტრემიზმმა. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.



ლიტფორუმი «ებლიტფო»: დიდი მადლობა ბატონო ზაზა, დიდი მადლობა მის ყველა სტუმარს. ჩემს გარდა!

კობა ჭუმბურიძე: დიდი მადლობა ბატონ ზაზას დიდი საფიქრალის დატოვებისთვის.

ზაზა ფირალიშვილი: კარგად ბრძანდებოდეთ.

აზრი გამოთქმული ალმანახ „თაობების“ ირგვლივ არსებული დისკუსიების შესახებ

გვანცა ჯობავა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოს“ მიერ 2007-2008 წწ. გამოცემული ალმანახი „“თაობების““ პირველი და მეორე ნაწილი ახლახანს, 2-3 წლის დაგვიანებით, ჩამივარდა ხელში. „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“, და თუ ამ პრინციპსაც მოვიშველიებთ, წიგნის წაკითხვა, თუ ის ჯერ არ გაქვს წაკითხული, არასდროს არის გვიან, რომელ წელსაც არ უნდა იყოს გამოცემული. ზემოთხსენებულ წლებში მეც ვიყავი ამ ფორუმის მოკრძალებული წევრი და, რა თქმა უნდა, მსმენია პროექტ „თითო-თითოს“ შესახებ, რომლის მიხედვითაც „ებლიტფოს“ ნებისმიერ ავტორს სურვილისამებრ შეეძლო წარედგინა თავისი ერთი ნაწარმოები, რომელიც ულაპარაკოდ დაიბეჭდებოდა ალმანახ „თაობებში“. მსმენია, თუმცა მე პირადად მონაწილეობა არ მიმიღია და არც ნაწარმოები გამიგზავნია დასაბეჭდად.

ვცადე გამეხსენებინა, რატომ მოვიქეცი ასე. დაზუსტებით ვერ ვიხსენებ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ალმანახში მოხვედრის პრინციპი ძალიან მარტივი იყო, ალბათ მე თვითონ ვიტვირთე საკუთარი ლექსების „კრიტიკოსობა“, ან ალმანახის რედაქტორობაც კი ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის და მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს არაა ის ავტორი, რომელიც მზადაა ალმანახ „თაობებში“ მოსახვედრად (და ეჭვი მაქვს, რომ მე არ ვიყავი ერთადერთი ავტორი, რომელიც ასე მოიქცა).

მას შემდეგ, რაც ალმანახის ორივე ნაწილი გადავიკითხე, მის ავკარგიანობას მიძღვნილ კრიტიკულ წერილებსაც გავეცანი. როგორც აღმოჩნდა, „თაობებს“ პირველად ქალბატონი ლელა კოდალაშვილი გამოეხმაურა წერილით: „ალმანახი „თაობები“ და ბოლო წლების ლიტერატურული კლიმატი საქართველოში“. რასაც მოჰყვა პროექტის ავტორის გიორგი კილაძის საპასუხო წერილი, რომელიც ასე იწყება: „ყურადღებით წავიკითხე ქალბატონ ლელა კოდალაშვილის წერილი და პირველი, რისი სურვილიც გამიჩნდა, მადლობის გადახდაა, რასაც განსაკუთრებული სიამოვნებით ვასრულებ.“ გასაგებია, რასაც გულისხმობს ბატონი გიორგი, ნებისმიერი წიგნისთვის, ერთი კრიტიკული წერილიც კი, უკვე პატარა გამარჯვებაა, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალბატონ ლელას წერილში არც თუ ისე დადებითი კრიტიკა ამოვიკითხე, უფრო მეტიც, მან უამრავ

“ერთ-ერთი გამოცემა, რომელიც არათუ ვერ აცდა ფასეულისა და უხარისხოს გვერდიგვერდ დაბეჭდვის მომენტს, პირიქით, იმის ერთგვარ ნიმუშადაც კი იქცა, თუ რამხელა ფორმატი შეიძლება დაეთმოს ე.წ. ანტილიტერატურულ ტექსტებს, გახლავთ ალმანახი „თაობები“, რომლის ორი ნომერი თითო წლის შუალედით გამოიცა და რომელმაც ფაქტობრივად ზუსტად ასახა დღეს ამ სფეროში შექმნილი რეალური სურათი“, – წერს ქალბატონი ლელა, რაზეც პროექტ „თაობების“ ავტორი ასე პასუხობს: „ალმანახი კი ვერ აცდა ფასეულისა და უხარისხოს გვერდიგვერდ დაბეჭდვის მომენტს, არამედ არ აცდა, რამდენადაც ჩემი, როგორც ამ ვირტუალური ლიტერატურული პროექტის ავტორის ჩანაფიქრი ლიტერატურულ, განსაკუთრებით ვირტუალურ ლიტერატურულ სფეროში შექმნილი სურათის რეალურად ასახვა იყო“.

საბოლოოდ კი, ამ დისკუსიას გამოეხმაურა მარსიანი, ასე ვთქვათ, შემაჯამებელი წერილით.

დისკუსიაში მონაწილე ადამიანების ჩამოთვლის შემდეგ უკვე ცხადი ხდება, რომ ჩემი თითქმის უცნობი სახელისთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და, შეიძლება ითქვას, „ზედმეტი თავის ტკივილიცაა“ კიდევ ერთი საპასუხო წერილის დაწერა, მაგრამ რადგანაც უკვე შემეყარა აუტკიებელი თავის ატკიების სურვილი, აღარ დავიხევ უკან და ზედმეტი ამბიციურობის გარეშე, ძალიან მოკრძალებულ და ძალიან უბრალო აზრს გამოვთქვამ უკვე მრავალგზის განხილულ საკითხთან დაკავშირებით. ჩემს წერილს ამიტომაც დავარქვი უბრალოდ “აზრი გამოთქმული ალმანახ „თაობების“ ირგვლივ არსებული დისკუსიების შესახებ”.

ალმანახის პირველი ნაწილი იწყება ლელა სამნიაშვილის წინათქმით, რომელშიც იგი წერს: „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ “ებლიტფოზე” გაცოცხლებული სიტყვები, ამ ალმანახის სახით, ძველი და ახალი გზების შერწყმაცაა და დაზავებაც. „ებლიტფომ„ ზუსტად ერთი წელი უმასპინძლა სხვადასხვა თაობის მწერლებს, როგორც უკვე დამკვიდრებულ ავტორებს, ასევე დამწყებებს, ყველას, ვისაც ქართული ენა საკუთარი შინაგანი ხმის სიტყვებში გადატანისა და თხზვის გამბედაობას აძლევს. რამდენად გამართლებულია ალმანახში წარმოჩენილი ავტორების მხრიდან ასეთი გამბედაობა, ამას უკვე შენ განსჯი“.

აქვე მოვიშველიებ ბატონ გივი ალხაზიშვილის სიტყვებსაც, „ყველა ავტორი საკუთარი ნაწარმოებით აგებს პასუხს მკითხველის წინაშე“, რომელიც, როგორც ბატონი გიორგი კილაძე წერს, მისთვის პირად საუბარში უთქვამს ბატონ გივის.

უნდა ჰყოლოდა თუ არა ალმანახ „თაობებს“რედაქტორი? ჩემი მოკრძალებული აზრი და პასუხი იქნებოდა: აუცილებლად! აი, თუნდაც დღეს რომ იბეჭდებოდეს ამ კრებულის მესამე ნაწილი, თუ მაინც წამცდებოდა ხელი და მეც ვიფიქრებდი საკუთარი ნაწარმოების გაგზავნაზე, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი და სასიხარულო იმ შემთხვევაში იქნებოდა „თაობებში“ მოხვედრა, თუ მას ეყოლებოდა კომპეტენტური რედაქტორი და რედკოლეგია, რომლებიც თუ მეტყოდნენ, რომ ლექსი ღირსია დაიბეჭდოს, მაშინ უფრო დიდი წარმატება იქნებოდა ჩემთვის იქ მოხვედრა, რადგან ერთი ან რამდენიმე კომპეტენტური ადამიანისგან მაინც მექნებოდა დასტური, რომ ჩემმა ლექსმა, თუნდაც ძალიან პატარა, მაგრამ მაინც ბარიერს გაუძლო. სხვა შემთხვევაში, ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ავტორისთვის ამ კრებულში ძალიან ადვილად, გამოცდის ჩაბარების გარეშე მოხვედრა, იქნებოდა განუწყვეტელი ფიქრი და დარდი იმაზე, რომ მე ძალიან დაუმსახურებლად მოვხვდი ბევრი ცნობილი და ჩემთვის საყვარელი ავტორის გვერდით. შესაბამისად უხერხულობას იგრძნობდნენ ეს ნიჭიერი ავტორებიც, რომ მათ გვერდით დაიბეჭდა ცუდი ხარისხის ლექსები და ეს ყველაფერი კი განცვიფრებას გამოიწვევდა კომპეტენტურ მკითხველში, რომელიც ვერაფრით გაარკვევდა, რა საერთო აქვთ ერთმანეთთან ერთ ალმანახში თავმოყრილ, შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული დონის ავტორებს. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი კონკრეტული მაგალითიდან და ჩემი კონკრეტული აზრიდან გამომდინარე, რომ წესით სხვა ახალბედა ავტორებიც ასე უნდა ფიქრობდნენ. არის თუ არა „თაობებში“ მსგავსი უხერხულობა, რაც ზემოთ ვახსენე, ეს ჩემი განსასჯელი არაა, რადგან უფრო სუბიექტურ აზრად ჩაითვლება, ამიტომ ამ შეკითხვას ღიად დავტოვებ, უფრო კომპეტენტური ადამიანების განსასჯელად.

თუმცა ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, სულაც არ გულისხმობს იმას, თითქოს მივიჩნევდე, რომ 2007 და 2008 წწ-ში გამოცემული ალმანახ „თაობების“ სახით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. თუმცა კი ქალბატონი ლელა კოდალაშვილი წერს: „თაობებში“ რა ხდება? ცხადია, რომ აქ დიდი დოზითაა თავმოყრილი ე.წ. „ხლამი“ და მხოლოდ ალაგ-ალაგ —საინტერესო გვარ-სახელები“ — ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ გადავშალე სარჩევი და შემდეგი გვარ-სახელები ჩავიკითხე: გივი ალხაზიშვილი, ნინო თარხნიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, იზა ორჯონიკიძე, ლელა სამნიაშვილი, თეა თოფურია, გიო საჯაია, თამრი ფხაკაძე, ეკა ქევანიშვილი, ეთერ თათარაიძე, ირმა ტაველიძე, ნატო ინგოროყვა, ნატა ვარადა, გიგა ნასარიძე, ზურაბ რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, რეზო გეთიაშვილი, ბესო ხვედელიძე, ირმა მალაციძე, მარიანა ნანობაშვილი, მაკა მიქელაძე, მიხო მოსულიშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, მარსიანი, გიორგი ბუნდოვანი, მარიამ წიკლაური, დიანა ანფიმიადი, ლელა კოდალაშვილი, ქეთი გზირიშვილი, ქეთი დიდიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, ჰექსე, ვასილ გულეური, ნინო სადღობელაშვილი, ზვიად რატიანი და მრავალი სხვა.

არ შეიძლება მე დღეს შევსულიყავი წიგნის მაღაზიაში, მენახა ერთ კრებულში თავმოყრილი ეს ავტორები და ეს წიგნი არ შემეძინა.

ვიფიქრე იმაზეც, ვინ დამაკლდა ამ ალმანახში ალბათ, გიორგი ზანგური, გიორგი შალამბერიძე, რატი ამაღლობელი, კატო ჯავახიშვილი, გიორგი არაბული, გიორგი კეკელიძე და მრავალი სხვა. გვარები შეგნებულად მხოლოდ ახალი თაობიდან დავასახელე, იმედია ამის გამო მეც „ლიტერატურის ფსევდომომხმარებელთა“ სიაში არ აღმოვჩნდები.

ალმანახ „თაობებში“ შესული ბევრი ავტორი, რომელიც ამ ალმანახების გამოცემის დროს, შესაძლოა, არც ისე ცნობილი იყო და მხოლოდ იწყებდა, დღეისათვის უკვე მნიშვნელოვნად განვითარდა და არა თუ მხოლოდ განვითარდა, არამედ ზოგი მათგანი უკვე არაერთხელ გახდა საქართველოში დღეისათვის მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიების: „წერო“, „ლიბ.გეს პრემია“, ახლად დაარსებული „ბარათაშვილის პრემია“, „საბა“, „გალა“ და ა.შ. მფლობელი. თუმცა სხვა საკითხია, რომ ზოგადად პრემიები, მე მაინც პირობითი ჯილდოები მგონია, ესეც უბრალოდ ჩემი პირადი აზრია. მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ეს პრემიები, ასე თუ ისე, იწვევს ავტორის პოპულარობას, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ სიტუაციაში, როდესაც საქართველოში, დღეს არსებული, არც თუ ისე სახარბიელო მატერიალური მდგომარეობის გამო და არა მხოლოდ, არავინ იყიდის მისთვის უცნობი ავტორის წიგნს მხოლოდ იმ იმედით, რომ შეიძლება ამ უცნობი ავტორის მიღმა ახალი გენიოსი აღმოაჩინოს. ალბათ უკვე ყველამ კარგად იცის, რომ დღეს იმდენად ადვილია წიგნის დაბეჭდვა, რომ წიგნის გამოცემა, მითუმეტეს, უცნობი ავტორების მიერ, ბევრზე არაფერზე მეტყველებს. სწორედ ამიტომ — პრემიების მიღება-პოპულარობა- წიგნის გაყიდვების დონის ოდნავი მატება მაინც — ეს კომპონენტები ერთმანეთზეა მიბმული. ამიტომაც ალბათ თითქმის ყველა მიისწრაფის პრემიებისა და წარმატებისკენ,

„დაე, ყველა ავტორმა საკუთარი ნაწარმოებით
აგოს პასუხი მკითხველის წინაშე"

ბოლოს და ბოლოს მწერალს სჭირდება, რომ ადამიანებმა დააფასონ მისი შრომა, მკითხველის გარეშე ყოფნა კი, ალბათ ყველაზე რთული მომენტია მწერლისთვის.

თუმცა ქალბატონი ლელა კოდალაშვილი შესაძლოა ამგვარ პრემიებსაც გულისხმობდა, როდესაც წერდა: „ფიარის ჯადოქრული შესაძლებლობა ეფექტურად მხოლოდ გასასაღებელ მედიკამენტებზე, პროდუქტებზე ან რესტორნის ქსელზე კი არ მუშაობს, არამედ ადამიანის მსოფლმხედველობაზე, აზროვნებაზე, სულიერ ფასეულობებზეც კი ჭეშმარიტ მომთხოვნელთა რიგებს მიემატა ფსევდომომხმარებელი, რომელიც მხოლოდ გაპიარებულ წიგნებს ყიდულობს"

რაც შეეხება ქალბატონ ლელა კოდალაშვილის მოსაზრებას: „თაობებისადმი" საზოგადოების ნაკლები ინტერესის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ აქ წარმოდგენილმა ცნობილმა და მეტ-ნაკლებად პროფესიონალმა ავტორებმა, იმის გამო, რომ ალმანახი ჰონორარს არ გასცემდა, თან ცნობილი იყო, რომ უამრავ არაპროფესიონალსაც დაბეჭდავდა, არ გაიმეტა ახალი ნაწარმოებები და ალმანახში მიიტანა მანამდე (ზოგმა რამდენიმეგზის) გამოქვეყნებული ტექსტები, მაინც არავინ წაიკითხავსო". არ ვიცი, მართლა ასე მოიქცნენ ალმანახში შესული ავტორები თუ არა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს პრობლემა ნაკლებად შესამჩნევია, რადგან ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ამ კრებულს დღეს კითხულობს, ის ნაწარმოებებიც ძველია, რომლებიც დაიბეჭდა და სულ ცინცხალი ნაწარმოებებიც რომ გაეგზავნათ ავტორებს გამოსაქვეყნებლად, დღეისთვის ისინიც ძალიან ძველი და მრავალგზის გამოქვეყნებული იქნებოდა. რაც შეეხება ხარისხს, მე მაინც მგონია, რომ, რაც არ უნდა არაფრად ჩაეგდოთ ავტორებს ეს ალმანახი, მეეჭვება ვინმეს საკუთარი თავი ისე გაემეტებინა, რომ შეგნებულად მიეტანა ცუდი ხარისხის ან სავარჯიშოდ დაწერილი ნაწარმოებები. და თუ მხოლოდ მათ სიძველეში იყო პრობლემა, დღეისთვის ეს ალმანახი თავისი ნაწარმოებებიანად უკვე ძველია და ისტორიის საკუთრება.

გარდა ამისა მოვიშველიებ მარსიანის სიტყვებსაც: „ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — ალმანახში ავტორები თითო ნაწარმოებით არიან წარმოდგენილი და ამდენად, მათი ნიჭიერების განსაზღვრა ალბათ არცთუ შეუმცდარი იქნება; მეტი სიზუსტისათვის, აჯობებდა თქმულიყო, რომ აქ დაბეჭდილი ნაწარმოებებია ხარისხობრივად საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონის". თუმცა უკანასკნელი მოსაზრება ნაწარმოებების ხარისხთან დაკავშირებით მხოლოდ მარსიანის მოსაზრებაა და მე მას არ ვიმეორებ, ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ მე არ მაქვს მსგავსი შეფასებების უფლება.

ბატონმა გიორგი კილაძემ ლელა სამნიაშვილის სიტყვები მოიშველია და თავის წერილში ასეთი შეკითხვა დაუსვა საკუთარ თავს: „იქნებ მართლა არ ღირდა დამწყებებისთვის, ვისაც ქართული ენა საკუთარი შინაგანი ხმის სიტყვებში გადატანისა და თხზვის გამბედაობას აძლევს, უკვე გამოცდილი ან როგორც ზოგიერთები ამბობენ „უკვე შემდგარი" მწერლების ერთ ალმანახში გვერდით „დგომის" საშუალება მიმეცა? — და იქვე ცალსახად პასუხობს: „ღირდა!!!"

ჩემი საბოლოო შეფასებაც ასეთი იქნება: ღირდა!!!

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ ლიტერატურაზე ვსაუბრობთ

აბსოლუტურად ვეთანხმები მარსიანის მოსაზრებას, რომ „ჩვენ ლიტერატურისგან შეუძლებელი არ უნდა მოვითხოვოთ და გამუდმებით შედევრების ცვენას არ უნდა ველოდეთ რაც დაიწერა, იმის წაკითხვა და გაგება შევძლოთ და ნებისმიერი მოკალმისგან პოეტურ სასწაულებს ნუ მოვითხოვთ"

მე ვერ მივემხრობი პოეზიის, მწერლობის რაიმე ჩარჩოში მომწყვდევას. ლიტერატურა თავისუფლებაა ღია სივრცე ნებისმიერი სახის ექპერიმენტისათვის ათასიდან ერთმა ექსპერიმენტმაც რომ გაამართლოს (და აუცილებლად გაამართლებს), „ციხე-სიმაგრის ასაშენებლად ერთით მეტი აგური გვექნება" და ათასივე ექპერიმენტი გამართლებული იქნება ამ ერთის გამო

დასასრულ კი, ბატონ გივი ალხაზიშვილის ზემოთ უკვე ნახსენებ სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ „დაე, ყველა ავტორმა საკუთარი ნაწარმოებით აგოს პასუხი მკითხველის წინაშე", დრო მაინც ყველაფერს თავის საცერში გაცრის და ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს

.შ. რაც შეეხება ალმანახ „თაობების" მესამე ნომერს, ძნელი სათქმელია როგორი უნდა იყოს იგი, მაგრამ მე ორ ჩემთვის მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ კომპონენტს გამოვყოფდი:

პირველ რიგში იმას, რომ ალმანახის მესამე ნაწილს აუცილებლად უნდა ჰყავდეს კომპეტენტური რედაქტორი და რედკოლეგია.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი კი არის ის, რომ „თაობებმა" უნდა შეინარჩუნოს ძველი სტილი და არაფრით არ უნდა გახდეს მიუწვდომელი ხილი უცნობი ავტორებისთვის, ალმანახმა არაფრით არ უნდა დაკარგოს ახლის თქმის და ახლის აღმოჩენის უნიკალური შესაძლებლობა, ახლის და, რა თქმა უნდა, ხარისხიანის, რისი გარანტიც სწორედ კომპეტენტური რედკოლეგია უნდა გახდეს. ალმანახმა „თაობებმა" არ უნდა დაკარგოს შანსი, იამაყოს წლების შემდეგ, რომ სწორედ მან დაუთმო პირველად საკუთარი ფურცლები ყველასთვის უცნობ ავტორებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სამომავლოდ შეიძლება ნამდვილ აღმოჩენად იქცეს ქართულ ლიტერატურაში.

„ „

დაუჯერებელია ეს ამბავი ასე მომხდარიყო

გიორგი გაგუა

დაუჯერებელია, ეს ამბავი ასე მომხდარიყო, მაგრამ მოსახდენი მოხდა, ვერლიბრის სტილში გადაწყდა ყველაფერი, თეთრ ლექსად აღიბეჭდა, ურითმო სიმფონიად იქცა ჩემი ცხოვრება. დიახ, დიახ! ეს არის უმიზნო სევდა ჩემი ნაღვლიანი და უკიდეგანო ცხოვრებით. თემურმა, დიად გრძნობას, რომელსაც დიდი შოთა „მიჯნურობას" უწოდებს ხელი ჰკრა, რატომღაც რაღაც-რაღაცების გამო, ვერ შეითვისა ეს ბრწყინვალე, სულის მკვებავი საზრდო, რომელიც ხანდახან ხორცსაც გვიამებს, ხოლმე. ცრემლიანი ეპოსის შემდეგ ახალი სიუჟეტი დაიხატა, ახალმა ნერგმა იფეთქა მიწიდან და თან სიყვარულის ხანგრძლივი, მწველი გრძნობა მოაყოლა, როგორც პოეტი, ნანა ცინცაძე ამბობს- „კვირტმა მიწისქვეშ იფეთქა მე მელოდება, მხოლოდ. " თამარმაც ამოისუნთქა! თამარისა და თემურის ურთიერთობა, ჩინეთის კედელივით მაღალი და მტკიცე გახდა იტყოდით, რომ კუპიდონის ნასროლი ისარი, მხოლოდ მათ გულებს ჩაესო გოლეულივით ტკბილადო! მთვარე ნათელს ასხივებდა, სიო გრილად უბერავდა და წყვილის თმებს უჩინარი თითებით ეალერსებოდა. თეთრი ულამაზესი ქალწული იდგა ვაჟის, წინ ლოყები ბროწეულის ყვავილივით დაბრაწვოდა, ტუჩების ნაზი სისხლისფერი იპყრობდა და ათრობდა ვაჟის ჰაბიტუსს, კბილები ალმასივით უელვარებდა. ვაჟი გაუჩნდატ ოქროსფერთმიანი! „წუხელის ბიჭი დაბადებულა დაურქმევიათ იმისთვის ცოტნე! " სწორედ ცოტნე დაურქმევიათ მისთვის. დრო მიდიოდა, მიდოდა ისტორიული დრო „წარსული, აწმყო და მომავალი. " მერმისი ბრწყინვალე აღმოჩნდა, ოჯახი ბადიშებით გაივსო, სიყვარულისა და ბედნიერების ცეცხლი გიზგიზებდა ისევ, რომ არა ავადსახსენებელი „სიკვდილი" „სიკვდილო ოხერ-ტიალო გასწი ეგ შენი ცელია-გიული ჩქარეული „მოინელა „სიკვდილმა" თემური, რომელიც იქვე ახლომახლო სასაფლაოზე დაკრძალეს. მოვლენები უცნაურად წარიმართა ძალიან, რადგან-თამარმა თემურის სიკვდილი, ვერ გაიგო და თემურმა თამარის, იმიტომ რომ სიკვდილმა ორივე ერთდროულად მოინელა და არ გაწყვიტა მიჯნურობის ძლიერი ჯაჭვი. სიყვარული არსებობს, ოღონდ არაცნობიერ გაცნობიერებულად, ხანდახან ფროიდსაც უნდა დაეთანხმო კაცი!

მარინა გიგოლაშვილი

„ბერენიკეს თმების" მონოლოგი

მე ბერენიკეს თმები ვარ, უმშვენიერესი, ტალღოვანი, მოელვარე და მოციმციმე ნისლეული, რომელიც ნაპერწკლებად აელვარებული არქტურის, შვიდვარსკვლავა დიდი დათვისა და დიდებული, მეფური ლომის თანავარსკვლავედებს შორის საუცხოო, მქრქალ კონფიგურაციადაა გამოსახული. კაშკაშა რეგულიც აქვეა, მოციმციმე ალკორი და მიცარიც, და როგორც წვრილ-წვრილი ბრილიანტების მტვერი, მათ შორის ჩემი თანავარსკვლავედია გაბნეული!

არ გაინტერესებთ, აქ როგორ მოვხვედი? ახლავე ყველაფერს გიამბობთ. სულ თავიდან დავიწყებ. ეს მოხდა ეგვიპტეში, ძალიან დიდი ხნის წინ, თითქმის 2300 წელი გავიდა მას შემდეგ. პირამიდების ქვეყანას მართავდა პტოლემე III ევერგეტი, შვილი პტოლემე II ფილადელფოსისა, რომელმაც ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკა დააფუძნა. ფარაონის – პტოლემე III ევერგეტის მეუღლე იყო ბერენიკე II, დედოფალი, რომელიც განთქმული იყო თავისი მშვენიერი, ულამაზესი, ქარვისფერი თმებით, კოჭებამდე რომ სწვდებოდა. მის თმებს ლექსებს უძღვნიდნენ პოეტები, მთელი ქვეყანა ამაყობდა დედოფლის ოქროსფრად ბრწყინვალე თმებით, რაც არამარტო მისი მშობლიური ქვეყნის სიამაყე იყო, შორეული ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ მნახველები, რათა ეხილათ ეს საოცარი, მბზინვარე დალალები. ფარაონი ვერ ძღებოდა ბერენიკეს თმების სიმშვენიერით და ამაყობდა, ასეთი ლამაზი და გამორჩეული მეუღლე რომ ჰყავდა. მაგრამ მათი ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ფარაონს, თავის ლაშქართან ერთად, გამგზავრება მოუწია, რადგან ასირიელებთან ბრძოლა გარდაუვალი იყო. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. სამ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ფარაონი სახლიდან იყო წასული. ბერენიკე ძალიან განიცდიდა და ღელავდა მეუღლის ბედზე. ამიტომ მან ჰკითხა ფარაონის წინასწარმეტყველს – კონონს, რა უნდა გაეკეთებინა, რომ მისი მეუღლე სახლში საღი და უვნებელი დაბრუნებულიყო. კონონმა ურჩია დედოფალს, რომ შეეწირა თავისი მშვენიერი თმები სიყვარულის ქალღმერთისთვის - აფროდიტესთვის, რომ მისი ქმარი შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. კიდევ რამდენიმე კვირის დაძაბული მოლოდინის შემდეგ ფარაონი დაბრუნდა სახლში ცოცხალი და უვნებელი. მთელი ქვეყანა სიხარულმა მოიცვა, გამარჯვებას ზეიმობდა. გახარებული იყო დედოფალიც, მაგრამ მან უთხრა მეუღლეს თავისი აღთქმის შესახებ, შეეწირა თავისი თმები სიყვარულის ქალღმერთისადმი. დანაღვლიანდა ევერგეტი, მაგრამ დედოფალი ვერ დაარწმუნა, გადაეთქვა თავისი სიტყვა. დედოფალი შევიდა ტაძარში. ქურუმებმა ბერენიკეს თმები შეკვეცეს და ულამაზესი თმები სამსხვერპლოზე ზვინად დაახვავეს.

მეორე დღეს ფარაონი მივიდა ტაძარში, რომ ეხილა ბერენიკეს თმები, მაგრამ აღმოაჩინა, რომ სამსხვერპლო ცარიელი იყო, თმები გაქრა ტაძრიდან. ფარაონი გაცეცხლებული იყო, ქურუმები შეკრიბა და მათ ადანაშაულებდა ყველაფერში. იქვე, ადგილზე გადაწყვიტა მათი დასჯა. მაგრამ საქმეში ასტროლოგი კონონი ჩაერია. მან უთხრა ფარაონს:

– არა, თქვენო ბრწინყინვალებავ, ეს არ არის ქურუმების შეცდომა, ნუ ადანაშაულებთ მათ. საღამომდე მოიცადეთ და მე გაჩვენებთ, სად არის ბერენიკეს თმები.

როდესაც დაღამდა, ვარსკვლავთმრიცხველმა წაიყვანა ფარაონი ისეთ ადგილას, სადაც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ხელისგულივით ჩანდა, და უთხრა:

– შეხედეთ, განა თქვენ ვერ ხედავთ თქვენი მეუღლის კულულებს, აჟურული ნაქსოვივით ერთად შეჯგუფებულს და ისეთნაირადვე ოქროსფრად გაბრწყინებულს, როგორიც დედოფლის თავზე იყო შემოგრაგნილი?! ბერენიკეს თმები მხოლოდ ერთად-ერთი ტაძრისთვის ძალზე ლამაზი იყო, ამიტომ ღმერთებმა ისინი ცის თაღზე მოათავსეს, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ყველას შეეძლოს მათი ხილვა და დატკბობა! და ახლა იქ, ქალწულის, ლომის, მენახირის და მეძებარი ძაღლების თანავარსკვლავედებს შორის, სუსტი ვარსკვლავების დიდი რაოდენობა ციმციმებს. სწორედ იქაა "ბერენიკეს თმები" განთავსებული, როგორც თანავარსკვლავედი! ასტრონომმა აუწყა ყველას, რომ დაღამებამდე ჰელიოსი ზეციდან ჩამოვიდა და ბერენიკეს ოქროსფერი დალალები ცაზე აიტანა, სადაც მთელი სამყარო დატკბებოდა მათი სილამაზით. ფარაონი ამ ახსნა-განმარტებებით კმაყოფილი დარჩა და ბერენიკეც გახარებული იყო, რომ აფროდიტემ ასე დააფასა მისი ერთგულება და სიყვარული.

ბერენიკეს თმებს, ანუ ჩემს თანავარსკვლავედს, ლათინურად "Coma Berenices" ჰქვია. "Coma"-ს ლათინური მნიშვნელობაა "თმები თავზე". ის ლათინურიდან ბერძნულში გადმოვიდა, როგორც სიტყვა "Come", რაც ნიშნავს "გრძელთმებიან თავს", ასევე ნისლეულს კომეტის თავის გარშემო. ჯერ კიდევ არისტოტელე იყენებდა ბერძნულ სიტყვას "Come", როგორც კომეტის კაშკაშა შლეიფის დასახელებას. არისტოტელემ გამოიყენა მის მიერვე შედგენილი სიტყვა "cometes", როგორც ამ ციური ობიექტის – კომეტის სახელწოდება. ამიტომაც ჰქვია კომეტას კომეტა, ანუ "გრძელთმებიანი ვარსკვლავი". ქართველები კი უძველესი დროიდან კომეტებს "კუდიან ვარსკვლავებს" უწოდენდნენ, რასაც სხვა ენებში ანალოგი არ აქვს!

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემს თანავარსკვლავედს. ჯერ დავიწყოთ იქიდან, რომ თავისთავად, სახელი - ბერენიკე, ძალზე მნიშვნელოვანია. ეგვიპტელი ფარაონების მეუღლეებიდან ოთხს ერქვა სახელი ბერენიკე. მაგრამ ჩემი დედოფალი – ბერენიკე II – ყველაზე სახელგანთქმული დედოფალი იყო. ამიტომ ჩემი თანავარსკვლავედიც სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული. თავად სახელი ბერენიკე მაკედონური წარმოშობისაა, ხოლო სიტყვა "ბერენიკე", ბერძნულად ნიშნავს "გამარჯვების მომტანს". "bere" ბერძნულად წარმოითქმენა, როგორც "ფერე" (phere) და ნიშნავს "გქონდეს", იკე კი – გამარჯვება, ანუ 'victory'). ჩემი ქალბატონის სახელი ბერძნებმა მოგვიანებით მიანიჭეს ქარვას. მისი, როგორც განსაკუთრებული დედოფლის სახელი დაარქვეს ლიბიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქს, თუმცა შემდგომ მისი სახელწოდება, სამწუხაროდ, შეცვალეს და მას ჰესპერიდები დაარქვეს, დასავლეთის მითიური სამოთხის მცველების სახელი.

ბერენიკეს თმების თანავარსკვლავედი კი სულ სხვა რამეა, თუმცა მქრქალად მოციმციმე, მაგრამ ულამაზესი თანავარსკვლავედი. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხები ცდილობდნენ ჩემი სახელწოდების შეცვლას და დაჩემებას. თუ გსურთ, ჩამოგითვლით, რამდენი მეტამორფოზა განიცადა ჩემმა დასახელებამ თუ კონფიგურაციამ! გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ერასტოფენემ მე არიადნეს თმები მიწოდა, როდესაც ის აღწერდა არიადნეს გვირგვინს. თუმცა, მოგვიანებით, მან ჩათვალა, რომ მე მაინც ლომის თანავარსკვლავედს მივეკუთვნები, და მე მომიხსენიებს, როგორც "ბერენიკეს თმების კულულს", მოკვეცილს ბერენიკეს თავიდან, ეს ცოტა უფრო ახლოსაა სიმართლესთან, ასე არ არის? შემდეგ კი დამიბრუნეს ჩემი ჭეშმარიტი სახელი, ბერენიკეს თმების სახელწოდებით, მაგრამ, რად გინდა, თითქმის 2000 წელი დამჭირდა, რომ სათანადო ადგილი დამემკვიდრებინა თანავარსკვლავედთა შორის! რატომ? ასტრონომები თვლიდნენ, რომ მე ამორფული წარმონაქმნი ვიყავი, ხან ლომის თანავარსკვლავედს მიმაერთენდნენ, ხან ქალწულის თანავარსკვლავედის ნაწილი ვიყავი, ან კიდევ მხოლოდ ნაწილობრივ ვიყავი თანავარსკვლავედი! მხოლოდ ტიხო ბრაჰემ, უდიდესმა დანიელმა ასტრონომმა და XVII საუკუნის ყველაზე საუკეთესო ასტრონომმა-დამკვირვებელმა, 1602 წელს ყველაფერი მოაწესრიგა და თავის კატალოგში შემიყვანა, როგორც დამოუკიდებელი, გამოცალკევებული თანავარსკვლავედი, იმ სახელწოდებით, როგორც ამჟამადაა მიღებული. ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობა აღსდგა!

კიდევ ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვებოდით ჩემს შესახებ, მაგრამ ვშიშობ, თავი არ მოგაბეზროთ. ამიტომ, ვამთავრებ ჩემს მონოლოგს. თუმცა, გპირდებით, რომ აუცილებლად დაგიბრუნდებით.

საუკეთესო სურვილებით,

"ბერენიკეს თმების" თანავარსკვლავედი

15.09.2012

ალექსანდრე ელერდაშვილი

ჩემი ვეფხისტყაოსანი



ამხანაგის მოღალატე
დამმახინჯებელი ანა ჭყონდელი

"ვეფხისტყაოსანი" არ იცნობს სიტყვებს — მეგ\ობარი, მეგობრობა და მათ სანაცვლოდ ყველგან "მოყვარე, მოყვრობა" გვხვდება.... ასე რომ, პატივცემულო პედაგოგებო (ქართული ენისა და ლიტერატურისა—ვ) — ე.წ. თემა სახელწოდებით "მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში"" გაუმართლებელია (კინაღამ ვთქვია "არაადეკვატურია-მეთქი), რადგან ამ პოემაში "მეგობრობა" არ არის!

....სამაგიეროდ არის "ამხანაგი, ამხანაგობა" და ეს, კომუნისტებისადმი სიძულვილის გამო, კომუნისტურად შერაცხული სიტყვა სრულიად დაუმსახურებლად რომაა მივიწყებული დღეს, ძალზედ დიდ სამსახურს უწევს რუსთველს:

— სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სათრეველად (17)
— ეგრე უთხრა: "ამხანაგო, იყავ
მანდა, მომიცდიდე (261)
— აწ ამხანაგთა არ გიგრძნან,
წადი, მათ თანა ვლიდია (442)
— მას ღამესა ერთგან იყვნეს
შვენიერნი ამხანაგნი (673)
— ამხანაგობდეს, ლაღობდეს
წასლვასა მათ საქმეთასა (1497)

.... და ასე შემდეგ.

ბარემ აქვე მოგახსენებთ, თუ საიდან გაჩნდა ეს სიტყვა ჩვენ ენაში: - (ჰამ+ხანე) — კომპოზიტია: ჰამ — თანა, ხანე — სახლი, ესე იგი "თანამოსახლე" (სიტყვასიტყვით ასეა, აზრი هم خانه გამოიტანეთ); მსგავსი სიტყვებია: ამქარი და ამფსონი, აქაც "ჰამ"-ის ნარჩენი "ამ" ერთად საქმიანობას ან მოქმედებას აღნიშნავს. სხვათა შორის, ძალიან "პოეტური" სიტყვაა სპარსულში "მეზობელი", მათ ენაზე ეს სიტყვა ასე ჟღერს „ჰამ-საიე, სადაც "საიე" არის ჩრდილი, ანუ მეზობელი ის ადამიანია, ვინც შენთან ერთად ინაწილებს და იზიარებს ჩრდილს.... (შენ, ჩემო თანამეჩრდილევ! — როგორ "გამაზეს" ეს ფრაზა ქართველმა პოეტებმა?!); რომელი ინგლისელი და ამერიკელი დაინახავს მეზობელში ჩრდილის გამზაირებელს ან თუნდაც "თვალის სინათლეს"?! — დიდი —დიდი მაიკლმა თავის მეზობელ ჰილარის ასე გადასძახოს — მოდი საყვარელო, ბანკში წავიდეთ, ბანკი კარგი.... შენ კარგი, მე კარგი....

ერთი სიტყვით, შორეული წარსულის ირანში დაბადებული მშვენიერი სიტყვა "ამხანაგი" ჯერ შორეული აზროვნების კომუნისტებმა "გააბანძეს" და აგერ, სულ ახლახან შორეული ამერიკიდან წაქეზებულ დემოკრატებს შემოაკვდათ ("მოკლეს" ჩასწორდა "შემოაკვდათ-ი პოლემიკის შემდეგ)...

* * *

აკი გეუბნებოდით — ეს პოლიტიკოსები (ნებისმიერი "იზმის თუ კრატიის" მიმდევრები) სახლში არ არიან შემოსაშვები თორემ სიტყვებსაც აღარ შეგვარჩენენ, არათუ თანამოსახლეებს.

ფლიიიიიიიიზ, ანუ გეთაყვა?!

1118
რა ესე ესმა ავთანდილს ლაღსა,
ბუნება-ზიარსა,
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა
რამე მხნე არსა!
"ამა საქმისა ვერ-ცნობა, -
თქვა, - ჩემი სიძუნტე არსა".
ნუ ეჭვ სულ-დგმულსა ქვეყანად,
თუ ვითმე მისებრი არსა!

აშკარაა, რომ რუსთველი ასეთ ლაფსუსს რითმაში არ დაუშვებდა: ზიარსა-მხნე არსა-სუძუნტე არსა-მისებრი არსა.

"რითმის ხელოვნებასთან" მეტნაკლებად დაახლოებული და, მით უმეტეს, რუსთველოლოგი უნდა ხვდებოდეს, რომ ეს სტროფი ვიღაც გადამწერის მიერაა ჩამატებული. დააკვირდით იმასაც, რომ სიტყვა "ლახტი" მხოლოდ აქ გვხვდება ტექსტში და საერთოდ მისი შემოსვლა ქართულ ენაში მოგვიანებით მოხდა; თავად სტრიქონიც უნიჭო პოეტის შეთხზულს ჰგავს — ლახტი აიღო და რა ტურფა რამე და მხნე არის-ო — "მხნე" არც რითმაში ჯდება და არც აზრში — ერთდროულად ტურფა და მხნე კაცი ძნელად წარმოსადგენია (აღარაფერს ვამბობთ სიტყვა "სიძუნტე-ზე).

თუ სადმე ხართ კიდევ რუსთველოლოგები, ამოიღეთ ტექსტიდან ეს სტროფი, ფლიიიიიიიიზ!

დაჰკვირვებიხართ ამ წრეებს კარგად?

თქვენი არ ვიცი და, მე პირველად დავუკვირდი იმ ეპიზოდს, როცა ტარიელი ინდოეთში ბრუნდება და გზად მისრეთიდან (ეგვიპტიდან) მომავალი ვაჭრები ამცნობენ, რომ ინდოეთის მეფე მკვდარია და მათს სამშობლოს ისევ ხატაელი რამაზი შემოესია.... ამ ეპიზოდში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი გვხვდება:

1) არაბეთიდან წამოსულ ტარიელს როსტევანი გააყოლებს ავთანდილს და 80 ათასიან ლაშქარს, რომელიც სულ ხვარაზმული აბჯრითაა შემოსილი.... ესე იგი ხვარაზმს მარტო ინდოეთთან კი არა, არაბეთთანაც ჰქონია ურთიერთობა.... ეს ფაქტი "კრავს" გეოგრაფიულ წრეს, რომლის "წრეწირზე" შემდეგ პუნქტები მოინიშნება: ინდოეთი-მულღაზანზარი-გულანშარო-ქაჯეთი-მისრეთი-არაბეთი-თურქთა ქვეყანა-ხვარაზმი-ხატაეთი-ინდოეთი.... წრე შეიკრა! საოცარი ისაა, რომ ამ "წრის" ცენტრი გახლავთ ტარიელის "ქვაბი" და სწორედ ეს ადგილი გახლავათ ამოსავალი წერტილი "ვეფხიტყაოსნის" მთელი გეოგრაფიისა.

2) არაბეთიდან ინდოეთამდე სამ თვეზე მეტ ხანს მოუნდნენ პოემის გმირები მგზავრობას, ოღონდ ისინი ისე ნელა, ძებნა-ძებნით არ მიდიოდნენ, როგორც ავთანდილი, რომელივ 70 დღეში ჩავიდა ქვაბიდან მულღაზანზარამდე.... ჩვენ ერთ-ერთი წერილში დაახლოებით გამოვთვალეთ ავთანდილის მიერ გავლილი მანძილი, ანუ დღეში საშუალოდ დაახლოებით 20 კმ 70 დღის განმავლობაში გვაძლევს არაუმეტეს 1400 კილომეტრისა.... 90 დღეში არაბეთიდან ინდოეთამდე თუნდაც დღეში (საშუალოდ) 5 კილომეტრით მეტი გავლის პირობებში დაშორება არაბეთსა და ინდოეთს შორის მოგვცემს 90 ხ 25 = 2250 კმ-ს....

3) მთავარი და უმნიშვნელოვანესი ფაქტი — შეშინებული რამაზი ტარიელის წინაშე ასე იმართლებს თავს:

"დაიკარგენით, წაჰხედით თქვენ წელნი მეათენია".

ათი წელიწადი დასჭირდა ტარიელისგან ნესტან-დარეჯანის მოძებნას და სამშობლოში დაბრუნებას!

აქაც შეიკრა წრე!

თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ათი წელი თითქმის თვე-თვე არის დაფიქსირებული პოემაში, ყველაფერი ძალიან ზუსტად შეესაბამება იმ ეპოქის დროისა და სივრცის პარამეტრებს (თუ შეიძლება ასე ითქვას) და მალე შეეცდებით ყოველივე ამის თანამიმდევრულად დალაგებას და "ვეფხისტყაოსნის" ეპოქისა და მისი გმირების სამოქმედო არეალის წარმოჩენას.

„პატიჟი" და ზოგადად „ჟ"

"ვეფხისტყაოსანში" სიტყვა "პატიჟი" სასჯელის, უკეთურების, სიავის სინონიმი:

მათ მორჭმულთა მოივლინონ, ჩვენ
პატიჟნი გაგვიასდენ
* * *
თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად
პატიჟად მზად ეს-ა
* * *
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ
კეთილთა მზათაო
* * *
შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ
იტყვის ენები!
* * *
მათ პატიჟთა დაავიწყებს ლხინი ესე
აწინდელი

საინტერესოა, როდიდან და რატომ შეიცვალა ამ სიტყვამ მნიშვნელობა?!

"დაპატიჟება" ახლა სულაც არ ნიშნავს "დასჯას" და რასაც ნიშნავს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

და საერთოდ, ეს მეორე არსებითი სახელია "ჟამის" შემდეგ, რომელიც ასო-ბგერა "ჟ"-ს შეიცავს (საუბარია 'ვეფხისტყაოსნის" ლექსიკაზე). აქედან ყალიბდება ვარაუდი, რომ ეს ასო-ბგერა არ რის ქართული წარმომავლობის.

მინანი თუ შინანი?

პოემაში არის ასეთი სტროფი (827-ე)

რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა,
ვერ პოვნა მინანი,
მართ გაპარვასა უთხრობდეს
მონანი, ცრემლთა მდინანი.
მან თქვა: "მე დარბაზს ვერ შევალ,
მახსოვან დღენი წინანი,
ვინცაღა ჰკადრებს, მან ჰკადროს;
რაცა ვთქვი, მასცა ვინანი".

"მინანი"ის შესახებ ნათაძე წერის, რომ ეს არის "მინანქარი" - ავთანდილის მეტაფორა, მაგრამ ეს თვით რუსთველისთვისაც კი მეტისმეტი მეტაფორულობაა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა "მინანქარს" პოემა არ იცნობს, რადგან ეს მოგვიანო ეპოქებში შემოსული სპარსული სიტყვაა - "მინა-ქარ" (مینا کار) და მინის ოსტატს, მომჭიქველს ნიშნავს, მეორე "ნ" კი ქართულში გაჩნდა კეთილხმოვანების მიზნით:

"მინა-(ნ)-ქარ".

ამ სტრიქონში ალბათ უნდა იკითხებოდეს "შინანი" (შინ, შიგნით, აქვე, მესამე სტრიქონში ხომ არის "წინ"-ის პოეტური ფორმა "წინანი" ასე რომ, შინანი"-ც დასაშვებია.).

მივიღებთ ამ აზრს — ვაზირმა ძებნა და ვერ იპოვა (ავთანდილი) შინ, სახლში... უკვე გაპარულიყო.

მარინა ტურავა

ერთი ლექსის სამყარო

2012 წლის ბოლოს გამოვიდა გია კობახიძის კიდევ ერთი პოეტური კრებული „სიყვარულის ორი ნაპირი“ კულტურული, საინტერესო გამოცემა (რედაქტორები: თამარ ღონღაძე, როსტომ ჩხეიძე), ულამაზესი მხატვრობით (მხატვარი — რამაზ ჩანტლაძე), გია კობახიძის ახალი ლექსებით, ჩვეული გულწრფელობითა და სიყვარულით, სათქმელით. ამ წერილის მიზანი არ გახლავთ პოეტური კრებულის გამოწვლილვით მიმოხილვა.

ჩემი მიზანია კრებულის ერთი ლექსის ანალიზი, იმის დასტურად, რომ თითოეული ლექსი არის მთელი სამყარო. შევეცდები ყველაფერი იმანენტური ანალიზით დავიწყო და არ გადავლახო ტექსტის საზღვრები, ყურადღება არ გავამახვილო პოეტის პირადსა და ეპოქის, დროის გამოცდილებაზე, ქვეტექსტსა და ინტერტექსტუალობაზე. გია კობახიძის ლექსები, როგორც წესი, უსათაურია, ამით პოეტი არ ზღუდავს მკითხველის წარმოსახვას, რომელიც არა მხოლოდ სმენითი, არამედ ვიზუალურიც არის და მას სრულ თავისუფლებას ანიჭებს. საანალიზო ლექსიც უსათაურია:

არავინ იცის ხესავით
ამ ცის ქვეშ განმარტოება,
დგას მუხა მარტოკაცივით,
სიბერეს ვერ ეგუება.
ტანზე ყურს როცა მიადებ,
ჟამს იგრძნობ და მყუდროებას,
ფესვი მიწის გულს მიარღვევს,
სიმწვანეც მოჩქეფს რტოებად,
შარშანაც ილოცებოდა,
თუმცა შარშანაც რკო ება,
დგას მოჩახჩახე დღესავით
ამ წუთისოფლის მოედანს,
არავინ იცის ხესავით
ამ ცის ქვეშ განმარტოება.

ლექსი განმარტოებული ხისა და ცის ერთიანობაზე, სიბერესთან შეუგებლობის სევდასა და ნაღველზეა. აქვე იკვეთება ადამიანისა და ხის ერთიანობის მოტივიც, ერთნაირად რომ განიცდიან სიბერის ტკივილსა და ჟამთა მსვლელობას... თავისი ემოციური განწყობით ლექსი დროის გარდაუვალობისა და მარადიულობის შეგრძნებას ერთდროულად ბადებს, პროვიდენციალურთან — უხილავ ერთობასთან გვაზიარებს...

ლექსი პატარაა, ამიტომაც ავტორი არ მიმართავს ექსპოზიციას, პრელუდიას, ის პირდაპირ ამბობს სათქმელს, პოეტური მეტყველება არის ლაკონური, სტილი ლაპიდარული. მთავარი მხატვრული სახე — ხეა, მუხა. მიუხედავად იმისა, რომ მუხას, ქართული ტრადიციით, გამოკვეთილი სიმბოლური დატვირთვა, სემანტიკური ველი აქვს, იგი მაინც პოლისემანტიკური სახე-სიმბოლოა და პოეტი არ ერიდება მის გამოყენებას. ლექსში მუხა ძლიერი ხისა და მარტოკაცის გამოხატულებაა. კაცსა და მუხას შორის არის ის ერთიანობა და ჰარმონია, რომელიც ადრე ადამიანს ბუნებასთან ჰქონდა. ამიტომაც კაცი, ლექსის ლირიკული გმირი, სავარაუდოდ თავად პოეტი, ტანზე ყურს ადებს, რაც ჟამის შეგრძნებასა და მყუდროებას ერთდროულად იწვევს. რამდენიმე მეტაფორა: „ფესვი მიწის გულს მიარღვევს“, „სიმწვანეც მოჩქეფს რტოებად“ ყურადღებას ადამიანისა და მუხის ერთიანობიდან ისევ მუხისა და დედამიწის ერთიანობაზე გადაგვატანინებს. მუხას აქვს ლოცვის უნარი, ილოცება, მაშინაც როცა რკო აბია (და, ალბათ, არა მხოლოდ მაშინ, როცა ტკივილი ან პრობლემა აქვს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანები ვიქცევით ხოლმე...). ეპითეტი „მოჩახჩახე დღესავით“, რომელიც ამავდროულად მხატვრული შედარებაცაა, მუხის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, სიბერისა და ჟამთა მსვლელობის მიუხედავად ან სწორედ ამიტომაც. მიწას ამშვენებს მუხის განმარტოება ცისქვეშეთში. მთელ ლექსს გასდევს პერსონიფიცირებული, გაპიროვნებული ხის განცდები...

პოეტი არ არღვევს ტრადიციულ სინტაქსს, ერთადერთი მულოდნელი სინტაგმა არის „წუთისოფლის მოედანს“, რომელიც ორიგინალური მხატვრული სახეა. სათქმელი ძირითადად არსებითი სახელებით (ხე, ცა, მუხა, სიბერე, ტანი, ჟამი, ფესვი, მიწა, გული, რკო, კაცი...) და ზმნებით (იცის, დგას, ეგუება, მიარღვევს, მოჩქეფს, ილოცებოდა, იგრძნობ, მიადე...) არის გადმოცემული, არის ადგილისა (წუთისოფლის მოედანი) და დროის (შარშან) გარემოებები. ორი უკანასკნელი მაგალითით შეიძლება ლექსის ქრონოტოპის გარკვევაც, სივრცე ღია და გაშლილი — მთელი ცისქვეშეთი, მხატვრული დრო მოძრაობის უწყვეტობის, ჟამთა მსვლელობის გამომხატველი. ტკივილიც არ არის ლოკალური, ერთი მუხისა ან ერთი კაცის საფიქრალი... სწორედ მხატვრული ქრონოტოპი განსაზღვრავს მუხის, კაცისა და მიწის კოსმოლოგიურ ერთიანობას. ეს ტრიადა, ერთი მხრივ, მიწაზე მყარად დგომის („ფესვი მიწის გულს მიარღვევს“), მეორე მხრივ, ზეცისკენ მუდმივი სწრაფვის გამომხატველია, ამიტომაც შეიძლება მუხა სულაც პოეტის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი, მისი მარტოკაცობის სიმბოლოც იყოს.

ლექსი დაწერილია, ქართული პოეზიისათვის ორგანული, 8-მარცვლიანი ტაეპით, ძირითადად ჯვარედინი, დაქტილური და ზედაქტილური რითმით, რომლის მეშვეობით გამოიყოფა სიტყვის მნიშვნელობა, მასზე ლოგიკური მახვილი კეთდება. ბოლო ორი ტაეპი პირველის განმეორებაა, რითაც ლექსი ნაწილობრივ ტრიოლეტის ასოციაციას იწვევს, თუმცა ეს არ არის კლასიკური ტრიოლეტი. 8-მარცვლიანი ლექსი შაირის ორად გაყოფის შედეგად წარმოიქმნა და ხშირად გამოიყენება ქართულ ფოლკლორში. ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მსგავსად, გია კობახიძის ლექსიც მუსიკალური, რიტმულ-ინტონაციურად გამართულია და ნეიტრალურ ექსპრესიული ჟღერადობას ეფუძნება.

თუ იმანენტურის საზღვრებს დავარღვევ და ლიტერატურულ რემინისცენციებზეც ვიმსჯელებ, რა თქმა უნდა, საკუთარ შთაბეჭდილებებს ვგულისხმობ, რომელსაც ალბათ ავტორიც ვერ გაექცეოდა, გია კობახიძის ამ ლექსს უწყვეტ პოეტურ ტრადიციის გაგრძელებად აღვიქვამ. უენპირო, უტყვი (ვაჟას ტერმინებია) ბუნების ამგვარი განცდა, მისი პერსონიფიცირება აბსოლუტურად ბუნებრივია ქართული მხატვრული ცნობიერებისათვის, საკმარისია ორი მწერლის გახსენებაც: შოთა რუსთაველი („რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან“...) და ვაჟა-ფშაველა, რომლისთვიასც პერსონიფიკაცია მეტაფორაზე, ტროპზე ბევრად მეტი იყო. რომ არაფერი ვთქვათ მდიდარ ფოლკლორულ ტრადიციაზე, საიდანაც იწყება ყოველი...

გასულიერებული ხეების სიმბოლიკა შემონახულია სხვადასხვა ხალხების ფოლკლორში. ხის ჯადოსნური ძალა არაერთხელ ვლინდება ზღაპრებში. უძლეველი ხის იდეა, როგორც ღვთაებრივი ძალის, ცისა და მიწის ერთიანობის გამოვლენა გადაიქცა სიცოცხლის სიმბოლურ გამოხატულებად. მისი ფესვები არის ქვესკნელში, ღერო ამოდის სკნელში, ხოლო წვერო ზეცას სწვდება. ეს სიმბოლო თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიაშია. სხვადასხვა კულტურაში ხე იზრდება სხვადასხვა ადგილას: წმინდა მთაზე ან სამოთხეში და მისი ფესვებიდან მოედინება ღვთაებრივი წყარო. ადამინი ოდითგანვე ეთაყვანებოდა ამ საოცარ ქმნილებას. ბიბლიის მიხედვით ცხოვრების ხეს უპირისპირდება ცრუ სიბრძნის სიმბოლო — ხე-ცნობადისა, რომლის ნაყოფის ჭამითაც ადამიანმა დაკარგა სამოთხე, მარადიული ცხოვრება და მოკვდავი გახდა.

ხეს, განსაკუთრებით, მუხას, ძველი ხალხები ღვთაების სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ხე აღიქმება, როგორც „შემოქმედის მიერ ბუნებაში განფენილი სიცოცხლის ძალის ცხადი გამოვლინება“. ქართული მითოლოგია იცნობს ცისა და მიწის კავშირის მითოლოგემას, რომელიც წარმოდგენილია ერთ ფშაურ საწესო ლექსში: „წმიდა გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა, ხმელგორზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა, ჩემს საყმოთ შემონაძღვენი ღმერთთან ამქონდა იქითა“. აქ მუხა ცისა და მიწის დამაკავშირებელი, ერთგვარი ხიდია... ბერმუხა – ლაშარის მუხა დღესაც დგას ფშავში ხმელგორზე, სადაც დაარსებულია ლაშარის სალოცავი, ლაშარის ხატი წმიდა გიორგის სახელზე, რომელსაც ჩვენ ვაჟა-ფშაველას ლექსებიდან და პოემებიდან ვიცნობთ (ზურაბ კიკნაძის „ქართული ფოლკოლრის“ მიხედვით).

მუმლი მუხასა — ერთ-ერთი უძველესი ქართული (კახური) ხალხური სიმღერაა. წარმართული ხანიდან მომდინარეობს. იგი შეიქმნა მუხის, როგორც სიძლიერისა და გამძლეობის სიმბოლოს, სადიდებლად. სიმღერამ თავისი განვითარების მანძილზე გარკვეული ცვლილებები განიცადა შინაარსის, სოციალური ფუნქციისა და მუსიკალური აღნაგობის თვალსაზრისით. მე-19 საუკუნეში „მუმლი მუხასა“ საბოლოოდ დაიხვეწა და სამხმიან სიმღერად ჩამოყალიბდა. სიმღერამ სიმბოლური ხასიათი (მუხა-საქართველო, მუმლი-მტრები) და პატრიოტული ჟღერადობა შეიძინა.

თანამედროვე პოეზიაში შეუძლებელია ანა კალანდაძე არ გაგვახსენდეს: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის თავზე გადამისვას ხელი... დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი“...

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ტყე, ხეები მეტაფორული სახე-სიმბოლოა, ის ადამიანთა სიმრავლეს გამოხატავს. „რაც ხალხში ვიცხოვრე, იმდენ ხანს რომ ტყეში მეცხოვრა. ხეებს ხომ მაინც გავარჩევდი ერთმანეთისგან”... ტყეში ცხოვრება ღვთაებრივ, სრულყოფილ საზოგადოებაში ყოფნის სურვილს გამოხატავს. ასეთ დროს ადვილია, გაარჩიო ადამიანები (ხეები) ერთმანეთისაგან. მრავალი ქართული ზღაპარი გვიყვება ადამიანთა ხისგან წარმოშობის შესახებ.

გენო კალანდიას საოცარი „ხეებით“ დავამთავრებ ჩემს ასოციაციათა და განცდათა ნაკადს, რომლის გაგრძელებაც დაუსრულებლად შეიძლება: „ხეები — ქარაფებზე, ხეები — მდინარესთან, მლოცველთა იზრდება რიგი. ხეები — ქალწულები, ხეები — წმინდანები, მაცხოვრის წითელი წიგნი“. ეს ლექსი პოეტის მთელ ცხოვრებას იტევს, ყოვლისმომცველი შინაარსის გამომხატველია. ნამდვილ ხეებს პერსონიფიცირებული, გასულიერებული, გაადამიანურებული ხეები ენაცვლება, არსებულს — წარმოსახვითი, რეალურს — ირეალური.

ერთი რამ უდავოა: დღეიდან განცდათა ამ ჯაჭვს გია კობახიძის ეს საინტერესო, მრავლისმთქმელი მხატვრული ნიმუშიც დაემატება... ერთი მხრივ, ეს ლექსი არის პოეტის ქვეცნობიერში დალექილისა და მივიწყებულის, მეორე მხრივ, კი საკუთარი ტკივილისა და განცდის გასიმბოლოება-გააზრების, მხატვრული გარდასახვის, შინაგანი წვის შედეგი. კიდევ ერთხელ წარმოგვიდგება პოეზია — როგორც უხილავის, შეუცნობელის, პროვიდენციალურის ველი, დრო და სივრცე... “კოსმიური შიფრი ადამიანისათვის ამოსაცნობად გამოგზავნილი”... (მირჩა ელიადე).

15.09.2012

მე მიყვარს კინო

2012 წლის 20 დეკემბერს, ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ-ტელევიზია ეოლიბთV-იმ , ლიტერატურულმა ფორუმმა "ებლიტფომ", ჟურნალ „არტ-ხომლის" რედაქციამ ლიტერატურული კონკურსის "მე მიყვარს კინო" - გამარჯვებულს, სალომე შენგელიძეს საგამომცემლო სახლ "მედია პალიტრისა", და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული პრიზები გადასცა.

„მე მიყვარს კონკურსები...

ნებისმიერი შემოქმედისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ძალების რწმენა...

არ უნდა შეგეპაროს ეჭვი ჟიურის კომპეტენტურობაში...

სწორედ ამიტომ მივიღე მონაწილეობა ამ კონკურსში...

მე ძალიან მიყვარს კინო...

დასაწყისი

საიდან, რამდენჯერ და რა აღარ დაგვიწყია. დედის საშოდან დაწყებული სიცოცხლე სულაც არ არის საკმარისი ისევე, როგორც რომანის დაწერის სურვილი, ვერაფრით რომ ვერ ჩაუჯექი. საკმარისი არც ჩვენი პროფესიებია, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს, ისეთ რუტინად იქცევა ხოლმე, ერთი სული გაქვს, ჰოლდენ კოლფილდივით რომელიღაც შორეულ ქოხში გადაიხვეწო და მოყინული ტბის ბინადარი იხვების ბედზე იფიქრო. საბოლოოდ, ასევე ჰოლდენივით, არსადაც არ წახვიდე და დაბრუნდე სახლში კმაყოფილი იმით, რომ სულ რამდენიმე წუთში განშორებაც განიცადე და დაბრუნებაც. სახლს კი არაფერი განუცდია, ყველაფერი უცვლელია, ფანჯრებსაც კი ვერ აღებს, შენი დაბრუნების სიხარული რომ გამოხატოს. და შენც, ვითომ დიდი მოგზაურობიდან დაბრუნდი, ფანჯრებს ფართოდ აღებ, ხელებს ფართოდ შლი ჩახუტების იმიტაციის შესაქმნელად. რაღა თქმა უნდა, სახლი ვერაფრით ჩაგიკრავს გულში, ვერც აგურებს ააჩხარუნებს ძვლების ნაცვლად, ერთადერთი, შენს ნივთებს თუ შემოგაგებებს, სუნს, რომელიც ყველა სახლისგან გამოარჩევს და შენივე ნაბიჯების სიმძიმით ჩაზნექილი იატაკის ჭრიალს, ესეც საქმეა. შენ კი ყველაფერი ფეხზე გკიდია, იმ ფეხებზე, იატაკს რომ აჭრიალებს და სიცოცხლის არსებობას გაგრძნობინებს: მთავარია, დაბრუნება გაითამაშე. ეს, შესაძლოა, მთლად დომენიკოსავით არ გამოგივიდეს, მაგრამ ცდად ღირდა ისევე, როგორც ცდად ღირს ხოლმე გამოუცდელი ხელით სადილის მომზადება, ან რეზიუმეების გადაგზავნა სხვადასხვა ლექსების წერა მოზარდობის "ტრაგიკულ" პერიოდში, ბიჭის (გოგოს) შეყვარება თუნდაც ყველაზე უდროო დროს, აბიტურიენტობისას თუ მანქანის მართვის სწავლა მაშინ, როცა ველოსიპედსაც ნორმალურად ვერ ატარებ.

ერთი სიტყვით, უდროო დრო საერთოდაც არ არსებობს მაშინ, როცა რაღაც ძალიან გინდა. როცა რაღაც ძალიან მინდა ხოლმე, ათასჯერ ნანახ ფილმს ვუყურებ. ის, რაც უკვე ათასჯერ გაგიკეთებია, უფრო ხშირად მოსაწყენია, მაგრამ მე არამოსაწყენ რამეზე ვსაუბრობ, იმაზე, ათასმეერთედ რომ აკეთებ და ყველაფერი მაინც თავდაყირა დგება. შენ კი, ამ დროს რაღაც ძალიან გინდა და ისიც კარგად იცი, სულ თავდაყირა რომ დადგე, არაფერი გამოგივა. ჰოდა, უიმედობის ჟამს სასარგებლო რამეების კეთება ძალიან ჰგავს გასწრებული ტრანსპორტის ჩანაცვლებას სხვა ნომერი მარშრუტით, რომელიც დანიშნულების ადგილთან ახლოს გაივლის, მერე კი ფეხების იმედად უნდა იყო.

"უიმედობის ჟამის" კინოები მხოლოდ საცრემლე ჯირკვლის გააქტიურების ეფექტით სულაც არ გამოირჩევა, რადგან ცრემლები ხშირად სულაც არ ახლავს უიმედობას და არც მაინცდამაინც უიმედობა ახლავს ცრემლებს. მე მიყვარს ჩემი ათასჯერ ნანახი ფილმები ათასობით სხვადასხვა ცხოვრებით და ეს ათასობით ცხოვრება სარეცხის თოკზე ტანსაცმელივით რომ გამოკიდო, თვალებით გაზომო იმის იმედით, რომ რომელიმეს მაინც მოირგებ, რადგან შენი სამოსი საკმარისად გაიცვითა ან სულაც დაგიპატარავდა, მუცელიც რომ შეისუნთქო, ვერაფრით ჩაიტევ–მკერდამდეც ვერ ჩამოიცვამ. მუცელიც რომ გამობერო, ვერაფრით მოიხდენ, ტომარასავით დიდია, შენ კი ძალიან ჩამოჰგავხარ ნაჭრის თოჯინას.

ჩემი ათასჯერ ნანახი ფილმები, ადრე სიზმრად რომ ვხედავდი... მაშინ ისინი სულაც არ გახლდათ "კოლექტიური სიზმრები", ყველა რომ ვხედავთ ერთ კინოდარბაზში. ისინი მართო ჩემი სიზმრები იყო და წარმოდგენაც არ მქონდა, რომ მათ ოდესმე ტრიერი გადაიღებდა ან ნოლანი ან თუნდაც ანგ ლი.

ისინი კი, სიზმრები გადამფრენი ჩიტებივით ყოველ ღამით მოფრინავდნენ ჩემთან და ყოველ დილით მიფრინავდნენ. ფრენა ჩიტების საქმეა და არა იდეების, ვფიქრობდი მე, აი, დღეს ღამით მაინც ჩავიწერ ჩემს სიზმარს, რომელიც ხვალ დილით აღარ გადაიქცევა ჩიტად და ფურცელზე დარჩება, ბოლოსდაბოლოს, უნდა ვასწავლო ჩემს ფიქრებს არფრენა. არაფერი გამომდიოდა. მერე პავიჩი წავიკითხე და გული სულაც არ დამწყვეტია ჩემს განუხორციელებელ და სხვის მიერ ასე კარგად განხორციელებულ საქმეზე, ბოლოსდაბოლოს,

სიზმრების ნახვა, შესაძლოა, საქმედაც აქციო, თუ კარგი მწერალი ხარ, განსაკუთრებით კი... თუ ხარ პავიჩი და გყავს ჰერო, მისტიკური გოგო, რომელსაც აქვს კაბა ერთადერთი სუფთა ადგილით, თავად ლაქა რომ ჰგონია.

მერე სიზმრების არქიტექტურაზეც გადაიღეს ფილმი და სამუდამოდ ჩავიქნიე ხელი ჩემი სიზმრების გაკოლექტიურებაზე. ნოლანის "დასაწყისი (IჩთI) კი "უიმედობის ჟამს სანახავი ფილმების" სათავეში მოექცა, რადგან იქ ყველაფერი იყო, რაც მინდოდა. იქ შემეძლო, ქუჩები გადამეკეცა და თავდაყირა მევლო; იქ შემეძლო, ჩემი ყველა ოცნება უბრალო პროექცია მგონებოდა და ერთი ხელის (ან წამწამის) მოსმით გამენადგურებინა; იქ შემეძლო, ახალი რეალობა ამეგო და ისევე მყუდროდ მეგრძნო თავი, როგორც ბებოს ბებოიან სახლში, რომელიც ბებოს გარდაცვალების შემდეგ უბებოო გახდა, პაპასავით. ერთი სიტყვით, იმდენი რამ შემეძლო, რომ ამდენი შესაძლებლობით გადაჭედილი ვიყავი და ზოგიერთი შესაძლებლობა მავიწყდებოდა კიდეც, ან ძალით ვივიწყებდი "დასაწყისის" არაბედნიერი დასასრულივითა და მობზრიალე ტოტემივით.

ჩემი სევდიანი ფილმები... ცრემლიც რომ ვერ მოგადგება, გემრიელადაც რომ ვერ იტირებ, რადგან ცრემლების ეფექტი ერთჯერადია: აფრქვევ, აფრქვევ და ის, რაც სევდიანია და ამავე დროს, ძვირფასიც, მარილიან წყლად უნდა იქცეს, ალერგიული კანის შემთხვევაში კი, იქნებ, დაგაყაროს კიდეც. ჰოდა, რაღა დაგრჩენია, იარე სამსახურში და ხანდახან მაინც წაუსევდიანე, თუნდაც... წახემსების ჟამს. მთლად ცხვირსაც ნუ ჩამოუშვებ, წარმოიდგინე, რა სასაცილო იქნება, ჩიზბურგერს რომ ჭამ და პარალელურად კობის მიერ წანფასში ვერნანახ შვილებზე ფიქრობ.



ნინო ქოქოსაძე

ნინუცას ლექსი

ფაა–ფუ!
რა ფაფუკი და ალალია ეს გაოცება.
ფუფალ, ფუფალ,
ფა–ფუ შიოლა?
თვალის ბუდიდან გადაფრენილ
მერცხლებს გაფიცებ,
ადე, ქა!
რა დროს შენი სიკვდილია,
უმალ მე დამიტირებ!
ფუფაალ...
შე ფურცლებს შორის ჩარჩენილო,
ხმელო პეპელა,
დაჯექ, დაჯექ ჩემს ხელისგულზე,
დაჩრჩილულ კაბას ამოგიკერავ,
შენ კი ჩემთვისაც
უფლისწული გამოიგონე.

ვახიტ გუნეური

თეთრი და მურა დათვი

მურა დათვმა მისი გარე ბიძაშვილი
არქტიკიდან ევროპაში მიიწვია.
თეთრი დათვი ფორიაქობს, ემზადება,
სელაპების ყურადღებაც მიიქცია.

ხუმრობაა? სხვა ქვეყანას ინახულებს,
გასცილდება ყინულებს და თოვლის ნამქერს.
იძახიან — ევროპაში კარგიაო,
ვინც კი ერთხელ უკვე იყო, ყველა აქებს.

ჩაალაგა ჩემოდნები, ევროპაში
ისე ცხელა, უსათუოდ დასჭირდება
საბანაო ტრუსები და დიდი ქოლგა.
მოიჩრდილებს, თორემ სუნთქვა გაჭირდება.

ბიძაშვილთან უსაჩუქროდ ხომ არ წავა?!
შაქარყინულს ნატეხებად ცალკე ფუთავს,
თევზიც მიაქვს — სხვა გემო აქვს, არქტიკიდან
საგანგებოდ მურა დათვს რომ ჩამოუტანს.

უთენია გზას გაუდგა დიდი გემით,
უხარია — ბიძაშვილსაც მალე ნახავს.
მეორე დღეს თვითმფრინავში გადაბარგდა
და საზღვარი უპრობლემოდ გადალახა.

მერე უკვე მატარებლით, ავტობუსით,
ხან ტყეებში იარა და ხანაც მთა-მთა...
და სულ მალე ბიძაშვილი მურა დათვი
დიდ ტორებში ჩაიხუტა თეთრმა დათვმა.

ჩახუტებით გული კარგად ხომ იჯერეს,
ახლა სუფრას მალე შემოუსხდებიან.
გაიხარეს, ბურტყუნებენ, ბურდღუნებენ
და ერთმანეთს ქვეყნის ამბებს უყვებიან.

. . .

რა არ ნახა მურა დათვთან თეთრმა დათვმა —
ცირკშიც იყვნენ, თეატრშიც და „დათვილენდშიც“.
ხან კაფეში თაფლის ნაყინს მიირთმევდნენ,
ხან მინდორში თამაშობდნენ, ყვავილებში.

არ დაიკლეს ნამცხვრები და კანფეტები,
სანახავიც ბევრი იყო, გასართობიც...
მაგრამ მაინც მოიწყინა თეთრმა დათვმა,
მოენატრა არქტიკა და თეთრი თოვლი.

უთხრა მურას — ალბათ, კარგად მოიქეცი,
საცხოვრებლად აქ რომ ამოგირჩევია.
მე კი მაინც ჩემი სახლი მენატრება,
სიცივე და ყინულები მირჩევნია.

ევროპაში ყველაფერი კარგი არის,
მაგრამ მაინც უნდა გითხრა — გეფიცები,
სულ სხვა არის, თეთრ თოვლში რომ გაგორდები
და არქტიკის ლამაზ მზეს რომ ეფიცხები!

რა ვქნა, შენც რომ შეგეჩვიე? ახლა დიდხანს
შენს გარეშე, აბა, როგორ უნდა გავძლო?!..
და თავისი ბიძაშვილი მურა დათვი
არქტიკაში დაპატიჟა საახალწლოდ.

რევაზ ჯახიძე



ორთქლმავალი

ჩუქუ-ჩუქუ, ჩქარა-ჩქარა,
ორთქლმავალმა ჩაიარა,
საქშენიდან თეთრი ბოლის
ბოლქვებს ისვრის წარა-მარა.

და სამგზავროდ ჩაცმულები
ვაგონებში სხედან მგლები,
თაროებზე თუთიყუშებს
უკავიათ ადგილები.

ერთი ჟირაფს დაგვიხედეთ:
ტან-ფეხით დგას საბარგოში,
კისერი აქვს საერთოში,
თავი უდევს რბილ ვაგონში.

ფანჯარასთან ფეხმორთხმული
ჭორიკანობს ბატი ლომზე,
კონდუქტორი — ყურცანცარა
ბილეთს ყიდის სტაფილოზე.

სურის ძირი

ყელყარყარა გრძელმა სურამ
თავის დობილს წასჩურჩულა:
– გამიგონე, ფერიაო,
ამ თაროდან გადმოხტომა
ჩემთვის არაფერიაო.

იმ წამს ჭიქებს შემოესმათ
ჭახა–ჭუხი უეცარი,
სურა მიწას დაენარცხა

სულ დაიმსხვრა უმეცარი,
დაეჟეჟა მწარედ თავი
და ასცვივდა საღებავი.

ასე გაჩნდა ეს მახინჯი
სურის ძირი, რაც გადარჩა,
გვერდებ მრუდე, დაკბილული
წყლის სასმელად ქათმებს დარჩათ.

ცნობა საბავშვო ბაღიდან

ირმა ბერიძე

ცნობა ეძლევა ანდრიას
რომ არის ოქროს ბიჭი,
აქვს კარგი მეხსიერება,
ხატვის, სიმღერის ნიჭი.

იცის გოგოსთან მოქცევა
არ არის ჩხუბის თავი,
უყვარს სუუუყველა ჯგუფელი
ნამდვილი და-ძმასავით.

მუდამ სიკეთეს ასხივებს
უწყინარი და ზრდილი,
ბევრი ჰყოლოდეს სამშობლოს
ანდრიას დარი შვილი.

ცნობა ეძლევა ეზოში,
სოფელში, ზღვაზე — ყველგან
რაც მთავარია, ოჯახში
მშობლებთან წარსადგენად.